№127
(12 197)

1 ივნისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. 2 ივნისი. ლიტვა-საქართველო. 6 ივნისი. საფრანგეთი-საქართველო

დანაკლისი თავდასხმაში

ლიტვასთან მჭედლიძის დებიუტი გამოირიცხა

დავით ცაბაძე

როგორც შეგპირდით, ლიტვურ-ფრანგულ რეპორტაჟებს დღეიდან ნდა გაცნობოდით. სამწუხაროდ, არ გამოვიდა, არა გამოვიდა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო. "აირზენას" ლაინერი მწყობრიდან გამოვიდა და რეისი მთელი 8 საათის დაგვიანებით შედგა, რის გამოც "ლელოს" კორესპონდენტი პაატა თოთაძე კაუნასში მხოლოდ წუხელ ჩაფრინდა. ბოდიში, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის...

...ამასობაში კი, საქართველოს ნაკრებმა გუშინდელი ვარჯიშიც ფრანკფურტის "ვალდშტადიონის" სათადარიგო მოედანზე ჩაატარა. წვრთნა, რომელმაც საათზე მეტხანს გასტანა, ადრინდელთან შედარებით უფრო ინტენსიური და აქტიური იყო. **კლაუს ტოპმიოლერმა** დატვირთვები გაზარდა. იხვეწება ტაქტიკა და კომბინაციური თამაში. ტოპმიოლერი ნაკრების წევრთა მონდომებით ფრიად კმაყოფილია. საპასუხისმგებლო მატჩებისთვის ბიჭები მობილიზებულები არიან.

სამწუხაროდ, ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. მიხვდით, ალბათ - დანაკლისი გვაქვს. მეკარე **ნუკრი რევიშვილს** კოჭ-წვივის სახსარი დაუზიანდა და ნაკრები უკვე დატოვა. ეროვნულ ნაკრებში სადებიუტოდ გამოძახებულმა თავდამსხმელმა **ლევან მჭედლიძემ** კი მუხლი იტკინა. მჭედლიძე უმალ "აინტრახტის" სამედიცინო ცენტრში გააქანეს...

"თავდაპირველად, ლევან მჭედლიძის ტრავმა გაცილებით მძიმე გვეგონა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა... მაგრამ ლიტვასთან მაინც ვერ ითამაშებს. ექიმებმა მას ერთკვირიანი დასვენება ურჩიეს. ჯერჯერობით, ნაადრევია იმისი თქმა, შეძლებს თუ არა საფრანგეთთან თამაშს" - გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

დღეს, დილის 11 საათზე, საქართველოს ნაკრები ფრანკფურტიდან ჩარტერული რეისით კაუნასში ჩაფრინდება და ამავე სახელწოდების სასტუმროში დაბინავდება. იქაური დროით 19 საათზე ტოპმიოლერი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენციას გამართავს, 20 საათზე კი ქართველები იმ სტადიონზე ივარჯიშებენ, სადაც ხვალ ლიტველებთან მოუწევთ დაპირისპირება. ბოკერიას მეშვეობით ტოპმიოლერს მცირე კომენტარი ვთხოვეთ:

"კარგ პირობებში ვცხოვრობთ და ვვარჯიშობთ. ფრანკფურტული მზადების ციკლი ნაყოფიერად გამოვიყენეთ. ძალიან კმაყოფილი ვარ, თუმცა ტრავმები ცოტა ხასიათს მიფუჭებს. ლიტვაში მოსაგებად მივდივართ და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. ვინმეს დავიმატებთ თუ არა? ღმერთმა არ ქნას, ლიტვაშიც ვინმე გამოგვაკლდეს... მოდით, დაველოდოთ კაუნასის მატჩს და მერე გამოჩნდება"...

თეთრ მაისურში ლევან მჭედლიძე

სეგრტი ბიჭებს ტაშისკვრით ავარჯიშებს

U 21. ევროპის ჩემპიონატი. საქართველო-ესპანეთი

საყოველთაო მობილიზაცია: ჰაინცის თერთმეტიც ჰეტართანაა

დანიიდან ფოფხაძეც ჩამოვიდა

ახალი შესარჩევი ციკლისა და ესპანეთთან სასტარტო მატჩისთვის მოსამზადებლად, ჩვენს ახალგაზრდულს გუშინ კიდევ ერთი დღე ჰქონდა. მწვრთნელებმა აქცენტი ტაქტიკურ ელემენტებზე, კომბინაციურ თამაშსა და ბურთის კოლექტიურ ართმევაზე გააკეთეს.

ჰეტარ სეგრტის თანაშემწე **გელა შეყილაძისგან** შევიტყვეთ, რომ ახალგაზრდულის ოცეულს გუშინ დანიიდან ჩამოსული, "ვიბორგის" მცველი **გიორგი ფოფხაძეც** შეუერთდა. თუმცა ნამატი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. სეგრტმა, შოტლანდიიდან დაბრუნებული 19-წლამდელებიდან თავის ახალგაზრდულს 11 (!) ფეხბურთელი დაამატა: მეკარეები - **რევაზ თევდორაძე (დილა), გიორგი მაკარიძე (დინამო);** მცველები - **ამირან სანაია (ზესტაფონი), გულვერდ თომაშვილი (დინამო);** ნახევარმცველები - **მირზა ბჟალავა (ლუშტენაუ, ავსტრია), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი), ლევან ყენია (ლოკომოტივი), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი);** თავდამსხმელები - **რევაზ ბარაბაძე (დნეპრი, უკრაინა), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი).**

ასე რომ, 21-წლამდელთა ნაკრების ხელმძღვანელთა განკარგულებაში ამჟამად 32 ფეხბურთელია. დღეს სეგრტი 18 საათზე, "ამერის" სტადიონზე, ამ კონტინგენტს ორად გაყოფს და ერთმანეთთან ათამაშებს. ამის შემდეგ კი ესპანელებთან სამატჩოდ საბოლოო შემადგენლობაც დასახელდება.

დავით ცაბაძე

ბლატერი მესამე ვადით

გუშინ, ციურიხში, ფიფას კონგრესმა ზეპ ბლატერს კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა. მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ, 207 ხმით, ის მესამე ვადით აირჩია თავის მეთაურად. 71 წლის "რკინის ზეპი" ფიფაში 1975 წელს მივიდა, 1981 წელს გენერალური მდივანი გახდა, 1998 წელს კი პრეზიდენტის პოსტზე ჟოაო აველანჟი შეცვალა. 26 წელი მაღალ საფეხბურთო თანამდებობებზე, ეს მთელი ეპოქაა... და შეიძლება, ეპოქაზე მეტიც.

...მაგრამ წლები უკვე აშკარად ეტყობა მსოფლიო ფეხბურთის "მამას". ბოლოხანს მან არაერთი ასოციაცია გაანაწყენა, თვით იტალიაც კი, როცა "სკუადრა აძურას" დაჯილდოების დროს, ბერლინის სტადიონის VIP-ლოჟიდან ფეხი არ მოიცვალა, შემდეგ კი ლამის უღირს მსოფლიო ჩემპიონადაც მონათლა. მერე იყო და, 2010 წლის მუნდიალის მასპინძელ სამხრეთ აფრიკას კინაღამ ეს უფლება ჩამოართვა. სხვათა შორის, გუშინ ამაზე იხუმრა: ჩვენი A გეგმა სამხრეთი აფრიკაა, B-ც სამხრეთი აფრიკაა, D-ც და ასე შემდეგო. მოკლედ, ისღა დარჩა ეთქვა, აწი ყველა მუნდიალი ამ ქვეყანაში ჩატარდებაო...

ბოლოს იყო და, მაღალმთიან ზონაში ფეხბურთის თამაში უნდა ავკრძალოთო, თქვა და ლამის მთელი ლათინური ამერიკა გადაიმტერა. მაგრამ დაუნახავები ხომ არ ვართ, ბლატერი მარტო ეს როდია. აველანჟის შემდეგ, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტი რამდენჯერმე გაიზარდა. აგერ, ფიფას ახალი შენობაც წამოჭიმა ციურიხში...

დაბერდა ზეპი და ვინძლო, უფრო გულჩვილიც გახდა. ჰოდა, იქნებ მეტი ფულიც გამოუყოს ხელმოკლე ასოციაციებს, მაგალითად, საქართველოს...

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



პეტარ სეგრტი და გიორგი ჭელიძე

21-წლამდელთა ნაკრები. ინტერვიუ გიორგი ჭელიძესთან

ესპანეთთან? ბრძოლა ბოლომდე!

სიცილი და ჩქარი ტაში. ჭელიძეს სეგრტის მეთოდები მოსწონს

შარშანდელისგან განსხვავებით, ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე წელს სათამაშო პრაქტიკის დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის. მოსკოვის "ლოკომოტივიდან" უკრაინულ "ზარიაში" განათხოვრებული ფორვარდი უკვე სტაბილურად თამაშობს. ესპანეთთან მატჩისთვისაც სხვებთან ერთად ემზადება. საინტერესოა, რას ფიქრობს 21-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ჩვენს გუნდზე, მწვრთნელზე, მეტოქესა და საკლუბო კარიერაზე...

- ესპანეთთან მატჩისთვის მზადება უკვე რამდენიმე დღეა, რაც დავიწყეთ. მოსამზადებელი შეკრება კი, ოფიციალურად, 1 ივნისს დაიწყება. ესპანელებთან მატჩით ახალ შესარჩევ ციკლს ვიწყებთ და ნაკრების მწვრთნელებს სურთ, ყველა იმ ფეხბურთელს დააკვირდნენ, ვისაც შესაფერისი ასაკი აქვს. სწორედ ამიტომაა, ვარჯიშები ნაადრევად რომ დავიწყეთ.

- მზადება როგორ მიდის?

- ინტენსიური წვრთნაა. ყველა მობილიზებულები ვართ, მონდომება არ გვაკლია.

- 21-წლამდელებში მაშინაც გითამაშია, როცა ამ გუნდს რალფ მინგე წვრთნიდა. ნაკრებს ახლა პეტარ სეგრტი ხელმძღვანელობს. მასზე რა აზრის ხარ?

- კარგი მწვრთნელია, მარტივად და გასაგებად გვიხსნის დავალებებს. მჯერა, ის კარგი გუნდის ჩამოყალიბებას შეძლებს.

- სეგრტის ვარჯიშებში სახალისო კომპონენტებიცაა. ალბათ შენც მოგწონს...

- ალბათ, ხშირ ტაშსა და შეძახილებს გულისხმობთ... დიახ, მომწონს. რამდენადაც ვიცი, მსგავს მეთოდს სხვა მწვრთნელებიც მიმართავენ. გამიგია, რომ იურგენ კლინსმანი ვარჯიშების დროს მუსიკასაც კი იყენებდა. ჩემი აზრით, ასეთი მომენტები სასარგებლოა, რადგან მოდუნების საშუალებას არ გაძლევს, მუდმივად ტონუსში ხარ, მეტი ხალისითა და მონდომებით ვარჯიშობ.

- გუნდში შეკრებილ კონტინგენტზე რას იტყოდი?

- ნაწილს კარგად ვიცნობ, ნაწილს კი ახლა ვეცნობი. რამდენადაც ვიცი, 19-წლამდელთა ნაკრებიდანაც დაგვემატებიან ფეხბურთელები. რასაც ვხედავ, ისაა, რომ სეგრტი ყველას აძლევს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შანსს. სელექციის პროცესი ჯერ არ დასრულებულა. იმედი მაქვს, საბოლოოდ ძლიერი კონტინგენტი შეირჩევა და რჩეული ფეხბურთელებით ესპანეთს მედგარ წინააღმდეგობას გავუწევთ.

- 19-წლამდელებიდან ვინ დაგემატებათ?

- ეს ჯერ არ ვიცი. ამას მწვრთნელი მალე გადაწყვეტს.

- მეტოქეზე რას იტყოდი?

- ვფიქრობ, ესპანეთი ჩვენს ჯგუფში ფავორიტია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი უნდა ჩავიქნიოთ. მწვრთნელები გამუდმებით გვეუბნებიან - ჩვენ შეგვიძლია, ესპანელებს სიურპრიზი გავუკეთოთ და 5 ივნისის მატჩი სასურველი შედეგით დავასრულოთ. სწორედ საამისოდ ვიბრძოლებთ. მასპინძლები ჩვენ ვართ და იმედია, მსაჯების სიმპათია სტუმართა მხარეს არ იქნება. თუ ყველა მაქსიმუმს გაიღებს და ქომაგობაც არ მოგვაკლდება, მჯერა თამაში კარგად დამთავრდება.

- სეგრტმა გვითხრა, რომ ესპანელთა თამაშის ვიდეომასალა აქვს. თუ ნახეთ ეს ფირი?

- არა, ჯერ არ გვინახავს. 1 ივნისს დავიწყებთ მოსამზადებელ შეკრებას და მეტოქის შესწავლასაც მერე დავიწყებთ. მანამდე კი ტაქტიკურ კომპონენტებს ვხვეწთ. რაც შეეხება ჩემს წარმოდგენას ესპანელებზე, მეტოქისგან სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთს ველი. ეს ჩვეულებრივია, ამ ქვეყნის ნაკრებს ეს ყოველთვის ახასიათებდათ. მათ ძლიერი შემადგენლობა ჰყავთ, მაგრამ საერთოდ, გრანდებს პირველი თამაში ხშირად უჭირთ ხოლმე და ვნახოთ...

- გოლის გასატანად, ესპანელთა დაცვასთან დიდი ბრძოლა მოგიწევს...

- ფორვარდი ვარ და ყველა თამაშში გოლის გატანას ვცდილობ. ესპანელებთანაც იმჯვეს შევეცდები და ვნახოთ, რამდენად გამომივა. გეთანხმებით, ესპანეთს არა მარტო დაცვა, მთლიანად ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

- ახლა საკლუბო კარიერას შევეხოთ. ზამთარში მოსკოვის "ლოკომოტივიდან" "ზარიაში" გაგანათხოვრეს. როგორ გრძნობ თავს უკრაინულ გუნდში?

- ჩინებულად. მწვრთნელები მენდობიან, თამაშიც სტაბილურად მიწევს და მე მგონი, იმედებსაც ვამართლებ.

- რამდენ მატჩში ითამაშე? ან შედეგიანობაზე რას გვეტყოდი?

- ტრავმის გამო, ორი თუ სამი შეხვედრა გამოვტოვე, სხვა მატჩებში კი სტაბილურად ვთამაშობდი. 2 გოლი გავიტანე და რამდენიმე საგოლე პასიც გავაკეთე. ცხრილში მე-11 ადგილზე ვართ. სეზონის დასრულებამდე ორი ტურიღაა დარჩენილი. ათეულში მოსახვედრად ვიბრძოლებთ.

- რამდენადაც ვიცი, მალე საიჯარო კონტრაქტის ვადა გეწურება. რას აპირებ?

- დიდი შანსია, მოსკოვის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობას ვთხოვო და "ზარიაში" იჯარის ვადა გავახანგრძლივო. ლუგანსკელებს არ უნდათ ჩემი გაშვება და ამ გუნდში მეც კარგად ვგრძნობ თავს. თუმცა სხვა უკრაინულ და რუსულ ვარიანტებზეც მიდის საუბრები და ჯერ უნდა მოვიცადო, არ ვიცი, რა და როგორ იქნება...

- ეს საკითხი როდის გაირკვევა?

- უკრაინული სეზონის დამთავრების შემდეგ. ივნისის შუა რიცხვებში ყველაფერი მეცოდინება.

- "ზარიაში" რომელიმე ქართველის გამოჩენას ხომ არ უნდა ველოდოთ?

- როგორც გავიგე, ლადო ბურდულის გადმოყვანაზეა საუბარი. თავად ლადოც არაა წინააღმდეგი, მაგრამ სხვა ვარიანტებიც აქვს და არ ვიცი, რას გადაწყვეტს. სატრანსფერო ციებ-ცხელება სეზონის დასრულების შემდეგ გაწყდება.

დავით ცაბაძე

შეხვედრა ციურიხში

მაგ ფულის 50 პროცენტიც დაამატეთო...

ტეიშეირამ ქართველები ბიძაშვილთან გაუშვა

გუშინ, ციურიხში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა, როგორც იქნა, შეხვდა და ესაუბრა ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ ***რიკარდუ ტეიშეირას****. მეტად დამაინტრიგებელ კითხვას - შედგება თუ არა ამხანაგური მატჩი საქართველოსა და ბრაზილიის ეროვნულ გუნდებს შორის - წერტილი ვერც გუშინ დაესვა. აი, რა გვითხრა სატელეფონო საუბრისას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა* ***უჩა უგულავამ****:*

"ტეიშეირას უშუალოდ ვესაუბრეთ, თუმც ყველაფერი ისევ რთულადაა. ჩვენ გარდა, ბრაზილიას რამდენიმე წინადადება აქვს სხვადასხვა ქვეყნიდან და ამხანაგური მატჩისთვის იმას ესტუმრება, ვისგანაც საუკეთესო შემოთავაზებას მიიღებს. ტეიშეირამ თავისი ბიძაშვილის, ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის გენმდივან მარკუ ტეიშეირას კოორდინატები მოგვცა".

უგულავას ისიც ვკითხეთ, თუ კონკრეტულად რა აბრკოლებს თბილისში საქართველო-ბრაზილიის ამხანაგური მატჩის გამართვას.

"ბრაზილიელები ჩვენ მიერ შეთავაზებულ თანხაზე 50 პროცენტით მეტს ითხოვენ. მოლაპარაკებას მარკუ ტეიშეირასთან გავაგრძელებთ. მას რამდენიმე დღეში შევეხმიანებით. არ გვინდა, რომ ბრაზილიელთა სტუმრობა ჩვენთვის წამგებიანი გამოდგეს და ამიტომ, 50 პროცენტით მეტს ვერ გადავიხდით. მოკლედ, ვნახოთ... თუ ბრაზილიელებს სხვა მეტს შესთავაზებს, ჩვენ, ალბათ, უარს გვეტყვიან" - განგვიმარტა უგულავამ.

დავით თავართქილაძე



რიკარდუ ტეიშეირა

ევრო 2008. მეტოქე

ოლეგ ბლოხინი: გადამწყვეტი საქართველო და იტალია იქნება

უკრაინელთა მწვრთნელისთვის დომენეკი მეზღაპრეა

ოლეგ ბლოხინი

2 ივნისს, ევროშესარჩევის B ჯგუფში, ლიდერი უკრაინა მესამე ადგილზე მყოფ საფრანგეთს ესტუმრება. ორივე გუნდს 12-12 ქულა აქვს, უკრაინელები ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებენ ფრანგებს და ასევე 12 ქულით მეორე ადგილზე გამაგრებულ შოტლანდიას. საფრანგეთთან მატჩის წინ უკრაინელთა თავკაცმა **ოლეგ ბლოხინმა** კიევის "დინამოს" ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა.

ბლოხინი საკმაოდ სერიოზულად მიიჩნევს დისბალანსის პრობლემას. ევროპულ ლიგებში სეზონი დამთავრდა, უკრაინაში კი ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა. შესაბამისად, ნაკრების ლეგიონერები და დანარჩენი ფეხბურთელები ერთნაირ კონდიციებში ვერ იქნებიან. *"ვისაც არასაკმარისი ფიზიკური მომზადება ექნება, ყველაფერი სანაკრებო ვარჯიშებზე უნდა აინაზღაუროს"* - უთქვამს ოლეგ ვლადიმიროვიჩს.

უკრაინელებს ვერ დაეხმარება ტრავმირებული **ანდრეი შევჩენკო**. დაშავებულია მეკარე **ალექსანდრ შოკოვსკიც**, თუმც მას მიკროტრავმები აქვს და 2 ივნისს, ალბათ, მაინც ითამაშებს.

"მეტოქის წინა მატჩებს ვიდეოზე კი ვუყურეთ, მაგრამ ეს უკვე მოძველებული ინფორმაციაა. ფრანგებს ხომ ტიერი ანრი, ვილი სანიოლი, პატრიკ ვიეირა და ლუის საა არ ეყოლებათ. ასე რომ, მათი თამაშის ანალიზი ბოლომდე ჯერ არ გაგვიკეთებია. რა ზღაპრებიც არ უნდა მოყვეს რაიმონ დომენეკმა იმაზე, რომ მას ფეხბურთელები არ ჰყოფნის, ყველამ კარგად ვიცით, რომ მას, ფაქტობრივად, ორი სრულფასოვანი შემადგენლობა ჰყავს, რაც როტაციის საშუალებას აძლევს. ვფიქრობ, ფრანგები ჩვენ საკმაოდ გვიფრთხიან. ბევრს ლაპარაკობენ და წერენ იმაზე, თითქოს ეს მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტი იქნება ამ შესარჩევში, რასაც არ ვეთანხმები. პარიზში დამარცხების შემთხვევაშიც კი ყველაფერს საქართველოსთან და იტალიასთან მატჩები გადაწყვეტს".

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკლუბო ლიცენზირება

სანამ უეფა შეგვამოწმებს...

ქართული ევროსეზონი მხოლოდ ლოკომოტივზე?



ლოკომოტივის კარი ყველასთვის ღიაა

რომელი გუნდი აკმაყოფილებს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობისთვის საჭირო მინიმალურ მოთხოვნებს? ლიცენზირების კომიტეტის წევრის, **ბაქარ ჟორდანიას** თქმით, ლიგაში წლეულს თოთხმეტივე გუნდი დაიშვება და გამოირიცხა, რომ ეს პრობლემა უმაღლესიდან რომელიმეს მოკვეთის მიზეზი გახდეს.

"შიდა ჩემპიონატის მონაწილეებისთვის წლეულს მკაცრი მოთხოვნები არ დაწესებულა. შარშან, შედარებით ლოიალური პირობები მივიღეთ. 2008/09 წლების სეზონიდან კი მოთხოვნები გამკაცრდება და მერე სავსებით რეალური იქნება, რომ რომელიმე გუნდს ლიცენზია არ მივცეთ. ჩვენც ვიცით, რომ სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, შვეიცარიაში, გერმანიაში, ავსტრიასა და კიდევ ბევრგან, ცნობილ კლუბებს ლიცენზია არ მისცეს. საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნებში მკაცრი ლიცენზირება ჩვენზე ადრე დაიწყეს. საქართველოში იგივე პროცესი მომავალი წლის მაისიდან, ანუ სეზონის დასრულების შემდეგ დაიწყება. ჩვენგან პრობლემა არ შეიქმნება, თუკი პროფლიგამ წლეულსვე არ გადაწყვიტა მკაცრი მოთხოვნების წამოყენება".

საინტერესოა, რომ ამჟამად, უეფას ტურნირზე მონაწილეობისთვის საჭირო მოთხოვნებს მხოლოდ 7 გუნდი აკმაყოფილებს: "ოლიმპი", "დინამო", "ამერი", "ვიტ ჯორჯია", "ზესტაფონი", "სიონი" და "ბორჯომი". მაგრამ საინტერესოა, რომ თითოეულმა მათგანმა საკუთარ არენად თბილისის მ. მესხის სახელობის სტადიონი დაასახელა. ანუ დღევანდელი მონაცემებით, ყველა ქართული გუნდი მეტოქეს "ლოკომოტივზე" უმასპინძლებს. თუმცა "ქართული ფეხბურთის სახლიდან" უეფაში გაგზავნილ დოკუმენტში მითითებულია, რომ რუსთავისა და ბოლნისის სტადიონებზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და სავსებით რეალურია, რომ ევროსეზონისთვის ეს არენებიც მზად იყოს.

სამწუხაროდ, როცა ბოლნისელებმა ევროსაგზურის იმედი დაკარგეს, სტადიონის რეკონსტრუქცია ძველი ტემპით აღარ გააგრძელეს, რუსთავში კი სარემონტო სამუშაოები არ შეუწყვეტიათ. თუ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სტადიონის შეკეთება ვერ მოესწრო, არაა გამორიცხული, მეორე წრეში გასვლის შემთხვევაში, უეფამ "ფოლადს" მასპინძლობის ნება დართოს.

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციამ ბაქარ ჟორდანია რუსთავში მიავლინა. ჟორდანიამ "ფოლადის" სტადიონის მდგომარეობა შეამოწმა. ორსაათიანი სამუშაო შეხვედრა სტადიონის შესასვლელიდან დაიწყო. 500-მეტრიან მონაკვეთში იმდენი სამუშაოა შესასრულებელი, შეიძლება ძნელი წარმოსადგენიც იყოს. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გარემონტებულ სტადიონზე უამრავი პრობლემა სასწრაფოდაა მოსაგვარებელი.

ჯერ რაც გაკეთდა, იმაზე მოგახსენებთ: სკამები დამონტაჟებულია, ტრიბუნები ლურჯ, წითელ და მწვანე ფერებში "გამოეწყო". მოედანს უვლიან და "ასვენებენ". შერემონტდა გასახდელები, დელეგატის, მსაჯთა და დოპინგ-კონტროლის ოთახები. უეფას მოთხოვნების გათვალისწინებით, მანქანების დასაყენებლად სამი ადგილია გამოყოფილი. გარემონტდა გულშემატკივრებისთვის გათვალისწინებული საპირფარეშოები. ამოქმედდა ტაბლო. ახლა კეთდება 50 ჟურნალისტზე გათვლილი პრეს-ლოჟა. დღე-დღეზე სატელეფონო ხაზებსაც აღადგენენ და პრესისთვის ინტერნეტში მუშაობაც შესაძლებელი გახდება. რემონტდება საპრესკონფერენციო დარბაზი და ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი დიდი სამუშაო ოთახი, აგრეთვე, კომენტატორთა ჯიხურები.

უეფას ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა ადგილების დანომრვა. წესით, ესეც მალე უნდა დასრულდეს. კიდევ ბევრი წვრილმანი შენიშვნები გამოითქვა. მთავარია, ეს ყველაფერი დროულად მოგვარდეს. უეფას კომისია რუსთავს 7 ივნისს ესტუმრება და საბოლოოდ გვეცოდინება - "ოლიმპი" მშობლიურ არენაზე უმასპინძლებს სადებიუტო ევრომატჩს თუ "ლოკომოტივზე".

მერაბ მამულაშვილი

ოლიმპი

ოლიმპმა შუშაკზე უარი თქვა

ძვირი ხორვატი და უცნობი გერმანელი. ვინ არის მიხაელ მეესი?



ივო შუშაკი

რუსთავის "ოლიმპს" ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე დებიუტი 17 ან 18 ივლისს მოელის. კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ბადრი ქარქაშაძის** თქმით, რუსთაველები სეზონისთვის მზადებას "ნორჩი დინამოელის" სტადიონზე დაიწყებენ. თუ რომელ უცხოურ ქვეყანაში დაიგეგმება მზადების მეორე ეტაპი, ეს კენჭისყრის შედეგებზეა დამოკიდებული.

"ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის ვინაობა ჯერაც ღიად რჩება. **ვარლამ კილასონია** მოვალეობას შეასრულებს, მაგრამ ქარქაშაძემ არ დაგვიმალა, რომ სრულფასოვან დამრიგებელს ინტენსიურად ეძებენ. როგორც იცით, "ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის მწვრთნელმა, გამოცდილმა **შოთა ჭეიშვილმა** მთავარი გუნდის გაწვრთნა არ ისურვა.

გავრცელებული ხმების თანახმად, განიხილებოდა თბილისის "დინამოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელის, ხორვატი **ივო შუშაკის** კანდიდატურაც. ჩვენი ინფორმაციით, ბატონი შუშაკი საქართველოშიც ჩამოვიდა და მოლაპარაკებაც დაიწყო, მაგრამ იმხელა თანხა მოითხოვა, რომ რუსთაველებს საუბრის ხალისიც კი დააკარგვინა.

"ოლიმპის" ხელმძღვანელობას რუანდის (!) ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **მიხაელ მეესის** კანდიდატურაც შესთავაზეს. ის შეთავსებით გერმანიის საფეხბურთო კავშირში, მწვრთნელთა ლიცენზირების პროგრამაშიც მონაწილეობს. აქაც დაბრკოლება ხელფასი აღმოჩნდა: 120 ათასი ევრო რუსთაველთათვის მიუწვდომელი თანხაა. ჯერჯერობით, "ოლიმპი" ასეთი მდიდარი კლუბი არ გახლავთ. როგორც ირკვევა, მეესს კორეასა და იაპონიაში ჭაბუკთა გუნდების კოორდინატორადაც უმუშავია.

გუნდში მრავალი საკადრო ცვლილებაა მოსალოდნელი. "ოლიმპს" ფეხბურთელებსაც მრავლად სთავაზობენ: გამბისა და განის ახალგაზრდული გუნდების წევრებს, შვედეთში მოთამაშე ორ საყრდენ ნახევარმცველს, სიონელ **ჩასემსა** და **ბოიომოს**, ზესტაფონელ ბრაზილიელებზეც (**ვიეირა, ჟონატასი**) იყო ირიბი მინიშნებები. ბოლო ვარიანტებზე ისევე, როგორც ლიბერიის ეროვნული და ხალგაზრდული ნაკრების წევრებზე, ადრეც ვწერდით.

თუმცა ეს შეთავაზებები, უმთავრესად, "კატაა ტომარაში" და თავის დასაზღვევად, "ოლიმპის" თავკაცები მენეჯერებს ისეთ პირობებს უყენებენ, რომელიც მათ პასუხისმგებლობას გაზრდის - ფეხბურთელთა ტრანსპორტირების ხარჯებს მხოლოდ მაშინ დავფარავთ, თუკი ეს ფეხბურთელები მოგვეწონებაო. მოკლედ რომ ვთქვათ, ასე შეიძლება ბარე ათამდე მოთამაშე გასინჯონ, მათ ჩამოყვანა-გაშვებაში 30 ათასი დოლარიც დახარჯონ და არავინ ივარგოს. "ოლიმპი" მდიდარი კლუბი არაა და ამხელა თანხის წყალში გადაყრა მათთვის სასურველი არ უნდა იყოს. 30 ათასი დოლარით ხომ საკმაოდ მაღალი დონის ორი ქართველი ფეხბურთელის შეძენაა შესაძლებელი...

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი

თუ ფულს არ მოგვცემენ, გავყიდითო...

ვინ შეცვლის ჩიხურას?

საჩხერის "ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში დარჩა. მართალია, იმერლებს ადგილის გაყიდვა სურთ, მაგრამ მყიდველის ვინაობა ჯერჯერობით, უცნობია. კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ბადრი ბრეგვაძემ** "ლელოსთან" საუბარში არ დამალა - თუკი საკმარისად არ დაგვაფინანსებენ, ადგილს გავყიდითო. ანუ ინფორმაცია სიმართლეა და არა მონაჭორი. თუმცა, მართლა სურთ თუ არა გორის "დილას", "ცხინვალსა" და ფოთის "კოლხეთს" უმაღლესში დაკარგული ადგილის ამგვარი გზით შეძენა, ზუსტად არავინ ამბობს.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეს-ატაშე **პაატა ბურჯალიანმა** ვითარება ამგვარად განმარტა: *"ჯერჯერობით, ასეთი სურვილით ჩვენთვის ოფიციალურად არავის მოუმართავს. უმაღლეს ლიგაში ადგილის ყიდვა, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია. ლიგაში უნდა ითამაშოს იმ გუნდმა, რომელმაც იქ ადგილი სპორტული პრინციპით მოიპოვა. ასეა თითქმის ყველგან და გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. თუმცა მეორე მხარე ქართული სპეციფიკიდან გამომდინარეობს. საქართველო მდიდარი ქვეყანა არაა. ამიტომ, ჩვენს კლუბებსაც უჭირთ. უმაღლეს ლიგაშიც არავის უნდა ისეთი გუნდი, რომელიც მოთამაშეებს საკონტრაქტო პირობებს ვერ უსრულებს, თამაშზე ჩასვლა პრობლემას რომ უქმნის და ელემენტარული პირობები არ გააჩნია. პროფლიგის მთავარი საზრუნავი უმაღლესი ლიგის მაქსიმალურად მოღონიერებაა. ამ კუთხით, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფილი გუნდები გვირჩევნია. ყველას ახსოვს, აქამდე როგორ ხდებოდა მსგავსი გარიგება და როგორ ყიდულობდნენ ადგილს უმაღლეს ლიგაში. მსურველი გუნდი მდიდარ პირველიგელს შეუერთდებოდა და რაღაც საერთო სახელწოდებით იწყებდა ჩემპიონატში გამოსვლას. ეს კი კანონით არაა აკრძალული. თუმცა, ვიმეორებ, ჯერ მსგავსი სურვილი არავის გამოუთქვამს".*

მერაბ მამულაშვილი



ბადრი ბრეგვაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. შეჯამება

მერანი

ადგილი ჩემპიონატში: 11

მონაგარი

	მატჩი	ერთიერთ	ფლი	ერთიერთ	ფლეი
ბესარაშვილი	23	23	2	9	1
ქემაშვილი	20	15	2	4	-
გაგუა	19	18	5	-	-
ოსიტაშვილი	18	16	1	3	-
სეფიაშვილი (მეკ.)	17	17	-26	-	-
ბურჯანაძე	17	11	1	3	-
ჯანგიძე	16	15	-	2	-
ფურთუხია	15	13	-	-	-
სარალიძე	14	14	-	1	-
ძორიძე	13	11	1	-	-
კოპერიძე	13	11	-	1	-
თურძია	12	11	-	4	-
ლ. მანწკავა*	12	7	1	-	-
ლ. გრიგალაშვილი	11	11	-	1	-
აფშილავა**	10	10	-	1	-
გლუნჩაძე (მეკ.)	9	9	-14	1	1
ცისკარაული	9	3	-	-	-
დეისაძე**	8	6	1	1	-
ხურცილავა*	7	4	-	1	-
ზედელაშვილი**	7	5	-	-	-
ჩივაძე**	7	4	-	1	-
ლ. კეარაცხელია*	6	6	-	1	-
კედელაშვილი**	6	6	-	1	1
მძედლიშვილი*	6	4	-	1	-
ფურცელაძე**	6	4	1	-	-
კეტაშვილი**	6	3	-	-	-
ა. ნოზაძე**	5	5	2	1	-
სულაძველიძე*	5	4	-	1	-
ოძრუაშვილი**	5	4	-	2	-
დათუნაშვილი	5	1	-	-	-
კარსანიძე*	4	4	1	3	1
ნეფარიძე	3	3	1	1	-
მოდებაძე**	3	2	-	1	-
ნაკანი**	3	1	-	-	-
დ. ხანიშვილი*	2	2	-	1	-
კ. ხანიშვილი*	2	1	-	-	-
შველიძე*	2	-	-	-	-
ჩაჩიბაია**	2	-	-	-	-
სილაგაძე*	1	1	-	-	-
სახვაძე**	1	-	-	-	-
შოშიაშვილი*	1	-	-	-	-
გეფანიშვილი*	1	-	-	-	-
ლომიძე (მეკ.)**	1	-	-1	-	-
სიხარულიძე**	1	-	-	-	-
გულიაშვილი**	1	-	-	-	-
ზირაძიშვილი**	1	-	-	-	-

* - მხოლოდ პირველ წრეში
**- მხოლოდ მეორე წრეში

"სეზონი დაწყებამდე მიზნად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება დავისახეთ, რაც შევასრულეთ კიდეც. აქედან გამომდინარე, გუნდის ასპარეზობით უკმაყოფილო არ ვარ, მაგრამ უკეთესი შედეგის ჩვენებაც შეგვეძლო. თუმცა ბევრ გუნდს მიზეზთა გამო, კონკურენცია ვერ გავუწიეთ. უფრო მაღალი მიზნებისთვის ახალ ჩემპიონატში ვიბრძოლებთ".

საუკეთესო მატჩი

"პირველ წრეში "ბორჯომს" სტუმრად 4:3 ვძლიეთ, ეს "მერანის" მიერ ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე შთამბეჭდავი იყო".

ყველაზე ცუდი მატჩი

"მეორე წრეში "ამერთან" 0:6 გავნადგურდით, გუნდი ამ შეხვედრაში საშინლად გამოიყურებოდა".

პლუსი

"ჩვენი ფეხბურთელების უმრავლესობამ უმაღლეს ლიგაში პირველად ითამაშა, მათ საკმაო გამოცდილება მიიღეს, რაც მომავალში აუცილებლად გამოადგებათ. ეს სეზონი პირადად ჩემთვისაც დიდი სკოლა იყო. ამას გარდა, "მერანის" ბრძოლისუნარიანობასაც გავუსვამ ხაზს, რამაც რიგ შეხვედრებში სასურველი შედეგი მოგვიტანა".

მინუსი

"შეთამაშებისა და სტაბილური გუნდის ჩამოყალიბებისთვის დრო არ გვეყო".

უმაღლესი ლიგის დებიუტანტის კვალობაზე, "მერანს" სეზონი ურიგოდ ნამდვილად არ ჩაუტარებია. გუნდმა პროგრამა-მინიმუმი დამაჯერებლად შეასრულა და შესაძლოა, მომავალ სეზონში გაცილებით დიდ მიზნებსაც შეეჭიდოს. არასახარბიელო ის იყო, რომ მთავარი მწვრთნელი რამდენიმეჯერ შეიცვალა და გუნდის ძირითადი ბირთვი სეზონის ბოლოსკენაც ვერ გამოიკვეთა. საერთო ჯამში, "მერანი" მაინც მიზანმიმართულად ვითარდება და აქვს იმის რეალური პერსპექტივა, რომ უახლოეს მომავალში უფრო ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს. რესპონდენტად დავით ეჯიბიშვილი იმიტომ ავირჩიეთ, რომ გუნდთან ერთად მთელი სეზონი გაატარა. შეგახსენებთ, პირველ წრეში იგი მთავარი მწვრთნელი იყო, შემდეგ კი სერგო კუტივაძისა და ასლან ბალაძის მხარდამხარ იმუშავა.



დავით ეჯიბიშვილი
მწვრთნელი

მომავალი სეზონი

"რამდენიმე დღეში კლუბის კრება გაიმართება, სადაც ბევრი რამ გაირკვევა. მზადების გეგმასაც შევიმუშავებთ და მომავალი სეზონისთვის კონკრეტულ ამოცანებსაც დავისახავთ".

საკადრო პოლიტიკა

"ამ საკითხზეც უახლოეს დღეებში შემეძლება კონკრეტულად საუბარი".

ფინანსური მდგომარეობა

"ფინანსურად ნამდვილად არ გვიჭირს, საკმაოდ ნორმალური და სტაბილური მდგომარეობა გვაქვს".

ჩემპიონატის რჩეულნი

"მერანს" გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყოლია, მხოლოდ მეკარეებს, **სეფიაშვილსა** და **გლუნჩაძეს** გამოვარჩევ. "ოლიმპიდან" **სეთურიძე** და **გიორგი ონიანი** მომეწონა, "ამერიდან" **დავითნიძე**, **ბოლქვაძე** და **დავითაშვილი**, "ზესტაფონიდან" **ვიეირა**, "ბათუმიდან" **ნერგაძე**, ბორჯომიდან კი - **გრიგალაშვილი**".

მერანი და ძომაგი

"მომავალ სეზონში მეტოქეებს საკუთარ სტადიონზე ვუმასპინძლებთ და იმედია, უფრო მეტი გულშემატკივარი გვეყოლება".

ჩემპიონატის ფორმატი

"14-გუნდიანი უმაღლესი ლიგა არაა ურიგო, მაგრამ მისი მინუსი მატჩების მცირე რაოდენობაა. თუმცა ამის კომპენსირება თასის ჯგუფური ეტაპის შეხვედრებით ხდება. კარგი იქნებოდა, 16 გუნდს ეთამაშა, მაგრამ მესმის, რომ ამდენი წელგამართული კლუბი არ გვყავს. ჩვენი ფეხბურთის მთავარ პრობლემად ხარისხიანი მინდვრების სიმცირე მიმაჩნია".

გამორჩეული კოლეგები

"რევაზ ძოძუაშვილი ჩემპიონი გუნდის მწვრთნელია და ამით ყველაფერია ნათქვამი. დიდი შრომა გასწია მისმა წინამორბედმა **გიორგი კიკნაძემ**. **გიორგი ჩიხრაძე** ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი სპეციალისტია, ისევე როგორც **თემურ მახარაძე**. "ზესტაფონი" სხვა საუკეთესო ქართულ კლუბებს არაფრით ჩამოუვარდება, მაგრამ სტაბილურობა დააკლდა".



სერგო კუტივაძე მარტში ასლან ბალაძემ შეცვალა

მსაჯობა

"შეცდომა ყველას მოსდის, მთავარია, მსაჯობა ტენდენციური არ იყოს. ჩვენი ახალგაზრდა მსაჯების მუშაობით კმაყოფილი ვარ, ამ სფეროში აშკარა პროგრესი შეინიშნება".

გარიგებული მატჩები

"ვფიქრობ, თითქმის ყველა გუნდმა პატიოსნად იბრძოლა, დარწმუნებული ვარ, წინა წლებში თამაშები გაცილებით ინტენსიურად ეწყობოდა".

ლევან ჯანეზაშვილი

I ტური
29.07.06 ს ქახეთი 1:0
გოლი: გაგუა

II ტური
06.08.06 შ ზესტაფონი 0:3

III ტური
20.08.06 ს ლოკომოტივი 1:3
გოლი: გაგუა

IV ტური
27.08.06 ს ბორჯომი 4:3
გოლები: კარსანიძე, გაგუა, ბურჯანაძე, ქემაშვილი

V ტური
09.09.06 შ ოლიმპი 0:1

VI ტური
17.09.06 ს ვიტ ჯორჯია 0:0

VII ტური
23.09.06 შ ჩიხურა 0:0

VIII ტური
14.10.06 ს ბათუმი 0:3

IX ტური
21.10.06 შ დინამო 1:3
გოლი: ქემაშვილი

X ტური
29.10.06 ს დილა 1:0
გოლი: ლ. მანწკავა

XI ტური
05.11.06 ს ამერი 0:4

XII ტური
18.11.06 ს ტორპედო 1:3
გოლი: ოსიტაშვილი

XIII ტური
26.11.06 შ სიონი 0:3

XIV ტური
23. 02. 07 შ ქახეთი 3:1
გოლები: ა. ნოზაძე (2), ფურცელაძე

XV ტური
02.03.07 ს ზესტაფონი 1:1
ავტოგოლი: შ. ღონღაძე

XVI ტური
10.03.07 შ ლოკომოტივი 1:1

XVII ტური
17.03.07 შ ბორჯომი 0:0

XVIII ტური
31.03.07 ს ოლიმპი 0:1

XIX ტური
7.04.07 შ ვიტ ჯორჯია 0:0

XX ტური
13.04.07 ს ჩიხურა 0:1

XXI ტური
21.04.07 შ ბათუმი 1:1
გოლი: ქორიძე

XXII ტური
27.04.07 ს დინამო 0:3

XXIII ტური
5.05.07 შ დილა 0:0

XXIV ტური
12.05.07 შ ამერი 0:6

XXV ტური
16.05.07 შ ტორპედო 2:0
გოლები: გაგუა, დეისაძე

XXVI ტური
20.05.07 ს სიონი 3:0
გოლები: ბესარაშვილი, გაგუა, ნეფარიძე

26 მატჩი, 6 მოგება, 8 ფრე, 12 წაგება, ბურთები 20-41, 26 ქულა

გაზეთი... ყაზბეგი

www.kazbegi.com

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი ზურაბ სოტკილავა სპორტსმენობას მალევე შეეშვა და ხელოვნებას გაჰყვა. რამდენიმე ათეული წელია, მოსკოვში მოღვაწეობს, ოპერის სოლისტია. მთელი მსოფლიო იცნობს. ამ დღეებში კი 70 წელი შეუსრულდა და იუბილესთან დაკავშირებით, რამდენიმე დღით საქართველოში ჩამოვიდა. სახელგანთქმულმა ტენორმა "ლელოსთან", ცხადია, მეტწილად ფეხბურთზე ისაუბრა. ფეხბურთი კი ამოუწურავი თემაა და ბატონ ზურაბსაც საკუთარი შეხედულება აქვს ამა თუ ამ საკითხზე. მას გუშინ სასტუმრო "მერიოტში" შევხვდით. სოტკილავა სიამონებით იგონებს ძველ ამბებს და თანამედროვეობას უკავშირებს. ხელოვანსა და ყოფილ ფეხბურთელს ენამჭევრობასაც ვერ დავუწუნებთ...

ფეხბურთელი და ხელოვანი

ზურაბ სოტკილავა:

უკვე ყველაფერი დაწერილია, სოლისტია საჭირო

- ბოლო წლებში არ გქონიათ სურვილი, საქართველოში დასწრებოდით რომელიმე საფეხბურთო მატჩს?

- ახლა რამდენიმე დღით ჩამოვედი და ამის საშუალება, უბრალოდ, არ არის. რაც შეეხება სტადიონზე წასვლის სურვილს... მე უფრო ძველი ფეხბურთის მოყვარული ვარ, 50-იან და 60-იან წლებში რომ თამაშობდნენ. 80-იან წლების შემდეგ საქართველოში საფეხბურთო მატჩს არ დავსწრებივარ. თუმცა ჩვენი ნაკრებისა და ფეხბურთელების ევროპაში თამაშს ტელევიზიით თვალს ვადევნებ. ვფიქრობ, დღესდღეობით, საქართველოს ორი-სამი კარგი ფეხბურთელი ჰყავს - არველაძე, ასათიანი, კალაძე...

- რუსეთში თუ ესწრებით იქაური პრემიერლიგისა და ნაკრების მატჩებს?

- ნიკოლაი ოზეროვთან ვმეგობრობდი და მოსკოვის "სპარტაკის" თითქმის ყველა საშინაო მატჩს ვესწრებოდით. კონსტანტინ ბესკოვის "სპარტაკი" მართლაც სულ სხვა იყო, მაშინდელი "სპარტაკი" გამორჩეულ ფეხბურთს თამაშობდა. ერთხელ, თბილისის "დინამოს" მასპინძლობს და სტადიონზე ვერ მივდივარ, სპექტაკლი მაქვს, სპექტაკლზეა ოზეროვიც. სუფლიორს ვთხოვე, შენი ჯიხურიდან გადი ხოლმე და მითხარი, რა ხდება "სპარტაკი"-"დინამოს" მატჩში-მეთქი. სუფლიორმა ჩემი თხოვნა შეასრულა, მე კი მისგან მოპოვებულ ინფორმაციას ჟესტიკულაციით ვატყობინებდი პარტერში მჯდომ ოზეროვს. იმ სპექტაკლში ელენა ობრაზცოვასთან ერთად ვმონაწილეობდი და გაკვირვებულმა მკითხა - რა ხდება, რა ჟესტიკულაციებს აკეთებო... ეჰ, ახლა სულ სხვა სიტუაციაა, რუსეთის ნაკრები ისეთი ძლიერი და საინტერესო აღარ არის, როგორც საბჭოთა კავშირის ნაკრები იყო და რუსეთის ჩემპიონატიც ვერ არის საბჭოთა ჩემპიონატის დონის. კარგია, რომ რუსეთში ახლა ბევრი კარგი ლეგიონერია, ასეთი ტენდენციის წინააღმდეგი არ ვარ, თუმცა არ მგონია, რომ უცხოელი მცველების შეძენა ღირდეს, ლეგიონერი უფრო შემტევი ყაიდის მოთამაშე უნდა იყოს. მაგალითად, იტალიაში ყოველთვის იშვიათად ინვევდნენ მცველებს. ახლაც, უფრო ძლიერ ფორვარდებს ანიჭებენ უპირატესობას და ამით, იტალიელი მცველები კიდევ უფრო ძლიერდებიან. პირველ რიგში, სწორედ ძლიერი დაცვით გახდა იტალია შარშან მსოფლიო ჩემპიონი.

- მოგწონთ ასეთი, იტალიური სტილი?

- არ მომწონს, 1958 წლიდან ბრაზილიური ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ. როცა თბილისში "ბაია" ჩამოვიდა, მისი ფეხბურთელები ბურთს წინ არტყამდნენ და მერე ბურთი უკან ბრუნდებოდა. ასეთი რამ მაშინ პირველად ვნახეთ. ისიც კარგად მახსოვს, "ლოკომოტივის" სტადიონზე მიხეილ მესხმა ჯალმა სანტოსს ფინტი რომ გაუკეთა, სანტოსმა ხელში აიყვანა და აკოცა. ეს გენიალური იყო, მე ასეთი ფეხბურთის მომხრე ვარ.

- ცნობილ ბიზნესმენ და მეცენატ ბადრი პატარკაციშვილთან თუ გქონდათ რაიმე ურთიერთობა მოსკოვში, ან მას შემდეგ, რაც ის თბილისის "დინამოს" პრეზიდენტი გახდა?

- მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი, რამდენიმე წლის წინათ, თბილისში... მან მაშინ მანქანა მაჩუქა. კარგია, ქართულ ფეხბურთს და ქართულ სპორტს ასეთი მეცენატი რომ ჰყავს. ფეხბურთელობას ბევრი ენერგია მიაქვს, ფეხბურთელის ორგანიზმი ძალიან იტვირთება და როცა ახალგაზრდა ასეთ გზას ირჩევს, მას დახმარება, ხელშეწყობა სჭირდება. ჯერ კიდევ ელენიო ერერა ამბობდა: ფეხბურთში ოთხი სიჩქარეა - გონების, ფინტის, პასის და შესრულების. ახლა კი სისწრაფე და ათლეტურობა უფრო მეტია. სხვათა შორის, ერერა "კატენაჩოს" ოსტატი კი იყო, მაგრამ შემტევ ფეხბურთელებს დიდად აფასებდა. როცა ის ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი იყო და ესპანელები საბჭოთა კავშირთან თამაშობდნენ, თქვა - ყველაზე უფრო მეტოქის ფლანგების მეშინიაო. მაშინ, საბჭოთა ნაკრების ფლანგებზე მესხი და მეტრეველი თამაშობდნენ...

- ფეხბურთი და საოპერო ხელოვნება: რა პარალელებს გაავლებდით მათ შორის?

- ორივეგან დიდი შრომაა საჭირო: თუ ტალანტი გაქვს და ბევრს არ შრომობ, იქაც და აქაც ვერაფერი გამოგივა. მთავარი მაინც შრომაა, მაგრამ მერე უკვე იმპროვიზაციის უნარია საჭირო. მუსიკაში ნოტები უკვე დაწერილია, ფეხბურთში ყველანაირი თეორიული ასპექტები უკვე დამუშავებულია, მაგრამ სოლისტი ოპერაშიც აუცილებელია და ფეხბურთშიც. როცა კარგი სოლისტი კარგ კოლექტივს ერწყმის, მაშინ არის საფეხბურთო და საოპერო ხელოვნება უფრო მაღალი. ხალხსაც, ალბათ, პირველ რიგში სოლისტების გამო უყვარდებათ ფეხბურთი და ოპერა. და პირველ რიგში, ამიტომაც დადიან სტადიონზე და თეატრში.

- საქართველოში იშვიათად ჩამოდიხართ და გარედან როგორ ატყობთ, რა პერსპექტივა აქვს ჩვენში ფეხბურთის განვითარებას?

- ურაპატრიოტი არ ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქართველებს განსაკუთრებული საფეხბურთო ნიჭი გვაქვს. რუსეთშიც ნოსტალგია აქვთ ქართულ ფეხბურთზე. ამას წინათ, კუს ტბაზე გახლდით და ვნახე, თუ როგორ უყურებდნენ ფეხბურთის მოთამაშე ბავშვებს დედები. ადრე, საქართველოში დედები ამით არ ინტერესდებოდნენ, ახლა კი სიტუაცია შეიცვალა. კახა კალაძე საკუთარი შრომით შოულობს ფულს და ეს კარგი მაგალითია ქართველი ბავშვებისთვის. ერთი სიტყვით, მჯერა, რომ საქართველოში კარგ ფეხბურთელთა პლეადა წამოვა. ამისთვის, აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკა და სასიხარულოა, რომ საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად დაინტერესდა ფეხბურთით. მეცენატების მხარდაჭერაც კარგია, მაგრამ მთავარი, მაინც, სახელმწიფო პოლიტიკაა.

დავით თავართქილაძე

სასარგებლო კონტაქტები

საერთაშორისო ტურნირი თბილისში

არგენტინელები ჩამოვლენ, შეიძლება, ბრაზილიელებიც...

ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებებთან საქართველოს ეროვნული გუნდისთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზებაზე მომუშავე **ნიკო პატარქალიშვილი,** როგორც აღმოჩნდა, კიდევ ერთ საინტერესო პროექტსაა შეჭიდებული. მას საქართველოში საერთაშორისო ტურნირის (სამხრეთამერიკული გუნდის ან გუნდების მონაწილეობით) მოწყობა რომ აქვს ჩაფიქრებული, ეს ჯერ კიდევ ზამთარში გააჟღერა. ჩვენი ინფორმაციით, ამ საკითხზე პატარქალიშვილმა მუშაობა გააააქტიურა. როგორც ირკვევა, მან არგენტინული "დეპორტივო მერლო" თბილისში ჩამოსვლასა და საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე დაითანხმა. სხვათა შორის, "დეპორტივო მერლოში" ამჟამად ორი ქართველი ფეხბურთელი ირიცხება: თ. სულაქველიძის საერთაშორისო საფეხბურთო აკადემიის აღზრდილი, 18 წლის მცველი **ხვიჩა მურღულია** და 17 წლის თავდამსხმელი **ვასილ აფციაური.** ამას გარდა, ის სამხრეთი ამერიკიდან კიდევ ერთ თანხმობას ელის.

"დიახ, არგენტინული გუნდისგან თანხმობა უკვე მივიღე. "დეპორტივო მერლო" მზადაა, თბილისის საერთაშორისო ტურნირში მიიღოს მონაწილეობა. ბუნებრივია, იმაზეც შევთანხმდით, რომ არგენტინული კლუბი, ამ ტურნირზე, ხვიჩა მურღულიასა და ვასილ აფციაურსაც ათამაშებს. თბილისში ჩამოსვლაზე ერთ-ერთ ბრაზილიურ კლუბთანაც ვაწარმოებ მოლაპარაკებებს და იმედია, იქიდანაც მივიღებ თანხმობას. თბილისში მოვიწვიეთ არგენტინელი მომღერალი ხორხე სულიგოი, რომელიც 2002 წელს უკვე იყო ჩვენს დედაქალაქში და აქაურობა ძალიან მოეწონა. მაშინ, ხორხე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც შეხვდა და თბილისი კმაყოფილმა დატოვა. ცხადია, ამ ტურნირში მონაწილეობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ქართულ გუნდებთან და პოტენციურ სპონსორებთანაც. ერთი სიტყვით, აქტიურად ვმუშაობთ და მჯერა, ამ პროექტს განვახორციელებთ კიდეც" - თქვა "ლელოსთან" საუბარში ნიკო პატარქალიშვილმა.

რაც შეეხება ტურნირის ჩატარების თარიღს, ეს ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. თუმცა გარკვეულია, რომ ტურნირი, პატარქალიშვილის თქმით, 20 ივნისიდან 10 ივლისის ფარგლებში უნდა ჩატარდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ყველაფერს ორგანიზატორები ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გეგმავენ და არენის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებსაც ანარმოებენ.

დავით ცაბაძე

ლეგიონი

გოგუას საჭურნს გაჯით ამაგრებენ

გოგიტა გოგუას გუნდს მწვრთნელი შეუცვალეს. რამენსკოეს "სატურნს" აქამდე სლოვაკი **ვლადიმირ ვაისი** წვრთნიდა, აწი კი **გაჯი გაჯიევი** უთავკაცებს. "სატურნი" 16-გუნდიან პრემიერლიგაში მე-13 ადგილზეა, არადა, კლუბის ბიუჯეტი უკეთესი შედეგის საშუალებას იძლევა. გაჯიევის ხელმძღვანელობით, "სატურნი" პირველ ვარჯიშს დღეს გამართავს. მას რუსეთის არაერთ გუნდში უმუშავია და კარგი სამწვრთნელო რეპუტაციაც აქვს. ქართველებიც ჰყოლია ადრე შეგირდებად: **დავით მუჯირი, ალექსანდრე გოგობერიშვილი, ომარ თეთრაძე**... ახლა, ამათ გოგუაც დაემატა. ვნახოთ, რა თვალით შეხედავს გაჯიევი **კლაუს ტოპმიოლერის** მიერ დასჯილ ნახევარმცველს.

გაჯი გაჯიევი, გოგიტა გოგუას ახალი მწვრთნელი

დავით თავართქილაძე

პენალტებშიც პირველი

ალექსანდრე იაშვილმა მეორე ბუნდესლიგაში კიდევ ერთი სტატისტიკური მონაცემით იპირველა: გარდა იმისა, რომ სეზონში ყველაზე მეტი საგოლე პასი (15) გააკეთა, ხუთჯერ გაიტანა პენალტის ნიშნულიდან, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. 29 წლის ქართველმა ფორვარდმა ბოლო სეზონში "ფრაიბურგის" მაისურით სულ 10 გოლი გაიტანა, რომელთა ნახევარი 11-მეტრიანებზე მოდის. ჩვენებურს შეეძლო, კიდევ ორი პენალტი შეეგდო, მაგრამ ვერ შეძლო. იაშვილს თითო გატანილი 11-მეტრიანით ჩამორჩნენ აუგსბურგელები - **ჰდიუადი** და **ლავარი,** აგრეთვე, დუისბურგელი **მოხტარი,** თუმცა მათ ოთხიდან ოთხივე შესაძლებლობა გამოიყენეს.

იაშკა "ფრაიბურგში" აღარ დაბრუნდება, მას სხვა გერმანული კლუბებიდან აქვს შეთავაზება, რომელთა შორის ყველაზე მეტად "არმინია" აქტიურობს. "ფრაიბურგი" კი **ფოლკერ ფინკესა** და იაშვილის გარეშე პირველად 25 ივნისს შეიკრიბება, 28 ივნისიდან კი კლუბი ავსტრიულ შეკრებაზე მიდის. გუნდში რჩება **ოთარ ხიზანეიშვილი.**

ნიკოლოზ ნეფარიძე

CDN ჯორჯიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 555 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACIRCUIT ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდგა სახლიდან გაუჭაოებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



მარჩელო ლიპი



კლაუდიო რანიერი

ვალტერ ნოველინო

იტალია. სამწვრთნელო ცვლილებები

ლიპი სექტემბრიდან, რანიერი მანჩესტერ სიტიში, ნოველინო დრო ითხოვა...

პალერმომ კოლანტუონო დაამტკიცა, სამპდორიამ მაძარი, უდინეზემ მარინო

ნაციონალური ჩემპიონატების დასასრული, სხვა ცვლილებებთან ერთად, სამწვრთნელო გადაადგილებების დაწყებასაც მოასწავებს. მართალია, მწვრთნელები შუა სეზონშიც იცვლებიან და თან არაერთხელ, მაგრამ ამ მხრივ, სეზონთშორისი ვნებათაღელვა გაცილებით საინტერესოა...

მაგალითად, ცნობილია, რომ სერია A-ში დაბრუნებული "იუვენტუსი" **მარჩელო ლიპის** დაყოლიებას ცდილობს. იტალიურ პრესაში ეს ყველაზე საინტერესო თემაა. მაესტრო, ჯერჯერობით, უარზეა, კიდევ უნდა დავისვენოო. ბოლო ინფორმაციებით, "ბებერ ქალბატონს" ასეთი ვარიანტიც აქვს: ლიპი სექტემბრიდან, ოღონდ ტექნიკური დირექტორის პოსტზე, მთავარ მწვრთნელად კი **ანტონიო კონტე** ან **ჯანლუკა ვიალი**. ამ უკანასკნელის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია. კონტე კი აცხადებს, რომ მეორე მწვრთნელთად მუშაობა, მაინც და მაინც, არ ხიბლავს. ის ფიქრობს, რომ დროა, ნებისმიერი სირთულის საქმეს ერთპიროვნულად გაუძღვეს. საქმე ისაა, რომ ტექნიკურ დირექტორს იტალიაში დაახლოებით იმ ფუნქციით განიხილავენ, რაც ინგლისელ მწვრთნელებს აქვთ. ანუ, ეს არის ერთგვარად მწვრთნელ-მენეჯერი, რომელიც სატრანსფერო ოპერაციებსაც აკონტროლებს. სწორედ ამას გულისხმობს კონტე "მეორე მწვრთნელობაში". ლიპის ჩრდილქვეშ მუშაობაში ის წნეხის საფრთხეს ხედავს. ამავე დროს, ვრცელდება ვერსია იმის თაობაზე, თუ რატომ აჭიანურებს მარჩელო ფეხბურთში დაბრუნებას. თითქოს, ის ამას თავისი ვაჟის, დავიდეს გამო აკეთებს. მოგეხსენებათ, ეს ახალგაზრდა შარშან "კალჩოპოლის" სკანდალში აღმოჩნდა გარეული. ის იმ სააგენტოში ("გეა") მუშაობდა, რომელიც **ლუჩანო მოჯის** კონტროლქვეშ იყო. სწორედ ამის გამო, თუ გახსოვთ, მუნდიალის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ლიპის გადადგომის კამპანიაც აგორდა. და ამიტომაც იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მომგებმა მწვრთნელმა პოსტი ფინალის დასრულებისთანავე დატოვა. ახლაც, დაახლოებით იგივე სიტუაციაა. ლიპი მის ვაჟთან დაკავშირებული პრობლემების გარკვევას ელოდება. მანამდე რა მოხდება, ღმერთმა იცის. ცნობილი გახდა, რომ ბოლო ორ მატჩში "იუვეს" მეორე მწვრთნელი **ჯანკარლო კორადინი** უხელმძღვანელებს.

ამასობაში კი, **მასიმო რანიერი** "პარმას" ტოვებს. გამოცდილმა მწვრთნელმა გასაჭირში მყოფი გუნდი თებერვალში ჩაიბარა და დიდი ძალისხმევის ფასად, სერია A-ში დატოვა. ის თავის მისიას შესრულებულად თვლის. ახლა, ჰორიზონტზე ისევ ინგლისია. "ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი (2000-04 წლებში) "მანჩესტერ სიტის" დამრიგებელი ხდება. ის არჩევანს ასე ხსნის:

"რატომ ინგლისი? იმიტომ, რომ დღესდღეობით, ინგლისური ფეხბურთი ჩემთვის და ბევრისთვისაც ერთგვარი ჰიპნოზია. იქ შვიდი-რვა ძალიან ძლიერი გუნდია და ტურნირს ეს ძალიან ალამაზებს. თავის დროზე, ასე იყო იტალიაშიც. ახლანდელი პრემიერლიგა კი სულ სხვაა. იდეა ის არის, რომ "მანჩესტერ სიტი" თავის სახელოვან თანაქალაქელს უნდა გაუტოლდეს. საოცარი განცდაა, როცა "იუნაიტედთან" შესახვედრად ემზადები".

ბოლოხანს, "სიტიში" სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა. კლუბი ტაილანდის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, მულტიმილიარდერმა **ტაქსინ შინავატრამ** შეიძინა. ახალი პატრონი რანიერს ჰპირდება, რომ ტრანსფერებისთვის, უკვე ამ ზაფხულს, 50 მილიონ გირვანქას გამოუყოფს. აქედანვე გასაგები ხდება, თუ რატომ ამჯობინებს რანიერი ღარიბ "პარმას" (რომელიც მომავალ სეზონშიც, ალბათ, ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებს) უკვე მოლონიერებულ "მანჩესტერ სიტის". ჯერჯერობით, უცნობია, თუ ვინ შეცვლის მას ცხელ პარმეზანულ სკამზე. მიმომხილველთა ერთი ნაწილი "ენიო ტარდინიზე" **ალბერტო მალეზანის** დაბრუნებას წინასწარმეტყველებს. შეგახსენებთ, რომ მალეზანის ხელში "პარმას" უეფას თასი აქვს მოგებული (1999).

თავად მალეზანიმ კი "უდინეზე" უკვე დატოვა. სწორედ ეს გახდა ეჭვის საბაბი. არადა, ფრიულელთა პრეზიდენტი **ჯამპაოლო პოცო** აცხადებდა, რომ მიუხედავად არასახარბიელო შედეგებისა, კლუბი მალეზანისთან ურთიერთობას გააგრძელებდა. როგორც ხედავთ, ასე არ ყოფილა. "უდინეზემ" ვაკანტურ პოსტზე წარადგინა "კატანიის" ყოფილი დამრიგებელი **პასკუალე მარინოს**, რომელსაც სხვა წინადადებებიც ჰქონდა.

სამწვრთნელო ცვლილება მოხდა "რეჯინაშიც". როგორც მოსალოდნელი იყო, **ვალტერ მაძარიმ** "სამპდორიას" მიაშურა, სადაც თავისი სეხნია **ნოველინო** შეცვალა. რეჯოკალაბრიელთა პრეზიდენტი **პასკუალე ფოტი** ახალ დამრიგებელს ეძებს. სახელდება რამდენიმე გვარი, მაგრამ როგორც ირკვევა, ბოსის სიაში პირველია "რიმინის" თავკაცი **ლეონარდო აკორი**. ამ კაცის წარმატებები ფრიად თვალსაჩინოა. სერია C-დან გასულ წელს აღზევებულ "რიმინის" შანსი აქვს, თვით ელიტაში გადასასვლელ ფლეი ოფშიც მოხვდეს. რაც შეეხება ნოველინოს, მას "ნაპოლის" მომავალ მწვრთნელად მოიაზრებენ. მეტიც: ზოგიერთი გაზეთი გადაჭრით ამტკიცებს, რომ **ედუარდო რეია** პოსტს სწორედ მას გადააბარებს, როგორც კი სერია B-ს მარათონი დასრულდება და ნეაპოლელები უმაღლესი დივიზიონის საგზურს გაიფორმებენ. თუმცა ცნობილია ის ვერსიაც, რომლის თანახმადაც, ნოველინო "იუვენტუსში" მისვლის ერთ-ერთი კანდიდატიცაა.

ახალი მწვრთნელი მივიდა "პალერმოშიც". ცხადი იყო, რომ **მაურიციო ძამპარინი** არ გარისკავდა და ასეც მოხდა: **ფრანჩესკო გვიდოლინი** სიცილიაზე არ დარჩება. ოდიოზური პრეზიდენტის ფავორიტად იქცა ახლა "ატალანტის" მწვრთნელი **სტეფანო კოლანტუონოა**. მან უკვე დაავალა კლუბის სპორტულ დირექტორ **ლინო ფოსკის**, სასწრაფოდ გაუფორმებინა კონტრაქტი კოლანტუონოსთვის, რომელსაც სხვა კლუბებიც ეპატიჟებოდნენ. ბერგამოელებს არაფრისდიდებით არ სურდათ მისი გაშვება, ამას გარდა, 45 წლის სპეციალისტმა სიგნალი მიიღო "პარმისა" და "ტორინოსგან". მაგრამ ეტყობა, ძამპარინიმ უფრო ოპერატიულად იმოქმედა. იმასაც ამბობენ, რომ კოლანტუონო ბერგამოდან "პალერმოში" ნახევარმცველ **ჯულიო მილიაჩოსაც** წაიყვანს. რაც შეეხება თავად "ატალანტას", "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, კლუბის პრეზიდენტი **ივან რუჯერი**. უკვე დაუკავშირდა გამოცდილ **ემელიანო მონდონიკოს**, რომელიც ახლა "ალბინოლეფეს" ავარჯიშებს. საუბარია **ჯუზეპე იაკინისა** ("პიაჩენცა") და **დომენიკო დი კარლოზეც** ("მანტოვა").

ბოლო მომენტში გაირკვა, რომ "ტორინო" **ჯანი დე ბიაზის** კონტრაქტს აღარ გაუგრძელებს. არადა, "ბროწეულების" ბოსმა **ურბანო კაირომ**, სერია A-ში დარჩენის შემთხვევაში, მწვრთნელს სწორედ ეს პირობა მისცა. ვითარება შეიცვალა. კაირო ეცდება, დე ბიაზი როგორმე **ფრანჩესკო გვიდოლინით** ჩაანაცვლოს. მას აქვს ალტერნატიული ვარიანტი ნოველინოს სახით. "კორიერე დელო სპორტი" ამტკიცებს, თითქოს კაირო და ნოველინო უკვე შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს, მაგრამ მწვრთნელს მოსაფიქრებლად დრო უთხოვია. იქვე, გაზეთი ვარაუდობს, რომ ბატონი ვალტერი ტურინში ვითარების გარკვევას ელოდება. პარალელურად, "ტოროს" შეფი **დანიელე არიგონის** ("ლივორნო") ვარიანტსაც უსინჯავს ნიადაგს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლფსბურგი

გადაწყდა: მგლებს მაგათი უპატრონებს

გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ დიდი შანსი იყო, **ფელიქს მაგათი** "ვოლფსბურგის" მთავარი მწვრთნელი და სპორტული დირექტორი გამხდარიყო. დღეს კი უკვე შეგვიძლია, დაბეჯითებით გითხრათ, რომ "მგლების" ხელმძღვანელებსა და "დესპოტ ფელიქსს" შორის გარიგება შედგა: გუშინ გუნდის ბოსებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ მაგათი "ვოლფსბურგის" ახალი მწვრთნელია - უფრო სწორად, მენეჯერი ინგლისურ სტილში. "ბაიერნის" ყოფილმა დამრიგებელმა "ვოლფებთან" კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. მისი ხელფასი წლიურად 4 მილიონი ევრო იქნება.

ამრიგად, 53 წლის სპეციალისტის ფუნქცია არა მხოლოდ გუნდის განვრთნაა, არამედ მან უნდა მიხედოს და გაანაწილოს ფინანსები, თვალ-ყური ადევნოს ბავშვთა გუნდებში მიმდინარე სამუშაოებს და ა.შ. ანუ, მაგათი "ვოლფსბურგის" სპორტული განყოფილების ბოსი გახდა. დადასტურდა ისიც, რომ ფელიქსი გუნდის მთავარმა სპონსორმა, "ფოლკსვაგენის" შეფმა **მარტინ ვინტერკორნმა** დაითანხმა. ეს უკანასკნელი მაგათს "ბაიერნიდან" იცნობს - ვინტერკორნი "ფოლკსვაგენამდე" რეკორდმაისტერის სპონსორის, "აუდის" შეფი გახლდათ ზუსტად იმ პერიოდში, როცა იქ ფელიქსი მუშაობდა.

"ვოლფსბურგში" დიდი პერსპექტივა დავინახე. მინდა, რომ ჩემი გამოცდილებით, ეს გუნდი ფეხზე დავაყენო და კონკურენტუნარიანად ვაქციო. გაისად "ვოლფსბურგმა" ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის აღარ უნდა იბრძოლოს," - განუცხადა მაგათმა საინფორმაციო საagენტო DPA-ს. თუ რა იქნება მაგათის მიერ გაწვრთნილი "მგლების" მიზანი, ეს მწვრთნელმა არ დააკონკრეტა. *"პირველ რიგში, გუნდი უნდა გავიცნო, გავიგო, ვინ რისი მაქნისია და ვინ რამდენადაა მოტივირებული. ამის შემდეგ საქმეს შევუდგები. ცხადია, ახალი ფეხბურთელებიც მჭირდება,"* - თქვა მან.

"ვოლფსბურგის" შეფები მიღწეულით ბედნიერები არიან და იმედოვნებენ, რომ მაგათი "ვოლფსბურგს" ყველასთვის ანგარიშგასანევ ძალად აქცევს. მართალია, ამაზე ჯერ არავინ საუბრობს, მაგრამ ცხადია, რომ ასეთი მწვრთნელის დანიშვნის შემდეგ, გუნდის მიზანი მინიმუმ უეფას თასის საგზურის მოპოვება იქნება.

ფელიქს მაგათი მწვრთნელის რანგში ორჯერ იყო გერმანიის ჩემპიონი - 2005 და 2006 წლებში, როცა ის "ბაიერნს" წვრთნიდა და ამ პერიოდში რეკორდმაისტერს მან გერმანიის თასიც ორჯერ მოაგებინა. 2004 წელს კი, როცა მიუნხენურ გიგანტში ახალი დანიშნული იყო, გერმანიის ლიგის თასი აიღო. "ბაიერნამდე" მაგათი "შტუტგარტს", "აინტრახტს", "ვერდერს", "ნიურნბერგსა" და "ჰამბურგს" თავკაცობდა. აქტიური სპორტული კარიერის დროს, გერმანიის ნაკრებში 43 შეხვედრა აქვს ჩატარებული (3 გოლი). ორჯერ იყო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1982 და 1986), 1980 წელს კი ევროპის ჩემპიონი გახდა. საკლუბო დონეზე მის ყველაზე დიდ წარმატებად 1983 წელს, "ჰამბურგთან" ერთად ჩემპიონთა თასის მოპოვება მიიჩნევა. HSV-ში თამაშისას მან თასების მფლობელთა თასიც აიღო (1977) და სამჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი (1979, 1982, 1983).

გოტფრიდ ლენცი

ფელიქს მაგათი

ანჩელოტი და მილანი: ერთად 2010 წლამდე

ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის **კარლო ანჩელოტიმ** საჩუქრად ახალი კონტრაქტი მიიღო. გუშინ მან "მილანთან" კიდევ ორი წლით გააგრძელა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ის "როსონერიში" 2010 წლის 30 ივნისამდე დარჩება, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა. მაგრამ მარტო კონტრაქტი კი არა, კარლეტოს ხელფასიც გაუზარდეს. თუ ადრე წლიურად 2.3 მილიონ გირვანქას იღებდა, ახლა 3.5 მილიონს მიიღებს. ანჩელოტის ოცნებაა, ოდესმე იტალიის ნაკრებიც გაწვრთნას. ამის პერსპექტივა სწორედ "მილანთან" კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ უჩნდება. 2010 წელს ხომ მუნდიალია და მისი დასრულების შემდეგ, იქნებ, "სკუადრა აძურას" ახალი მწვრთნელი დასჭირდეს...

სავიოლა: ბარსა დასრულდა, იუვე იწყება?

ხავიერ სავიოლამ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ "ბარსელონაში" აღარ დარჩება. 30 ივნისის შემდეგ, ის თავისუფალი აგენტი ხდება და სადაც მოისურვებს, იქ გადავა. კატალონიელები ცალყბად კი სთავაზობდნენ კონტრაქტის გაგრძელებას, რაც სავიოლამ, როგორც იტყვიან, არ "ჭამა" - წინადადება კატეგორიულად უარყო. ასეც იქნებოდა, რადგან 2001 წლიდან მოყოლებული, "ბარსაში" მუდამ მეორეხარისხოვანი მოთამაშე იყო. მისი გადაბირების ყველაზე მეტი შანსი "იუვენტუსს" აქვსო, გვარწმუნებენ იტალიური სააგენტოები.

ნიუკასლმა ვიდუკა დაიბეჭა

მარკ ვიდუკა "ნიუკასლში" გადადის. "სანის" ცნობით, თავდამსხმელმა "მიდლსბროსთან" კონტრაქტის გაგრძელება არ ისურვა. რივერსაიდელებმა მას ორწლიანი ხელშეკრულება და კვირაში 40 ათასი გირვანქა შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს. როგორც ჩანს, ვიდუკას ჯორდებისგან უფრო სარფიანი წინადადება ჰქონდა. 31 წლის ვეტერანი "ნიუკასლის" ახალი თავკაცის **სემ ელერდაისის** პირველი შენაძენია. პრემიერლიგის გასულ სეზონში, ქრონიკული ტრავმების მიუხედავად, მარკმა 14 გოლი შეაგდო.

"ნიუკასლში" შეიძლება აღმოჩნდეს "ვესტ ჰემის" ცენტრალური მცველი **ლუკას ნილიც**. ლონდონელები ჯორდების კაპიტან **სკოტ პარკერს** ეპატიჟებიან. ეს ფეხბურთელი 8.5 მილიონი გირვანქა ღირს. "ჩაქუჩებს" სურთ, თანხის ერთი ნაწილი ავსტრალიელი ლეგიონერით აანაზღაურონ. გარიგება, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში შედგება. "ნიუკასლმა" უნდა იჩქაროს, რადგან ლუკასს "ბარსელონა", "ჩელსი" და "მანჩესტერ იუნაიტედი" აკვირდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. კაპიტნის პრესკონფერენცია

რაული: ეტოო რეალში ტრიუმფალური კარიერაზე ოცნებობდა

გონსალეს ბლანკო დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი სარაგოსას ურთულეს შეხვედრას მოუგებს და ჩემპიონი გახდება...

რაულ გონსალესი მორიგ გოლს ზეიმობს

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ **რაულს** საშუალება მიეცა, ხანგრძლივი პრესკონფერენცია გაემართა. ჟურნალისტებმა რესპონდენტს მათთვის საინტერესო ყველა კითხვა დაუსვეს. 2 და 5 ივნისს ესპანეთის ეროვნული გუნდი ლიტვისა და ლიხტენშტეინის ნაკრებებთან უმნიშვნელოვანეს საკვალიფიკაციო შეხვედრებს გამართავს. ჩვეულებისამებრ, "სელექსიონი" უდიდეს ინტერესს იწვევს, მაგრამ ამჯერად **ლუის არაგონესისა** და მისი შეგირდების ამბავი, პრაქტიკულად, არავის აინტერესებს. ესპანეთის ჩემპიონატმა ევროპის პირველობის შესარჩევი ორთაბრძოლები პირწმინდად დაჩრდილა. რაულისთვის ამ თემასთან დაკავშირებით ერთი კითხვაც კი არ დაუსვამთ.

საუბარი სწორედ პრიმერადივიზიონური შანსების შეფასებით დაიწყო. მადრიდული გიგანტის ვარსკვლავი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში გაირკვევა: "პროგნოზების კეთება არასოდეს მიყვარდა, მაგრამ ამჯერად გამონაკლისს დავუშვებ და ჩემს მოსაზრებებს გაგიზიარებთ. მომდევნო ტურში "სარაგოსასთან" ურთულესი გასვლა გველის, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, რომ ამ თამაშს მოვიგებთ. "ბარსელონა" "ესპანიოლს" უმასპინძლებს. ვფიქრობ, ქულებს კატალონიელებიც არ დაკარგავენ. ასე რომ, ბოლო ტურის წინ სტატუს-კვო შენარჩუნდება. ბოლო დაპირისპირებას "მალიორკასთან" გავმართავთ. ასევე დარწმუნებული ვარ, ბალერაელებსაც ვაჯობებთ და დიდი ხნის ნანატრ ტიტულს დაიესაკუთრებთ. "სანტიაგო ბერნაბეუდან" პირდაპირ სიბელესზე წავალთ. ჩვენი მოედანი მთელი ღამით გადაიკეტება. გულშემატკივრებთან ერთად დაუვიწყარ ფიესტას მივეცემით."

ყურნალისტების დიდ ნაწილს რაულის კატეგორიულობა და ზედმეტი თავდაჯერება ძალიან გაუკვირდათ. ის ტრაბახა ადამიანების კატეგორიას არასოდეს განეკუთვნებოდა და ხმაურიან განცხადებებს მუდამ ზომიერ, დაბალანსებულ გამოსვლებს ამჯობინებდა. მასმედიელებს მოეჩვენათ, რომ გონსალეს ბლანკო კონკურენტებს შესაბამისად არ აფასებს. ფეხბურთელი მათ არ დაეთანხმა: "გულწრფელად ვიტყვი, "ბარსელონა" და "სევილია" შესანიშნავ სეზონს ატარებენ. პრაგმატული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, "რეალს" უფრო რთული შეხვედრა აქვს ჩასატარებელი, მაგრამ მართლაც დარწმუნებული ვარ, ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ. სიბელესის სალამოს დიდი ხანია ველით. სამეფო კლუბს უამრავი ფინალი მოუგია. სარაგოსაში ახალი ფინალი გველის და მჯერა, ყველაფერი ჩვენთვის სასიხარულოდ დასრულდება. ჩემი აზრით, კატალონიელები დარჩენილ ორ შეხვედრაში ექვს ქულას მოიპოვებენ. სეზონის ბოლოს იდენტური მაჩვენებელი გვექნება, თუმცა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ურთიერთშეხვედრებში ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო, "რეალი" ავა."

პრესკონფერენციაზე ბარსელონიდან საგანგებოდ ჩასულმა კორესპონდენტმა რაულს **სამუელ ეტოოს** შესახებ დაუსვა კითხვა. არ გამართლდა იმათი მოლოდინი, ვინც ფიქრობდა, რომ მადრიდული გრანდის კაპიტანი "ბარსას" არაორდინალურ ფორვარდზე აუგად ისაუბრებდა: "ის ძალიან ძლიერი პიროვნებაა. ვაუკაცური ხასიათიდან გამომდინარე, გაჩუმება არ ახასიათებს. ეტოო ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. შესაძლოა, სამუელს ბევრი არ ეთანხმებოდეს, მაგრამ ეს მისი გადაწყვეტილებაა და პატივისცემას იმსახურებს. ისე, მე განსხვავებული ადამიანი ვარ. პირად საკითხებზე ფიქრს, სამეფო კლუბის ღირებულებებსა და ინტერესებზე ფიქრი მირჩევნია. ხდება, როცა პირადული და კოლექტიური ინტერესები ერთმანეთს ეჯახებიან. აქამდე ყოველთვის ჩემსას ვთმობდი. ეტოო კი პირიქით იქცევა. სხვათა შორის, ხშირად ის უფრო მართალია. დიდი ხნის წინათ სამუშ პირადად მითხრა, მადრიდის "რეალში" ტრიუმფალური კარიერის გაკეთება მინდოდა, მაგრამ მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ამის საშუალება არ მომცაო. "მალიორკაში" ჩატარებული ბრწყინვალე სეზონის შემდეგ კამერუნელი 100 პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაბრუნდებოდა, თუმცა ის "კამპ ნოუზე" აღმოჩნდა. ეტოოს არასოდეს დაუმალავს ამ ფაქტით გამოწვეული იმედგაცრუება... მაგრამ რას ვიზამთ, ეს ცხოვრებაა. პირადად მე გული მწყდება, რომ სამეფო კლუბში ვერ დაბრუნდა. ეჭვი არ მეპარება, მისი დახმარებით გასულ სეზონებს გაცილებით უკეთ ჩავატარებდით და ტიტულებსაც დავესაკუთრებდით."

მასმედიელები "სარაგოსასთან" მოახლოვებულ მატჩზე რაულის მიერ გამოთქმული მოსაზრებით არ დაკმაყოფილდნენ და თემას დაუბრუნდნენ. აღსანიშნავია, რომ რაულისთვის "სარაგოსა" განსაკუთრებული გუნდია: "თითქმის 11 წლის წინათ ჩვენი გუნდის იმდროინდელი მთავარი მწვრთნელი, ხორხე ვალდანო ვარჯიშის შემდეგ ჩემთან მოვიდა და მითხრა: "მოემზადე, თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, რომ მომდევნო ტურში გათამაშო. დიდ ფეხბურთში უნდა შეაბიჯო. ძალიან მინდა, სადებიუტო შეხვედრა მაღალ დონეზე ჩაატარო." სიხარულით კინაღამ გონება დავკარგე, თუმცა სახლში მისულმა ვიფიქრე, ვალდანო მაინც არ დამაყენებს-მეთქი. პესიმიზმი არ გამართლდა. არგენტინელმა სიტყვა შეასრულა და მოედანზე შემიშვა. ეს ყველაფერი სწორედ "სარაგოსასთან" თამაშში მოხდა. პრიმერა დივიზიონში სადებიუტო პაექრობა არაგონელების წინააღმდეგ ჩავატარე. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ის შეხვედრა არასოდეს დამავიწყდება. მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა. ახლა სულ სხვა ამბავი გველის. მართლაც ჯოჯოხეთურად რთული თამაში გაიმართება, მაგრამ როგორც უკვე გითხარით, წარმატებაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. არ გვაშინებს, რომ არაგონელები ჩვენთვის ტრადიციულად რთული მეტოქეები არიან. დღეს საერთოდ არ მაინტერესებს, რომ 2004 წელს ესპანეთის სამეფო თასის ფინალში დაგვამარცხეს. ვერც შარშან "ლა რომარედაზე" განცდილი კრახი (1:6) გამიფუჭებს განწყობას. ვგონებ, ყველა ხედავს, რომ "რეალი" ახლა სულ სხვა გუნდია. ცოტა ხნის წინათ დაბნეულები, დემორალიზებულები და დაქსაქსულები ვიყავით, მაგრამ ახლა ჩვენთვის შეუძლებელი არაფერია. ბოლო დროს მოპოვებული ქულები, ფანტასტიკურად წარმართული მატჩები ოპტიმიზმს მიღრმავებს."

კაპიტანს სანაკრებო ბატალიების გამო პრიმერა დივიზიონის წყვეტაც არ აშინებს: "ძალიან ცუდია, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრები სეზონის გადამწყვეტ ეტაპს დაემთხვა, მაგრამ ვერაფერს შევცვლით. ეროვნულ გუნდსაც ხომ სჭირდება დახმარება. წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, სჯობდა, ბიჭები აქ დარჩენილიყვნენ, თუმცა რაც არის, ეს არის. მჯერა, რიტმს შევინარჩუნებთ და ბოლო ორ ტურს უმაღლეს დონეზე ჩავატარებთ. ღმერთს ვთხოვ, ტრავმა არავინ მიიღოს. მთავარ საფრთხეს ამაში ვხედავ. ჯადოქარი არ ვარ, რომ მომავალი ვინნასწარმეტყველო, მაგრამ ასეთი თავდაჯერებული არასოდეს ვყოფილვარ. ნებისმიერ ბარიერს გადავლახავთ და პრიმერა დივიზიონში გავიმარჯვებთ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოპოვებული ტიტული ცხადია, განსაკუთრებით ტკბილი იქნება."

ილია ნიკოლაიშვილი

ვერდერი

მავუბა ბრემენშიც უნდათ

კონკურენცია დიდია: იუვე, ვალენსია, არსენალი...

გერმანულმა კლუბებმა უკვე დაიწყეს ტრანსფერების გაჩარხვა და ერთადერთი გუნდი, რომელიც ჯერ ისე არ გააქტიურებულა, როგორც სხვები, მესამე ადგილზე გასული "ვერდერია". მართალია, ბრემენული კლუბის ბოსი **კლაუს ალოფსი** ამბობს, ვალდებულები სულაც არ ვართ, რომ ვინმე ვიყიდოთო, მაგრამ ფაქტია, რომ "ვერდერის" კულისებში სერიოზული მუშაობა მიდის.

გაირკვა, რომ "მუსიკოსების" სკაუტები "კოპენჰაგენის" ფეხბურთელ **ატიბა ჰატჩინსონს** აკვირდებიან. ეს უკანასკნელი 24 წლისაა და ორ პოზიციაზე შეუძლია თამაში: საყრდენი ნახევარმცველი, ცენტრალური მცველი. ალოფსი ამბობს, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირების შანსი არც ისე დიდია, რადგან მას "კოპენჰაგენთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მინიმუმ 5 მილიონი ღირს, თანაც, მას "შტუტგარტიც" უხმობს და კიდევ რამდენიმე ინგლისური კლუბი, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოთამაშე "ვერდერს" სჭირდება - როგორც **ფრანკ ბაუმანის** ალტერნატივა და როგორც **ნალდოსა** და **პერ მერტეზაკერის** შემცვლელი.

სამაგიეროდ, "მუსიკოსები" გაცილებით სერიოზულად ფიქრობენ "ბორდოს" ნახევარმცველ **ანტონიო "რიო" მავუბაზე**, რომელსაც ფრანგულ კლუბთან ხელშეკრულება 2009 წლამდე აკავშირებს და რომელსაც "ბორდოს" დატოვება უნდა. ცნობილია, რომ მავუბა, რომელიც საფრანგეთის ნაკრების წევრია და ახალგაზრდულ ნაკრებში კი კაპიტანი იყო, 8 მილიონი ევრო ღირს. მაგრამ ბრემენელებს "იუვენტუსის", "ვალენსიისა" და "არსენალის" სახით, ძალიან სერიოზული კონკურენტები ჰყავთ.

22 აგვისტოს: ინგლისი vs გერმანია

22 აგვისტოს ინგლისი გერმანიას უმასპინძლებს. ეს იქნება ორი გრანდის პირველი მატჩი 2001 წლის შემდეგ. ექვსი წლის წინათ ალბიონელებმა მეტოქეს შავი დღე აყარეს. მათ მიუხხენის "ოლიმპიაშტადიონზე" ეპიკური გამარჯვება იზეიმეს, 5:1. გერმანელებთან შეხვედრა ინგლისისთვის გენერალური რეპეტიცია იქნება ხუთი გადამწყვეტი საკვალიფიკაციო თამაშის წინ. იმ თამაშებმა **სტივ მაკლარენის** გუნდის ბედი უნდა განსაზღვროს. რადგან ზემოთ ისტორიას შევეხეთ, შეგახსენებთ, რომ გერმანია ბოლო ნაკრები იყო, რომელმაც ძველ "უემბლიზე" ითამაშა და ინგლისს მინიმალური ანგარიშით მოუგო. 2000 წლის ოქტომბერში იმ წაგებამ **კევინ კიგანის** სანაკრებო კარიერა შეიხირა. 2001 წლის დასაწყისში ინგლისში **სვენ გორან ერიქსონის** ერა დაიწყო. მიუნხენის ისტორიული წარმატებაც მის სახელს უკავშირდება.

ჯუდგეიტის მორიგი ოპერაცია

ჯონათან ჯუდგეიტმა მუხლის მორიგი ოპერაცია გაიკეთა. 27 წლის ფეხბურთელი ამბობს, რომ ახალ სეზონს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება. მან "მიდლსბროსთან" ხანგრძლივი კონტრაქტი ერთი თვის წინათ გააფორმა. რივერსაიდელებმა ფეხბურთელი აპრილის მინურულს გამოისყიდეს. "რეალმა" კომპენსაციის სახით 7 მილიონი გირვანქა მიიღო. ეს ტრავმა რომ არა, ჯონათანს ინგლისის ნაკრებში გამოიძახებდნენ. მან სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ფაბიო კაპელო

სატრანსფერო ამბები

კაპელოს დარჩენის ჩინებული შანსი აქვს

კაკას ნაცვლად ადრიანო: გენერალური დირექტორის აზრით, მილანთან ბრძოლას აზრი არა აქვს და ინტერთან მოლაპარაკებების დასაწყებად ემზადება

გუშინ, პრედრაგ მიატოვიჩმა "რეალის" საკლუბო ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში საზოგადოებას რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გააცნო. გენერალურმა დირექტორმა გულშემატკივრებს გულწრფელად მოახსენა, რომ ძალისხმევას ამიერიდან არა **კაკას**, არამედ **ადრიანოს** გადაბირებისკენ მიმართავენ: "კაკა დიადი ფეხბურთელია. იმდენად დიადი, რომ აბსოლუტურად ყველა გრანდის ინტერესს იწვევს. გამონაკლისი არც მადრიდის "რეალია". ჩვენ კვლავ ვოცნებობთ, ბრაზილიელის შეძენაზე, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ ეს ამბავი უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული. "მილანის" ხელმძღვანელები ზედაპირულ საუბარსაც გაურბიან. ამიტომ, ახლა კაკასთვის ბრძოლა უაზრობაა. გადავწყვიტეთ, ამ ეტაპზე მთელი ძალისხმევა ადრიანოს გადმოსაბირებლად მივმართოთ. "ინტერის" ფორვარდი ჩვენი ერთ-ერთი ფავორიტი და უპირველესი სამიზნეა. დასამალი არ არის, რომ მისი ყიდვა გაცილებით უფრო იოლი და რაც მთავარია, რეალურია. კაკას თავადაც არ სურს სხვაგან წასვლა. დღეს ის "მილანში" ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. უახლოეს მომავალში "ინტერის" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებს დავიწყებთ. იმედია, ისინი გაგებით შეხვდებიან ჩვენს ინიციატივას და საქმეს პროფესიულად მიუდგებიან. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე იქნება. ერთ-ერთ შესაძლებელ ვარიანტად ადრიანოსა და კასანოს გაცვლას განვიხილავთ. ბუნებრივია, სოლიდურ თანხასაც დავამატებთ."

მიატოვიჩის ინტერვიუს მეორე ნაწილი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ესპანური გრანდის გენერალურმა დირექტორმა **ფაბიო კაპელოს** მომავალზე ისაუბრა: "ჩემი აზრით, სენიორ კაპელოს სამეფო კლუბში დარჩენის შესანიშნავი შანსი აქვს. მან ფანტასტიკური სამუშაო შეასრულა. იტალიელის წყალობით, პრიმერა დივიზიონის უპირველესი ფავორიტები გავხდით. არადა, სეზონის დასაწყისში წინა წლებში დაგროვებული პრობლემები გადმოგვყვა და უამრავ სირთულეს გადავეყარეთ. იცით, რომ მრავალი ქულა დავკარგეთ, მაგრამ კაპელომ ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, დონ ფაბიოს დატოვება გონიერი და რაციონალური გადაწყვეტილება იქნება. "რეალთან" მას კიდევ ორწლიანი კონტრაქტი აკავშირებს."

სერია A 2006/07

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასანო ადრიანოს ნაცვლად

"რეალი" "ინტერს" **ადრიანოსა** და **ანტონიო კასანოს** გაცვლას შესთავაზებს. ეს განცხადება მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა **პედია მიატოვიჩმა** წამოაყენა: *"ადრიანოს შესანიშნავად ვიცნობ. ჩვენ ერთად "ფიორენტინაში" გვითამაშია. მას ნებისმიერი პოზიციიდან შეუძლია გოლის გატანა. შემიძლია გითხრათ, რომ ადრიანოს ყოველთვის ვაფასებდით... ისიც ვიცით, რომ კასანოს იტალიაში დაბრუნება სურს. სეზონი დასრულდება და ვნახავთ, შეგვიძლია თუ არა ფეხბურთელის სურვილის გათვალისწინება. ამ ეტაპზე საზაფხულო ტრანსფერების უფრო დეტალურად განხილვა ნაადრევად მიმაჩნია."*

ფლაკი 16 თვით მოკვეთეს

"სამპდორიის" თავდამსხმელ **ფრანჩესკო ფლაკის** 16-თვიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. "ინტერთან" 28 იანვრის მატჩის შემდეგ მან დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა. ფლაკის ორგანიზმში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს. ფეხბურთელი შარშანაც გაეხვა სკანდალში. მაშინ ის ორი თვით მოკვეთეს. საიდუმლო სატელეფონო ჩანაწერებიდან გაირკვა, რომ ფეხბურთელი მატჩების მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმაციის გადაცემას ცდილობდა. ფრანჩესკო 32 წლისაა. განაჩენი ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მას კარიერის ნაადრევად დასრულება მოუწევს.

ლუის საა ტორინოში?

"ტორინო" "მანჩესტერ იუნაიტედს" **ლუის საას** სანაცვლოდ 6 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. ამის შესახებ მიმომხილველებს ტურინელთა პრეზიდენტმა **ურბანო კაირომ** ამცნო. **სერ ალექს ფერგიუსონი** წინააღმდეგი არ იქნება, თუკი ფრანგ ფორვარდს სარფიანად გაყიდის. "ტორინოს" გარდა, მისი შეძენა "ლიონსა" და "ტოტენჰემს" სურთ.

სინიშა მიხაილოვიჩი შვილებთან ერთად

ბენეფისი

სინიშა გააცილეს

რობერტო მანჩინიმ ინტერის მაისურა პირველად მოიზომა...

სამშაბათს **სინიშა მიხაილოვიჩი** ფეხბურთიდან გააცილეს. სახელგანთქმულ სერბს ერთი წელია, არ უთამაშია. მან კარიერა გასულ ზაფხულს დაასრულა და მაშინვე "ინტერის" მეორე მწვრთნელად დაინიშნა. სინიშა **რობერტო მანჩინის** მარჯვენა ხელია. გადატვირთული გრაფიკის გამო, საბენეფისო მატჩის ორგანიზება დღემდე ვერ მოხერხდა. თამაშს სინიშას მშობლიურმა ქალაქმა ნოვი სადმა უმასპინძლა. მიხაილოვიჩმა პროფესიული კარიერა იქ დაიწყო. მან ამ ქალაქში სამი სეზონი გაატარა (1988-91), შემდეგ ბელგრადის "ცრვენა ზვეზდას" მიაშურა (1991-92), 1992 წლიდან კი იტალიაში დაიდო ბინა. მან ოთხი იტალიური გრანდი მოიარა – "რომა" (1992-94), "სამპდორია" (1994-98), "ლაციო" (1998-2004) და "ინტერი" (2004-06).

რაც შეეხება ბენეფისს, ნოვი სადის გადაჭედილ 12-ათასიან არენაზე "ინტერი" მიხაილოვიჩის მეგობრებს დაუპირისპირდა. სინიშამ ტრადიციული 11-ნომრიანი მაისურა მოირგო. პირველ ტაიმში მან "ინტერის" შემადგენლობაში ითამაშა, მეორეში კი – მეგობრებს აუბა მხარი. იტალიის ჩემპიონებმა სერბეთში ყველა ვარსკვლავი ჩაიყვანეს. თვით **რობერტო მანჩინიც** კი გავიდა მინდორზე. ეს მანჩოს პირველი მატჩი იყო "ინტერის" მაისურით. მას მილანურ გრანდში არასოდეს უთამაშია.

მატჩის შემდეგ მიხაილოვიჩმა მადლობა გადაუხადა სპონსორებს, რომელთაც "ინტერის" ვიზიტი დააფინანსეს. რეპორტაჟს პირდაპირ ეთერში გადასცემდა სერბეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი და "სქაი იტალია". მიღებული შემოსავალი მთლიანად საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხა.

ისტორიული ფოტო: მანჩინი ინტერის მაისურით

სიმბოლური ნაკრები



ფეარ ფლეი

	უე	ნთ
1. მილანი	66	5
2. კალიარი	61	6
3. ემპოლი	71	4
4. რომა	76	2
5. ლივორნო	75	4
6. ფორენტინა	83	4
7. კიევო	83	6
8. ინტერი	88	7
9. ტორინო	90	7
10. სამპდორია	87	7
11. რეჯინა	102	4
12. პალერმო	90	9
13. ატალანტა	95	8
14. პარმა	99	6
15. ლაციო	88	10
16. უდინეზე	90	12
17. სიენა	92	11
18. კატანია	97	10
19. მესინა	102	13
20. ასკოლი	119	8

დასწრება

	საშ	სულ
1. მილანი	45 991	873 821
2. ინტერი	43 480	826 123
3. რომა	38 691	735 142
4. ფიორენტინა	34 480	655 126
5. პალერმო	27 067	514 277
6. ტორინო	20 558	390 605
7. სამპდორია	19 936	378 799
8. ლაციო	18 261	346 959
9. კატანია	17 805	338 312
10. უდინეზე	16 298	309 680
11. მესინა	16 139	306 654
12. კალიარი	14 530	276 074
13. პარმა	14 419	273 978
14. ატალანტა	13 951	265 080
15. რეჯინა	11 798	224 162
16. ლივორნო	8 422	160 022
17. სიენა	8 043	152 823
18. ასკოლი	7 688	146 074
19. ემპოლი	6 094	115 795
20. კიევო	6 038	114 735

საერთო სტატისტიკა

მატჩი	380
მასპინძლების მოგება	173 (45.5 %)
ფრე	114 (30 %)
სტუმრების მოგება	93 (24.5 %)
გოლები	
სულ	969 (2.55)
მასპინძლების გოლები	566 (1.49)
სტუმრების გოლები	403 (1.06)
გოლები I ტაიმში	421 (1.11)
გოლები II ტაიმში	547 (1.44)
დისციპლინა	
ყვითელი ბარათი	1753 (4.61)
ორმაგი ყვითელი ბარათი	86 (0.23)
წითელი ბარათი	55 (0.14)

ბომბარდირები

	გ	პენ
1. ტოტი (რომა)	26	5
2. ლუკარელი (ლივორნო)	20	3
3. რიგანო (მესინა)	19	5
4. ბიანკი (რეჯინა)	18	3
5. ამორუზო (რეჯინა)	17	3
6. სპინეზი (კატანია)	17	5
7. მუტუ (ფიორენტინა)	16	2
8. როკი (ლაციო)	16	3
9. ტონი (ფიორენტინა)	16	0
10. იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)	15	0
შინ		
1. ტოტი (რომა)	14	4
2. ლუკარელი (ლივორნო)	14	3
3. სპინეზი (კატანია)	12	4
4. ამორუზო (რეჯინა)	11	2
სტუმრად		
1. ტოტი (რომა)	12	1
2. ბიანკი (რეჯინა)	12	3
3. იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)	11	0
4. როკი (ლაციო)	9	3
5. რიგანო (მესინა)	9	3
I ტაიმში		
1. ბუდანი (პარმა)	11	0
2. ლუკარელი (ლივორნო)	10	1
3. მუტუ (ფიორენტინა)	9	1
4. ტოტი (რომა)	9	2
II ტაიმში		
1. ტოტი (რომა)	17	3
2. იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)	12	0
3. ბიანკი (რეჯინა)	11	3
4. რიგანო (მესინა)	11	3

უდისციპლინოები

	უე	წით
კონტი (კალიარი)	14	3
მინიერი (ასკოლი)	14	2
კოპოლა (ლივორნო)	12	3
სიმპლიჩიო (პალერმო)	10	4
ჯ. დელვეკიო (სამპდორია)	12	2
პარიზი (მესინა)	12	2
მატერაცი (ინტერი)	13	1
მუდინგბაი (ლაციო)	14	0
პინჩი (უდინეზე)	14	0
ბაიოკო (კატანია)	11	2

წითელი

ფრეი (ფიორენტინა)	3420
მანინგერი (სიენა)	3420
კალდერონი (ატალანტა)	3330
პანტანელი (კატანია)	3330
მოლინარო (სიენა)	3285
კაური (ლაციო)	3240
მანდელი (კიევო)	3240
დ. მორო (ფსპოლი)	3234
აბიატი (ტორინო)	3233
დე სანკტისი (უდინეზე)	3196
პენალტები	
სუასო (კალიარი)	6
მატერაცი (ინტერი)	4
ტოტი (რომა)	4
რიგანო (მესინა)	4
საულატი (ემპოლი)	4
როკი (ლაციო)	3
კაკა (მილანი)	3
სპინეზი (კატანია)	3
მშრალი მატჩები	
ფრეი (ფიორენტინა)	19
აბიატი (ტორინო)	14
დიდა (მილანი)	13
ბალი (ემპოლი)	13
ჟულიო სეზარი (ინტერი)	12
პერუჯი (ლაციო)	11
ამელია (ლივორნო)	11
ა. დონი (რომა)	11
დე სანკტისი (უდინეზე)	9
მანინგერი (სიენა)	9

საუკეთესო მოთამაშეები

RAI-ს ვერსიით

1. მუტუ (ფიორენტინა)	6.50
2. იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)	6.48
3. მატერაცი (ინტერი)	6.43
4. ტოტი (რომა)	6.41
5. კ. დონი (ატალანტა)	6.40
6. ფონტანა (პალერმო)	6.39
7. სტანკოვიჩი (ინტერი)	6.39
8. კორინი (პალერმო)	6.37
9. კალიარელა (სამპდორია)	6.36
10. დი ნატალე (უდინეზე)	6.36
11. კამბიასო (ინტერი)	6.35
12. დე როსი (რომა)	6.34
13. ფრეი (ფიორენტინა)	6.33
14. ჟულიო სეზარი (ინტერი)	6.31

საუკეთესო ლეგიონერები

RAI-ს ვერსიით

1. მუტუ (ფიორენტინა)	6.50
2. იბრაჰიმოვიჩი (ინტერი)	6.48
3. სტანკოვიჩი (ინტერი)	6.39
4. კამბიასო (ინტერი)	6.35
5. ფრეი (ფიორენტინა)	6.33
6. ჟულიო სეზარი (ინტერი)	6.31
7. კანეტი (ინტერი)	6.31
8. ფიგუ (ინტერი)	6.27
9. ა. დონი (რომა)	6.26
10. ვიეირა (ინტერი)	6.25
11. კრესპო (ინტერი)	6.25
12. ალვირონი (ემპოლი)	6.25
13. მანსინი (რომა)	6.18
14. მეძსე (რომა)	6.18
15. მუდინგბაი (ლაციო)	6.18

ლიდერები (საერთო)

ყველაზე მეტი მოგება	30	ინტერი
ყველაზე ნაკლები წაგება	1	ინტერი
ყველაზე მეტი ფრე	15	რეჯინა
ყველაზე ნაკლები მოგება	5	მესინა, ასკოლი
ყველაზე მეტი წაგება	22	მესინა
ყველაზე ნაკლები ფრე	7	ინტერი
ყველაზე მეტი გოლი	80	ინტერი
ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი	31	ფიორენტინა
ყველაზე უკეთესი სხვაობა	46	ინტერი
ყველაზე ნაკლები გოლი	27	ტორინო
ყველაზე მეტი გაშვებული გოლი	69	მესინა
ყველაზე უარესი სხვაობა	-32	მესინა
ყველაზე გრძელი მოგებათა სერია	17	ინტერი
ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია	31	ინტერი
ყველაზე გრძელი ფრეთა სერია	6	კალიარი
ყველაზე გრძელი წაგებათა სერია	6	მესინა, ტორინო
ყველაზე გრძელი მოუგებელი სერია	17	ასკოლი

ლიდერები (შინ)

ყველაზე მეტი მოგება	15	ინტერი, ფიორენტინა
ყველაზე ნაკლები წაგება	1	ინტერი
ყველაზე მეტი ფრე	9	ატლანტა
ყველაზე ნაკლები მოგება	3	ასკოლი
ყველაზე მეტი წაგება	9	ტორინო
ყველაზე ნაკლები ფრე	2	ფიორენტინა
ყველაზე მეტი გოლი	44	ფიორენტინა
ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი	9	ლაციო
ყველაზე ნაკლები გოლი	15	ტორინო
ყველაზე მეტი გაშვებული გოლი	32	ასკოლი
ყველაზე გრძელი მოგებათა სერია	10	შტუტგარტი
ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია	15	ინტერი, რომა
ყველაზე გრძელი ფრეთა სერია	5	ატლანტა
ყველაზე გრძელი წაგებათა სერია	4	კიევო, ვერონა, ტორინო
ყველაზე გრძელი მოუგებელი სერია	8	ასკოლი, კატანია, პალერმო

ლიდერები (სტუმრად)

ყველაზე მეტი მოგება	15	ინტერი
ყველაზე ნაკლები წაგება	0	ინტერი
ყველაზე მეტი ფრე	9	მილანი
ყველაზე ნაკლები მოგება	0	მესინა
ყველაზე მეტი წაგება	15	მესინა
ყველაზე ნაკლები ფრე	3	სამპდორია
ყველაზე მეტი გოლი	38	ინტერი
ყველაზე ნაკლები გაშვებული გოლი	15	ინტერი
ყველაზე ნაკლები გოლი	12	ასკოლი, სიენა, ტორინო
ყველაზე მეტი გაშვებული გოლი	43	მესინა
ყველაზე გრძელი მოგებათა სერია	11	ინტერი
ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია	19	ინტერი
ყველაზე გრძელი ფრეთა სერია	5	კალიარი
ყველაზე გრძელი წაგებათა სერია	7	მესინა
ყველაზე გრძელი მოუგებელი სერია	19	მესინა

რომა

	თ	გ	ყ	ნ
ფრანჩესკო ტოტი	35	2	2	1
დანიელე დე როსი	34(2)	2	7	0
სიმონე პერროტა	32(2)	8	4	0
ალექსანდერ დენი*	32	0	3	0
დავიდ პისარო	30(2)	1	8	0
კრისტიან პაუნერი	29(4)	5	6	0
ფილიპ მეძ�e	28	3	10	0
მაძს ტონეტო	27(3)	0	2	0
როდრიგო ტადეი	27(2)	5	1	0
კრისტიან კიეუ	27	0	6	0
მანსინი	24(5)	8	5	0
მატეო ფერარი	23(3)	2	6	1
მარკო კასეტი	18(10)	2	7	0
კრისტიან ვილჰელმსონი	12(7)	1	2	0
ალბერტო აკინელი	8(5)	1	3	0
ფრანჩესკო ტავანი	7(7)	2	0	0
ჯანლუკა კურჩი*	6	0	0	0
მირკო ვუჩინიჩი	5(20)	2	2	0
ალექსანდრო როსი	5(14)	2	3	0
ვინჩენცო მონტელა	5(7)	3	2	0
რიკარდო ფატი	3(8)	0	1	0
ვალერიო ვირგა	1(3)	0	0	0
სტეფანო ოკაკა ჩუკა	0(6)	1	0	0

ასროლი

	თ	გ	ყ	ნ
ვიქტორ ბუდიანსკი	30(1)	3	10	0
მიკელე ფინი	29(2)	1	6	0
ვალენტინ ნასტასე	28(1)	0	8	0
პაოლო კანეტი	26(2)	1	6	0
საშა ბილანოვიჩი (ხორ)	24(2)	7	4	0
ჯანლუკა პალიუკა*	23	0	2	0
მიკელე პაოლუჩი	19(13)	6	3	0
სიმონე პესკე	19(8)	0	5	1
მირკო კუდინი	19	0	2	0
მატეო მელარა	15(1)	0	6	1
სტეფანო გუზერტი	14(9)	0	0	0
მარკო პეკორარი	14	1	3	0
დიმ. ელეფთეროპულოსი*	14	0	1	0
მიკელანჯელო მინიერი	13(6)	0	10	2
ანდრეა სონჩინი	12(4)	6	3	0
გაეტანო ფასტოლა	12(4)	0	3	0
რიკარდო კორალო	12	1	7	0
პაოლო ფონიო	11	0	8	0
გაეტანო ფონტანა	10(1)	0	4	0
ალექსანდრ ლუკოვიჩი	10	0	3	0
სტეფანო ლომბარდი	9(1)	0	5	1
ჯაგპირო პერული	8(19)	2	2	0
მასიმო ბონანი	8(6)	2	4	1
დანიელე გალოპა	8(5)	0	1	0
დომენიკო ჯაგპა	7(4)	0	1	0
ლუიჯი დი გაიჯო	7	2	3	1
მარკო დელვეკიო	5(4)	2	4	1
ფაბიო პეკია	4(3)	0	0	0
ტომას ერვე ჭოგი	3(2)	0	1	0
ერვინ სკელა	2(5)	0	1	0
ალესანდრო ბოკოლინი*	1(4)	0	0	0
ოლივერ ნსიაბამფუმუ	1	0	0	0
სალვატორე ბოკეტი	0(2)	0	0	0
მასიმო გოტი	0(1)	0	0	0

აბალანგა

	თ	გ	ყ	ნ
ალეძს კალდერონი*	37	0	0	0
ლუკა არიატი	34(2)	2	9	0
ჯანპაოლო ბელინი	31(1)	1	4	1
ჯულიო ბილიარო	30(3)	2	4	1
კლაუდიო რივალტა	29(2)	1	4	0
მასიმო დონატი	27(5)	1	8	0
სიმონე ლორია	27(1)	5	11	2
ადრიანო ფერეირა პინტუ	26(7)	2	2	0
რიკარდო ძამპანია	25(3)	12	8	1
კრისტიანო დონი	24(2)	12	12	0
ანტონიო ბერნარდინი	20(4)	0	4	0
ადრიანო	19(6)	1	10	2
ლეონარდო ტალამონტი	19(1)	0	6	0
მორის კაროციერი	16(3)	1	6	0
ფერნანდო ტისიონე	15(18)	3	0	0
ნიკოლა ვენტოლა	14(15)	6	2	0
დავიდ ბოგდანდინი	11(13)	2	2	0
მარიო დეფენდი	8(9)	1	2	0
ანდრეა სონჩინი	2(5)	1	0	0
ნელსონ აბეიხონი	2(3)	0	2	0
კარამოკო სისე	1(2)	0	0	0
ანდრეა ივანი	1	0	0	0
კრისტიან ვიერი	0(7)	2	1	0
კევულაი კონტე	0(1)	0	0	0

კლიკარი

	თ	გ	ყ	ნ
დავიდ სუასო	36	14	2	0
პაოლო ბიანკო	35	1	4	0
დიეგო ლოპესი	34(1)	0	3	0
დავიდ ბიოდინი	30	1	6	0
დანიელე კონტი	28(2)	3	14	3
ალესანდრო აგოსტინი	23(5)	0	0	0
ლეონარდო კოლუჩი	23(3)	1	4	0
ანტონიო კიეტტი*	22	0	0	0
ალესანდრო გუდელი	19(11)	1	4	0
ფრანჩესკო პიზანო	19(5)	0	3	0
მიკელე ფერი	19(3)	1	3	0
სიმონე პეკე	18(18)	3	3	0
ანტონიო დ'აგოსტინო	17(10)	1	1	0
კრისტიანო დელ გროსო	17(4)	0	2	0
გუნარ ესპოზიტო	17(1)	1	3	0
ანდრეა კაპონე	16(9)	3	2	0
მარკო ფორტინი*	16(1)	0	1	0
დავიდ მარკინი	10(6)	3	3	0
ანტონიო ლანგელა	8(8)	0	5	1
ჯო ბისერა	5(5)	0	0	1
მიკელე კანინი	3(1)	0	1	0
ალესანდრო პოტენცა	1(4)	0	2	0
რობერტო პუდუ	1(2)	0	0	0
ძოზე სემედო	1(2)	0	1	0
მარკო მაკუზო	1	1	0	0
ანდრეა კოკო	0(3)	1	0	0
გაბრიელ პენალბა	0(3)	0	0	0
სალვატორე ბუარა	0(1)	0	0	0
სიმონე არესტი*	0(1)	0	0	0

კაბანია

	თ	გ	ყ	ნ
არმანდო პანტანელი*	37	0	3	0
ფაბიო კასერტა	34(1)	6	8	0
ლორენცო სტოვინი	34	2	7	1
დავიდ ბაიოკო	32	0	11	2
ჯონატა სანინეზი	31(1)	17	4	1
მარკ ედუსეი	30(1)	0	8	0
ხუან ვარგასი	29(4)	0	5	0
ანდრეა სოტილი	29	1	9	0
ჯუზეპე მასკარა	28	6	6	3
ჯუზეპე კოლუჩი	23(1)	3	5	0
კრისტიან სილვესტრი	22(3)	0	3	1
ჯორჯო კორონა	16(15)	7	3	0
ჯორჯო ლუჩინტი	16(8)	0	4	0
ჯენარო სარდო	12(5)	0	6	0
მარიანო ისკო	11(8)	0	2	0
სესსარი	8(1)	0	3	0
მატია ბიზო	6(9)	0	6	1
მაურო მინელი	6(3)	1	1	1
ჯანლუკა ფალსინი	5	0	1	0
ფრანჩესკო მილეზი	3(6)	0	0	0
უმბერტო დელ კორე	2(9)	0	0	0
ფაუსტო როსინი	1(15)	2	2	0
ჩირო პოლიტო	1(1)	0	0	0
ტაკაიუკი მორიმოტო	0(5)	1	0	0
ჯანვიტო პლაზმატი	0(1)	0	0	0

კიევი

	თ	გ	ყ	ნ
დავიდ მანდელი	36	1	8	0
პაოლო სამარკო	31(1)	2	7	1
სალვატორე ლანა	30(1)	0	4	0
ფრანკო სემიონი	29(3)	2	3	0
გატეო რიბეი	27(1)	6	2	1
სერჯო პელისიერი	25(11)	8	2	0
ლორენცო სკიეი*	21	0	2	0
ლორენცო დ'ანა	20(1)	1	6	1
მარკო მალაგო	18(3)	0	5	0
ფაბიო მორო	18(1)	0	5	1
ვიქტორ ოგინა	17(7)	5	4	1
ვინჩენცო სიჩილიანო*	17	0	2	0
არიონ ბოგდანი	16(3)	5	4	0
ანდრეა მანტოვანი	15(3)	0	4	0
ვინჩენცო იტალიანო	15(2)	0	2	0
მიკელე მარკოლინი	14(11)	1	6	0
ლუსიანო	12(2)	0	5	2
ანდრეა ძანკეტა	9(2)	3	2	0
ჯოვანი მარკეზე	8(1)	0	2	0
ალბერ კოსოვსკი	7(16)	0	1	0
ფედერიკო ჯუნტი	7(1)	0	0	0
ფედერიკო კოსატო	6(11)	1	3	1
სიმონე ტირიგოკი	5(10)	3	2	0
ჯუზეპე სკურტო	5	0	1	0
დენის ბოდიასი	3(2)	0	0	0
სალვატორე ბრუნო	2(2)	0	0	0
ჩეზარე რიალერი	2(2)	0	1	0
ჯუზეპე კოცოლინო	1(4)	0	0	0
მატია მარკესეტი	1(4)	0	1	0
მიკელე ტროიანო	1(2)	0	0	0
სეზარ სასატში	0(3)	0	0	0
სულიან რუდჯო	0(1)	0	0	0
სტეფანო გარძონი	0(1)	0	0	0

ეკბოლი

	თ	გ	ყ	ნ
იგლი ვანუკი	35(3)	5	3	0
დავიდ მორო	35(1)	1	10	0
ანტონიო ბუსკე	35	4	1	0
ანდრეა რაგი	35	1	6	0
ლუკა საუდატი	30(4)	13	6	0
დანიელე ბალი*	30	0	2	0
სერხიო ალბირონი (არგ)	28(2)	6	4	0
ფრანჩესკო პრატალი	27	1	6	0
სტეფანო ლუკინი	27	0	6	0
ფრანჩესკო მარიანინი	20(12)	1	2	0
დავიდ მატეინი	19(13)	4	3	0
ნიკოლა პოცი	18(12)	5	5	0
ლინო მარძორატი	16(10)	1	2	0
რიჩარდ ვანილი	14(8)	0	5	1
ვიტორიო ტოსტო	14(6)	0	5	1
დანიელი ადანი	12(3)	0	1	0
ნიკოლა ასკილი	8(5)	0	1	0
დავიდ ბასი	8	0	0	0
ფაბრიციო ფიჩინი	4(6)	0	3	1
მირკო მასპარატო	2(6)	0	0	1
ედერი (ბრა)	1(4)	0	0	0
კლაუდიო კორალი	0(3)	0	0	0
დანიელე ბუცეგოლი	0(2)	0	0	0
ივანო ბალდანცედუ	0(2)	0	1	0
სიმონე იაკოპინი	0(1)	0	0	0
სალვატორე კატურანო	0(1)	0	0	0

ფიორენტინა

	თ	გ	ყ	ნ
სებასტიან ფრეი*	38	0	0	0
მანუელ პასკუალი	34	0	5	1
ადრიან მუტუ	33	16	12	0
ფაბიო ლიეტერანი	32(4)	1	7	0
ტომაშ უიფალუში	30(1)	1	8	0
დარიო დანიელი	30(1)	1	6	1
რიკარდო მონტოლივო	29(7)	2	7	0
ლუკა ტონი	27(2)	16	4	0
მარტინ იორგენსენი	26(9)	3	2	0
ალესანდრო გაგგერინი	26(2)	3	3	1
მანუელი გლაზი	21(10)	1	10	0
მარკო დონადელი	19	0	4	0
პერ კრულდრუპი	17(4)	1	3	0
მიკელე პაციენცა	13(8)	0	4	0
ალესანდრო პოტენცა	12(7)	1	2	0
რეზინალდო ფერეირა	11(16)	6	2	0
ჯანპაოლო პაცინი	9(15)	7	3	1
მასიმო გოზი	7(9)	0	1	0
მარიო სანტანა	3(5)	1	1	0
ზდრავკო კუჭმანოვიჩი	1(3)	0	0	0
სავეულ დი კარმინე	0(2)	0	0	0
დავიდ გრეგორიო	0(1)	0	0	0

ინტერი

	თ	გ	ყ	ნ
ხავიერ ძანეტი	34(3)	1	2	0
ჟულიო სეზარი*	32	0	1	0
დიეგო სტანკოვიჩი	31(3)	6	11	0
მაიკონი	27(5)	2	9	1
მარკო მატერაცი	27(1)	10	12	1
ივან კორდობა	25(4)	0	8	0
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	25(2)	15	8	2
ერნან კრესპო	22(7)	14	3	0
ფაბიო გროსო	22(1)	2	1	0
ლუიჯ ფიგუ	19(13)	2	5	0
ნიკოლას ბუენდია	19(5)	2	7	0
პატრიკ ვიეირა	19(1)	1	6	1
ოლივიე დაკური	18(6)	0	7	0
ესტებან კამბიასო	18(3)	3	1	0
ალრიანო	14(9)	5	1	0
მაძსველი	14(8)	1	2	0
სანტიაგო სოლარი	12(9)	1	1	0
ვალტერ სამუელი	12(6)	3	4	0
ხულიო არუსი	8(7)	7	2	0
ალვარო რეკობა	6(7)	1	0	0
ფრანჩესკო ტოლდო*	6	0	0	0
მარიანო გონსალესი	4(9)	0	1	0
მარკო ანდრეოლი	4	0	0	0
იბრაჰიმ მაარუფი	0(1)	0	0	0
ლამპროს ხოუტოსი	0(1)	0	0	0

ლაციო

	თ	გ	ყ	ნ
ტომაზო როკი	36	16	1	1
ლუჩანო ძაური	36	0	5	1
გორან პანდევი	34(2)	11	3	1
კრისტიან ლედესმა	33	2	11	1
სებასტიანო სიცილია	31(1)	3	2	2
სტეფანო მაური	29	6	6	0
ანჯელო პერუჯი*	27(1)	0	0	0
ბაბი მუდინგაი	25(3)	0	14	0
მასიმო მუტარელი	23(1)	2	11	0
სანჩეს კრიბარი	23	1	4	1
გილერმო სტენდარდო	19(2)	3	4	2
კრისტიან მანფრედინი	16(9)	2	2	0
ვალენტ ბეკრამი	15(2)	1	7	1
მასიმო ოდო	15	5	5	1
მანუელ ბელერი	10(12)	1	3	0
ლუის ხიმენესი	9(7)	2	1	0
მარკო ბალოტა*	9(2)	0	0	0
სტეფან მაკინვა	5(20)	3	1	0
რობერტო ბარნინი	5(6)	0	2	0
ფაბიო ფირმანი	4(7)	0	1	0
რიკარდო ბონეტო	4(5)	0	1	0
პასკუალე ფეჯა	3(8)	1	2	0
მოდიგო დიაკიტე	2(1)	0	1	0
ტომაზო ბერნი*	2	0	0	0
იგლი ტარე	1(13)	0	2	0
ლორენცო დე სილვესტრი	1(1)	0	0	0
ალბერტო კუდრი	1	0	0	0
სიმონე ინძაგი	0(5)	0	1	0

ლიორნი

	თ	გ	ყ	ნ
სტეფანო მორონი	34(3)	1	6	0
ანტონიო ფილიპინი	34(1)	2	7	0
ჯოვანი პასკუალე	33	0	8	2
ალესანდრო გრანდონი	32(1)	0	5	0
დარიო პასონი	31(1)	0	12	1
მარკო ამელია*	31	0	2	0
კრისტიანო ლუკარელი	30(4)	20	4	0
ფაბიო გალანტე	30(2)	1	4	0
მარკ პუეტტელი	21(9)	2	2	0
დავიდ გალერი	17(8)	0	5	0
სამუელ კუფური	16(2)	0	5	0
სტეფანო ფიორე	15(1)	2	0	0
რაფაელ რეზაეი	14(2)	1	2	0
პაულინო	12(8)	2	2	0
ლუკა ვიჯანი	11(4)	1	0	0
სიმონე პაპანი	10(2)	0	2	0
იბრაჰიმ ბაკაიოკო	9(7)	3	1	0
დარიო კნეჟევიჩი	8(3)	1	0	0
კარმინე კოპოლა	7(4)	0	5	1
ემანუელი განტა*	7	0	0	0
აპარესიდო სესარი	5(4)	1	1	1
ტომას დანილევიჩუსი	4(9)	3	1	0
ჭოზე ვიდიგალი	3(14)	0	2	0
სეზარ პრატეში	1(3)	0	1	0
სტეფანო არჯილი	1(1)	0	0	0
სტეფანო ფანუჩი	1	0	0	0
მარტინ ბერგვოლდი	0(5)	0	0	0

ქიესინა

	თ	გ	ყ	ნ
სალვატორე მასიელო	36	1	4	0
მარკო ძანი	32	2	10	2
ალესანდრო პარიზი	28(2)	2	12	2
კრისტიან რიბანო	26(1)	19	7	0
ლუიჯი ლავეკია	25(6)	0	6	0
ედგარ ალვარესი	20(12)	2	1	0
დანიელე დე ვეცი	20(7)	0	8	1
ანჯელო რეა	20(3)	0	9	1
მარკ იულიანო	20(1)	0	8	1
მარკო სტორარი*	19	0	0	0
სერჯო ფლოკარი	17(10)	2	1	0
ნიკოლას კორლუბა	17(6)	5	3	1
მარკო ზორო	17(4)	1	10	2
ვენსან კანდელა	16	0	4	0
მანოლო პესტრინი	13(3)	0	4	0
არტურო დი ნაპოლი	12(10)	2	3	0
ანდრეა ჯალეგბარდო	12(4)	0	3	0
რობერტო დ'ავერსა	12	0	2	0
კარმინე კოპოლა	11(2)	0	8	2
გაბრიელე პაოლეტი*	11	0	1	0
ივიცა ილიევი	7(14)	0	1	0
ენრიკო მორელი	7(10)	0	2	1
ნიკოლას კალიონი*	7	0	0	0
იბრაჰიმ ბაკაიოკო	5(1)	0	0	0
მიცუო ოგასავარა (იაპ)	4(2)	1	0	0
სალვატორე სელო	2(2)	0	1	0
გაეტანო გალა	1(1)	0	0	0
ალესანდრო ჩეზარეტი*	1	0	0	0
მასიმო მინეტი	0(2)	0	0	0
ანტონიო გოგსი	0(2)	0	0	0
ჯიროლამო პროვენცანო	0(1)	0	0	0

ვილანი

	თ	გ	ყ	ნ
ანდრეა პირლო	31(3)	2	6	1
კაკა	30(1)	8	1	0
მარეკ იანკულოვსკი	26(7)	3	3	0
კლარენს ზეედორფი	25(6)	7	2	0
ალბერტო ჯილარდინო	25(5)	12	4	0
კრისტიან ბროკი	25(4)	1	3	1
ნელსონ დიდა*	25	0	1	0
ჯენარო გატუზო	24(6)	1	9	0
დანიელე გონერა	23(2)	0	9	0
კაფუ	21(3)	0	3	0
რიკარდო ოლივეირა	16(10)	3	4	0
დარიო შიმიჩი	16(5)	0	3	0
პაოლო გალდინი	16(2)	1	1	0
კახა კალაძე	15(4)	1	2	1
ჯუზეპე ფაკალი	12(3)	2	2	0
ალესანდრო ნესტა	12(2)	0	1	0
რონალდო	12(2)	7	1	0
ფილიპო ინაგაგი	11(9)	2	3	0
მასიმო ავგროზინი	10(9)	3	2	0
ჭილკო კალაჩი*	10	0	0	0
იონან ბურკუფი	9(12)	1	4	0
მასიმო ოდო	8(2)	1	0	1
სერჟინიო	5(2)	0	1	0
მარკო გორიელო	4(5)	1	0	0
ალესანდრო კოსტაკურტა	3	1	1	0
მარკო სტორარი*	3	0	0	0
ლეანდრო გრეგი	1(2)	0	0	0
ლუკა ანტონელი	0(1)	0	0	0
ალეძს გუსერჩი	0(1)	0	0	0
დავიდ დე ჯენარო	0(1)	0	0	0
მატეო დარმიანი	0(1)	0	0	0

პალერმო

	თ	გ	ყ	ნ
ანდრეა ბარძალი	36	1	2	0
კრისტიან ძაკარდო	35(1)	5	6	1
მარკ ბრეშიანო	32(2)	6	4	0
ფაბიო სიცილიანო	32(1)	5	7	3
ალბერტო ფონტანა*	31	0	2	0
მარკო პიზანო	30(3)	0	6	1
რობერტო გუანა	28(4)	0	12	1
დავიდ დი მიკელე	28(1)	9	6	0
ეუჯენიო კორინი	25	9	9	0
მატია კასანი	24(7)	0	5	0
აიმო დიანა	20(6)	1	4	0
ჯუზეპე ბიავა	20(2)	1	10	1
ანდრეა კარაჩოლო	17(10)	5	2	1
აბაური	17(1)	8	3	0
ფრანკო ბრიენსა	9(13)	0	4	0
ჯოვანი ტედესკო	8(18)	4	0	0
ფედერიკო ალიარდი*	7(2)	0	0	0
ერნან დელაფიორე	6(2)	0	0	0
ედისონ კავანი	5(3)	2	2	0
ჩირო კაბუანო	2(5)	1	1	0
გუნრიციო ჩიტადამტარო	3(3)	0	2	0
ფრანჩესკო პარავიჩინი	1(7)	0	2	0
რადოსლავ მატუსიაკი	1(2)	1	0	0
ჯანი მუნარი	1	0	0	0
გილერმო ჯაკომაცი	0(7)	0	1	0
ჩეზარე ბოვო	0(1)	0	0	0

პარმა

	თ	გ	ყ	ნ
იგორ ბუდანი	34	13	5	1
პაოლო კასტელინი	32(2)	0	2	0
მატეო კონტინი	28	1	8	1
დანიელე დესენა	27(7)	2	9	0
ლუკა ბუჩი*	26	0	1	0
ფერდინანდ კოლი	25(2)	1	5	1
ვინჩენცო გრილა	22(4)	1	8	1
მასიმო პაჩი	22(3)	0	3	0
ფერნანდო კოუტუ	22(1)	2	10	1
ანდრეა გასპარონი	16(13)	6	4	0
ზლატან მუსლიმოვიჩი	16(12)	3	1	0
ჯუზეპე როსი	16	9	3	0
ფრანჩესკო პარავიჩინი	16	1	2	0
დომენიკო მორფეო	15(8)	1	5	1
ლუკა ჩიგარინი	15(6)	0	4	0
ანდრეა პიზანუ	15(5)	0	5	0
მაურიციო ჩიარამონტარო	15(2)	0	5	0
დამიანო ფერონეტი	12(4)	0	3	0
ალფონსო დე ლუჩიკა*	12(1)	0	3	0
ანტონიო ბოჯეტი	9(9)	0	3	0
მარკო როსი	7(1)	0	1	0
ხორხე ბონანო	6(4)	0	2	0
არმანდო პერნა	6	0	2	0
ჯუზეპე კარდონე	2(3)	0	0	0
ვიტალი კუტუზოვი	1(8)	0	0	0
ზლატან დედიჩი (სლოვენ)	1(5)	0	1	0
დანიელე პაპონი	0(11)	1	0	0

რეჯინა

	თ	გ	ყ	ნ
რონალდო ბიანკი	37	18	6	0
ფრანჩესკო მოდესტო	35	3	6	0
ჯაკომო ტედესკო	35	2	11	1
სალვატორე არონიკა	35	0	11	1
ალესანდრო ლუკარელი	34	2	11	1
ჯანდომენიკო მესტო	33	0	4	0
მაურიციო ლანარნო	32	0	9	1
დანიელე ავერინი	29(7)	1	7	0
ნიკოლა ამორუზო	28(6)	17	6	0
ლუკა ტონიოცი	18(6)	0	4	0
ივან პელიციერი*	21	0	0	0
ხულიო სეზარ ლეონი	16	2	3	0
ანდრეა ადამაანლოლი*	15	0	0	0
პასკუალე ფეჯა	11(4)	4	3	0
ლუკა ვიჯანი	11(4)	2	3	0
ანტონიო ჯოზა	9(6)	0	3	0
სიმონე მისერილი	5(17)	0	6	0
რიკარდო ზანტესი	4(10)	1	2	0
პალვირო დი დიო	4(2)	0	1	0
რიკარდო ნარდინი	2(10)	0	0	0
ფილიპო კაროიო	1(10)	0	3	0
ალესანდრო გაცი	1(8)	0	1	0
ნიკი ნილსენი	0(7)	0	0	0
ლეონელ რიოსი	0(6)	0	1	0
ანტონიო ბარილა	0(4)	0	0	0
კრისტიან პუჯიონი*	2(1)	0	0	0

სამპდორია

	თ	გ	ყ	ნ
ანჯელო პალო

მანჩესტერ იუნაიტედი. ტრანსფერები

ფერგიმ 48 მილიონი უკვე დაამღერა

მანჩესტერის ახალწვეულები: ანდერსონი და ნანი

"მანჩესტერ იუნაიტედი" ორ ახალგაზრდა ვარსკვლავს ყიდულობს – "სპორტინგის" გარემარბ **ნანისა** და "პორტუს" ბრაზილიელ ფლეიმეიქერ **ანდერსონს**. კლუბებთან პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. ფეხბურთელებმა კონტრაქტის პერსონალური დეტალები უფრო ადრე შეათანხმეს. "ეშმაკებს" ნანი 17 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ, ხოლო ანდერსონი 14 მილიონი. სამედიცინო შემოწმებების შემდეგ გარიგება ოფიციალურად გაფორმდება.

ნანის სრული სახელია **ლუიშ კარლოს ალმეიდა და კუნია**. ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ის პორტუგალიის ნაკრებში გამოიძახა და ხვალ ბელგიელთა წინააღმდეგ ათამაშებს. ნანის **კრისტიანო რონალდოს** ადარებენ. ისიც ძალიან სწრაფია და ორივე ფლანგზე ერთნაირი წარმატებით თამაშობს. მან ეროვნულ გუნდში ხუთი თამაშის ჩატარება მოასწრო და ერთი გოლი გაიტანა.

ანდერსონ ლუის დე აბრეუმ მიმომხილველების ყურადღება ორი წლის წინათ მიიპყრო. ის 17-წლამდელთა მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **კარლოს დუნგამ** ანდერსონი გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანა. ის შეიძლება კოპა ამერიკაზეც გაემგზავროს. 19 წლის ფეხბურთელი პორტუში 2005 წელს "გრემიოდან" გადავიდა. გასული წლის აგვისტოში, ამსტერდამის ოთხთა ტურნირზე მან "იუნაიტედის" წინააღმდეგაც ითამაშა.

გუშინვე "იუნაიტედის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა **ოუენ ჰარგრივსის** ტრანსფერი. ინგლისელი ნახევარმცველი 1 ივლისს ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. "ბაიერნს" 17 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ეს იმას ნიშნავს, რომ **სერ ალექს ფერგიუსონმა** საზაფხულო ტრანსფერებში უკვე დახარჯა 48 მილიონი გირვანქა. ეს იმ დროს, როცა მის კონკურენტებს ჯერ თითი თითზე არ დაუდიათ. მიმომხილველების ვარაუდით, ახალ სეზონში ფერგი 4-2-3-1 სქემით ითამაშებს. ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელის **უეინ რუნის** უკან სამი შემტევი ნახევარმცველი – რონალდო, ნანი და ანდერსონი განთავსდებიან.

მოსალოდნელი ტრანსფერი

დორტმუნდი ტროხოვსკისთვის

დორტმუნდის "ბორუსიის" მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი** კარგ ფლეიმეიქერს ეძებს. როგორც ირკვევა, მას ერთი წლის წინათ, **ბერტ ვან მარვიიკის** მწვრთნელობის დროს ნაყიდი **სტივენ პიენაარი** არ აკმაყოფილებს. მართალიცაა: ამ უკანასკნელმა **ტომაშ როსიცკი** არათუ ვერ შეცვალა, მისი სამუშაოს ნახევარსაც ვერ გასწვდა. მართალია, ბოლო დროს ნორმალურად ათამაშდა, მაგრამ ფაქტია, რომ მომავალ სეზონში დოლი მხოლოდ პიენაარის იმედზე ვერ იქნება.

"კიკერის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დოლმა ხელმძღვანელებს "ჰამბურგისა" და გერმანიის ნაკრების შემტევი შუამარბის, **პიოტრ ტროხოვსკის** ყიდვა მოსთხოვა. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ BVB-ს გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** HSV-ს ბოსებს უკვე დაუკავშირდა და ტროხეზე ჩამოუგდო სიტყვა. თვითონ ფეხბურთელმა გუნდის გამოცვლაზე, წესით, უარი არ უნდა თქვას. მართალია, ტროხოვსკიმ ჩრდილოელებთან კონტრაქტი ახლახან 2011 წლამდე გააგრძელა, მაგრამ ის ჰამბურგული ყოფით უკმაყოფილოა, რადგან ახალი მწვრთნელი **ჰუუბ სტევენსი** ძალიან იშვიათად ენდობა. ეს უკანასკნელი მუდმივად 4-4-1-1 ტაქტიკით თამაშობს, სადაც ფლეიმეიქერის პოზიციაზე **რაფაელ ვან დერ ვაარტს** ალტერნატივა არ ჰყავს. შესაბამისად, ტროხე სულ სკამს ხეხავს. დოლი კი, "ჰამბურგში" მუშაობის დროს წარმოშობით პოლონელ ნახევარმცველს რეგულარულად ენდობოდა. მოკლედ, თომასი მის შესაძლებლობებს დიდად აფასებს. ასე რომ, დიდი შანსია, ტროხოვსკი BVB-ში ვიხილოთ.

ბულარუზი და მაკელელე მიდიან

"ჩელსი" რამდენიმე ფეხბურთელთან გამოთხოვებას აპირებს. ერთ-ერთი მათგანი ჰოლანდიელი მცველი **ხალიდ ბულარუზია**. "დეილი მირორის" ინფორმაციით, "ბაიერნი" ეპატიჟება. გერმანელებს მისი შეძენა 3.5 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. შედარებისთვის, ერთი წლის წინათ ლონდონელებმა "ჰამბურგს" ბულარუზის სანაცვლოდ 10 მილიონი გადაუხადეს. ხალიდი ბუნდესლიგას შესანიშნავად იცნობს. როგორც აღვნიშნეთ, "ჩელსიში" ტრანსფერამდე ის ჰამბურგელთა ღირსებას იცავდა.

ლონდონიდან აბარგებას უწინასწარმეტყველებენ **კლოდ მაკელელესაც**. ფრანგ ნახევარმცველს "ოლიმპიაკოსი" ეპატიჟება. ამ ინფორმაციას ბერძნული წყაროები ავრცელებენ. მათი მტკიცებით, პირეოსელთა თავკაცი **ტაკის ლემონისი** პირადად შეხვდა ფეხბურთელს და სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. მაკელელეს ბერძნული ვარიანტი ძალიან მოეწონა. მან მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

მუნტარი, პორტსმუთის უძვირფასესი

"პორტსმუთმა" განელი ნახევარმცველი **სალი მუნტარი** შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ უდინეზეს 7 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. მუნტარიმ ინგლისელებთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ის განის ნაკრების საკვანძო მოთამაშეა. მისი სანაკრებო დებიუტი ხუთი წლის წინათ, 2002 წელს შედგა. სალიმ შარშანდელ მუნდიალზეც ისახელა თავი. აქვე შეგახსენებთ, რომ მუნტარის ტრანსფერამდე "პორტსმუთის" უძვირფასესი ფეხბურთელი ნიგერიელი თავდამსხმელი **ბენჯამინ მვარუვარი** იყო (4 მილიონი გირვანქა).

შტუტგარტი თავდამსხმელს ეძებს

გერმანიის ჩემპიონი "შტუტგარტი" სასწრაფოდ კარგ ფორვარდს ეძებს. თუ ჩვენს გერმანელ კოლეგებს დავუჯერებთ, შეაბები "სოშოს" თავდამსხმელ **კარიმ ზიანისა** და "გუადალახარას" გოლეადორ **ომარ ბრავოს** უხმობენ. უახლესი ინფორმაციის მიხედვით კი, VFB სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება შესთავაზა "სენტ ეტიენის" 21 წლის სენეგალელ თავდამსხმელ **ბატეფიმბი გომისს**, რომელიც საფრანგეთის პირველობის ალმოჩენაა.

ჯარიმების მუნდიალი პიუსტონში

წლის ბოლოს, კერძოდ კი 21-23 დეკემბერს, ჰიუსტონში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება - ოლონდ, საჯარიმო დარტყმების შესრულებაში. ამ უცნაური მუნდიალის ორგანიზატორებმა უკვე დაუგზავნეს მონვეკვები **ლუიშ ფიგუს, ლიონელ მესას, რონალდინიოს, კაკას, დევიდ ბექჰემსა** და **ბერნდ შნაიდერს**. მეკარეები კი **ოლივერ კანი, ფრანჩესკო ტოლდო** და **დიდა** იქნებიან. გამარჯვებული ფეხბურთელი ერთ მილიონ დოლარს მიიღებს, საუკეთესო მეკარე კი – 500 ათას დოლარს.

ვალენსიამ ნავარო დასაჯა

"ვალენსიის" ხელმძღვანელობამ **დავიდ ნავაროს** დასჯა გადაწყვიტა. "ინტერთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ნამოწყებული აყალ-მაყალისა და **ნიკოლას ბურდისოს** უმოწყალოდ ცემის გამო, ახალგაზრდა ესპანელი 20 დღის ხელფასს დაკარგავს. პრეზიდენტ **ხუან ბაუტისტა სოლერს** მიაჩნია, რომ ამ სანქციით სხვებიც ისწავლიან ჭკუას. აღსანიშნავია, რომ ნავარო უეფამაც დასაჯა. ევროპული ფეხბურთის უმაღლესმა ორგანომ მას ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუნერა. აკრძალვა აბსოლუტურად ყველა ტურნირს მოიცავს.

დანიელ ალვეში ბრანსფერზე

სევილიელი **დანიელ ალვეშის** აგენტმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ მისი კლიენტი ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს. პრემიერა დივიზიონის დასრულებისთანავე ბრაზილიელი ახალი სამსახურის მოძებნას შეეცდება. "ლივერპულმა" მკლავები დაიკაპიწა. რა ხანია, ალვეშის ხელში ჩაგდება **რაფა ბენიტესს** სურს. ფეხბურთელს "ჩელსიც" აკვირდება, მაგრამ მერსისაიდელებს მეტი შანსი აქვთ. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები უცნობია. "სანმა" გვაუწყა, რომ ამერიკელმა ბოსებმა ბენიტესის თხოვნა ყურად იღეს. მწვრთნელი შემადგენლობის გასაძლიერებლად სოლიდურ თანხას დახარჯავს.

ინტერვიუ იენს ლემანთან

ვითამაშებ, სანამ ჩემზე უკეთესი არ გამოჩნდება

იენსი პირველი მეკარის სტატუსს იოლად არ დათმობს...

ხვალ იენს ლემანი გერმანიის ნაკრების კარს 45-ედ დაიცავს. 37 წლის მეკარისთვის ეს საამაყო სტატისტიკა არ არის, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლების განმავლობაში ბუნდესმეკარე ოლივერ კანი იყო, რომელმაც ლემანი გერმანიის ნაკრების ძირითადს არ გააკარა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იენსი უკონკურენციოა, რადგან კანი ნაკრებიდან წავიდა. ის პირველია და ამ სტატუსს, ალბათ, კიდევ დიდხანს არ დათმობს, მიუხედავად იმისა, რომ ასაკოვანია. ლემანს "ბილდი" გაესაუბრა.

- ჰერ ლემან, სჭირდება კი გერმანიის ნაკრებს სან მარინოსთან მეკარე?

- ალბათ, არავინ შემეწინააღმდეგება, თუ ვიტყვი, რომ ასეთ მეტოქესთან ბუნდესგუნდს მეკარე საერთოდ არ სჭირდება, მაგრამ მონინააღმდეგეს პატივი უნდა ვცეთ. ასე რომ, საჭირო ვარ.

- პატივი უნდა სცეთ, როგორც პირველ შეხვედრაში?

- ჰო. 12:0-ს ვიგებდით, როცა სან მარინოს კარში პენალტი დაინიშნა. ბიჭებმა შემაგულიანეს, შენ დაარტყიო და მეც მეტოქის კარისკენ გავემართე. ამ დროს, ერთ-ერთი სანმარინოელი მოვიდა და მთხოვა, ნუ შეგვარცხვენ, თუ შეიძლება, პენალტს შენ ნუ დაგვირტყამო. მეც მის თხოვნას პატივი ვეცი და კარში დავბრუნდი, თერთმეტმეტრიანი კი შნაიდერმა შეასრულა.

- იქნებ, ეს თამაში ტიმო ჰილდებრანდისთვის მიგეცათ?

- არავითარ შემთხვევაში! ჩემი ნებით მატჩი რატომ უნდა დავთმო? ეს რომ საჭირო ყოფილიყო, მწვრთნელი მეტყოდა, დაუთმეო. თანაც, ამ თამაშს ასე აგდებით არ უნდა შევხედოთ - რაც არ უნდა იყოს, ეს ოფიციალური სანაკრებო მატჩია, რომელიც სავსე ტრიბუნების ფონზე ჩატარდება. პირადად მე, სან მარინოსთანაც ისეთივე მოტივირებული ვიქნები, როგორც სხვა მატჩებში. ეს იქნება მოთელვა სლოვაკეთთან თამაშისთვის.

- ოლივერ კანთან რომ დაძაბული ურთიერთობა გქონდათ, ეს ყველამ იცის. საინტერესოა, როგორი ურთიერთობა გაქვთ ჰილდებრანდთან?

- ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი, ვიდრე კანთან. ძალიან მაინტერესებს, რომელ კლუბში გააგრძელებს კარიერას. იმედი მაქვს, კარგ გუნდში მოხვდება, თორემ გამოდის, რომ უდიდესი შეცდომა დაუშვა, "შტუტგარტთან" კონტრაქტი რომ არ გააგრძელა. ისე, ცოტა არ იყოს, სასაცილოა: როცა გუნდის დატოვება გადაწყვიტა, იმის წარმოდგენაც კი გაუჭირდებოდა, რომ "შტუტგარტი" გერმანიის ჩემპიონი გახდებოდა. ეს რომ სცოდნოდა, შესაძლოა, ახალი ხელშეკრულება დაუფიქრებლად გაეფორმებინა.

- ბუნდესგუნდის პირველი მეკარე ხართ და უცხოეთში თამაშობთ. მომავალი სეზონიდან, ჰილდებრანდიც ლეგიონერი გახდება. არის თუ არა გერმანული სამეკარეო სკოლა დღესაც ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში?

- ულაპარაკოდ, მაგრამ იტალიურ სამეკარეო სკოლას მაინც ჩამოვრჩებით. ვფიქრობ, ესპანურსაც. ყოველ შემთხვევაში, გერმანიას დღეს არაერთი ძლიერი კიპერი ჰყავს. ბოდო ილგნერის შემდეგ, რომელიც "რეალში" თამაშობდა, ფაქტობრივად, ბუნდესგუნდის ერთადერთი მეკარე ვარ, ვისაც გერმანიის საზღვრებს გარეთ უთამაშია.

- "არსენალში" თქვენი კონკურენტი მანუელ ალმუნიაა. ახლა კი "მეთოფეებმა" პოლონელი ფაბიანსკიც შეიძინეს. ხომ არ შიშობთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაკარგავთ?

- არა, დარწმუნებული ვარ, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე პირველი გოლკიპერი ვიქნები. სანამ სხეული ხელს მიწყობს, სათადარიგოთა სკამი არ მემუქრება.

- გერმანიის ნაკრებში?

- ჰილდებრანდი მაღალი დონის მეკარეა, ასევე რობერტ ენკე და რომან ვაიდენფელერი. მაგრამ ვიცი, რომ ჯერ არანაირი საფრთხე არ მემუქრება, თორემ კონკურენციის სანინააღმდეგო არაფერი მაქვს. პირიქით, რომ არა ჯანსაღი კონკურენცია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასე კარგად ვერ ვიასპარეზებდი. მეტიც, შესაძლოა, მუნდიალზე საერთოდ არ მეთამაშა. კანის სახელი დიდი ხანი გასაქანს არ მაძლევდა და მტანჯავდა. ხოლო როცა იურგენ კლინსმანმა ჯანსაღი კონკურენცია გამოაცხადა, ვიგრძენი, რომ კანის დამარცხება შემეძლო და საბოლოოდ ეს მოვახერხე კიდეც.

- სანაკრებო კარიერას როდის დასრულებთ?

იენს ლემანი

- ბუნდესგუნდიდან მაშინ წავალ, როცა ისეთი ვინმე გამოჩნდება, ვინც მართლა მაჯობებს. ნაკრებიდან საკუთარი ნება-სურვილით წასვლას არ ვაპირებ. მინდა, რომ ისეთი მეკარე გამოჩნდეს, რომელიც იძულებულს გამხდის, ბუნდესგუნდიდან წავიდე. ეს, პირველ რიგში, გერმანიისთვის იქნება კარგი.

- გინდათ, რომ იგივე გრძნობა გამოსცადოთ, რაც კანმა მუნდიალის წინ?

- ის პერიოდი, როცა კანი უალტერნატივო იყო, ჩემთვისაც ურთულესი და ძალიან დაძაბული გახლდათ. შესაბამისად, პირველი მეკარის სტატუსს იოლად არ დავთმობ. ასე რატომ უნდა მოვიქცე? ამაში ცუდი არაფერია - თუ ისეთი ვინმე გამოჩნდა, ვინც მაჯობებს, ე.ი. ის იმის ღირსი იქნება, რომ ნაკრების კარი დაიცვას.

- ვინ იქნება ბუნდესნაკრების მეკარე 2010 წლის მუნდიალზე?

- არ ვიცი. 2007 წელს შეუძლებელია იმის თქმა, რა იქნება 2010 წელს.

- მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებიდან მალე ზუსტად ერთი წელი შესრულდება. მაშინდელი ეიფორია დღემდე შემოგრჩათ?

- რა თქმა უნდა! ეს ისეთი თვე იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. რაც მთავარია, პოზიტიური მხარეები კარგად გავითავისეთ და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს გერმანული ფეხბურთი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ზუსტად ერთი წლის წინათ, სანამ მუნდიალი დაიწყებოდა.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

გასული კვირის ოთხშაბათს, მე-16 ჩემპიონატის საუკეთესოების გამოსავლენი გამოკითხვის შედეგები შემოგთავაზეთ. ყოველ გამოკითხულს ერთ კითხვას ვუსვამდი - სეზონის დასრულების შემდეგი რამე კითხვა ხომ არ დაგრჩათ?

სწორედ მასზე გაცემულ პასუხებს ეძღვნება თქვენს წინაშე მდებარე პუბლიკაცია.

"დინამოს" მწვრთნელმა მოკლედ და კონკრეტულად მომიგო: "ყველაფერს ჩემპიონატის ბოლოს გაეცა პასუხი და ახლა კითხვები არა დასრულებული სეზონის, არამედ მომავალი პირველობის ირგვლივ ტრიალებს."

ჰოდა, მომავალი ხომ წარსულის პირმშოა და მე-17 ჩემპიონატი უკეთესი რომ იყოს, მე-16 პირველობისას გაჩენილ კითხვებს ამომწურავად უნდა უპასუხოს.

სუპერლიგა

- რატომ გაუნელდათ სუპერლიგის დამაარსებლებს ენთუზიაზმი?

- ეს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა იკითხა. მოდით, ჯერ ფაქტები მოვიშველოთ. სეზონის დასაწყისში ტელევიზიით დატრიალდა რეკლამები, რომლებიც ხალხს კალათბურთზე ეპატიჟებოდა. ბოლოს კი მსგავსი მოპატიჟებები კანტი-კუნტად გაისმოდა და ბევრმა ტელემაყურებელმა ვერც გაიგო, როგორ ჩაიარა საქართველოს ჩემპიონატის ფინალებმა.

ენთუზიაზმის განელების მეორე მაგალითი: შემოდგომით საკალათბურთო საქმეში შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები ჩაერთვნენ - მერაბ სეფაშვილმა, მამუკა ონაშვილმა, ნინამ, ანრი ჯოხაძემ გუნდები გადაინაწილეს და ერთგვარი რეკლამაც იკისრეს. ამას მოცეკვავე გოგონების, შოუმენისა და ფოლკლორული ანსამბლების გამოჩენა დაემატა. შედეგად საკალათბურთო დარბაზში მაყურებელთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. სეზონის ბოლოსთვის კი მომღერლებიც გაქრნენ, მოცეკვავეებიცა და ტრიბუნებზე ხალხის რაოდენობაც განახევრდა.

ვფიქრობ, ეს მაგალითები საკმარისია იმისთვის, რომ დავრწმუნდეთ ენთუზიაზმის განელების რეალობაში. ამის კონკრეტული მიზეზის დადგენა ძნელია. შეიძლება სუპერლიგას ფული შემოაკლდა, შეიძლება მენეჯერი **ნიკა ხომასურიძე** გადაიღალა, მაგრამ მისი მისამართით მადლობის სიტყვები მაინც უნდა ვთქვათ - ბევრი იშრომა, დაგვანახვა, რომ მონდომებითა და სწორი მიდგომით ქართული კალათბურთის რეკლამირება შეიძლება, ამას დარბაზის გავსება მოსდევს, რაც თამაშის ხარისხზე პირდაპირპროპორციულად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

იყო ერთი კრიტიკული შენიშვნაც: ჩემპიონატის დონის ანევა სუპერლიგის დახმარებით შესაძლებელი გახდება, თუ ეს ორგანიზაცია თითოეულ კლუბს თითო კლასიან ლეგიონერს ჩამოუყვანსო.

დაჩრდილულნი

- რატომ არ აისახა ზოგიერთი კალათბურთელის კარგი თამაში გამოკითხვის შედეგებზე?

ეს კითხვა გამოცდილ ჟურნალისტ როლანდ ლაბუჩიძეს ეკუთვნის, რომლის აზრით, წლეულს ძალიან დაიჩაგრა **ზვიად ბაბიაშვილი**.

ირაკლი ბერიშვილმა (ავიამშენი), **ირაკლი ხოშტარიამ** (ავიამშენი), **ზვიად ბაბიაშვილმა** (ავიამშენი), **ბესიკ ლეჟავამ** (თსუ), **რიჩარდ მათიაშვილმა** (თსუ), **გიორგი შერმადინმა** (მაკაბი) და კიდევ რამდენიმემ არანაკლებ კარგად ითამაშეს, ვიდრე აზოტელებმა - **ლაშა გამყრელიძემ** და **კოტე ტულუშმა**.

მაგრამ ლაშა გამოკითხვაში მეორე პოზიციაზე გავიდა, ტულუში პირველზე.

არააზოტელთა დაჩრდილვას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: პირველი - საქვეყნოდ ცნობილი, რომ საუკეთესოებს, პირველ რიგში, ჩემპიონ გუნდებში ეძებენ.

მეორე, ურთიერთდაპირისპირებებში აზოტელები გუნდური თამაშით მეტოქეთა ნებისმიერ ლიდერს ანეიტრალებენ (ერთადერთი, ვისი შეჩერებაც უჭირდათ, ფორმაში მყოფი ირაკლი ხოშტარია და ზვიად ბაბიაშვილი იყვნენ). მაგალითად ირაკლი ბერიშვილმა ნახევარფინალები ფაქტობრივად მარტომ მოიგო, ხოლო ფინალურ სერიაში მთლიანად დაიკარგა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

სეზონის შემდეგ, რა კითხვა დაგრჩათ?



როდემდეო?

- როდემდე უნდა ითამაშოს გიორგი შერმადინმა საქართველოს ჩემპიონატში?

ეს კითხვა შარშანაც აქტუალური იყო. შეგახსენებთ, რომ გიორგიმ ამ სეზონში 17 მატჩი ჩაატარა, საშუალოდ 37.6 ქულასა და 14 მოხსნას აგროვებდა, რაც ჩვენი პირველობების ყველა დროის რეკორდია.

შარშან ვფიქრობდი, რომ გიორგის საქართველოდან მალე უნდა გაეღწია, მაგრამ ამ სეზონის შემდეგ შესწორებას შევიტან - ექიმებისა და მწვრთნელების სწორი მუშაობის შედეგად შერმადინმა თამაში 2-ჯერ გაუმჯობესა, რისი საშუალებაც უცხოეთში არ მიეცემოდა, ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველოში დარჩება სწორი ნაბიჯი იყო. თან, რაც მთავარია ყოველ მატჩში 40 წუთს თამაშობდა და უცხოეთში წასულს სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა არ დაეტყობა.

რაც შეეხება ქვეთავის მთავარ შეკითხვას, ამაზე "მაკაბის" მწვრთნელმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა** გვიპასუხა: *"გიორგიმ საქართველოში შესაძლებლობები სრულად ამონურა და მზადაა, სხვა დონეზე აინაცვლოს. "სხვა დონე", ალბათ, რომელიმე ევროპული კლუბი იქნება. რომელი? - ამას ამ ზაფხულს გავარკვევთ".*

სად გაძრა ფინალები?

- მთელი სეზონის განმავლობაში საზოგადოებრივი ტელევიზიის ცენტრალურ მატჩებს პირდაპირ ეთერში უჩვენებდა. რუსთავიდან კი ფინალური სერიის შეხვედრები არ გადმოუციათ. რაშია საქმე?

როგორც ამიხსნეს, რუსთავის დარბაზში ტელერეპორტაჟებისთვის საჭირო ვიდეოკამერები ვერ მონტაჟდება, დარბაზი ძალიან პატარაა...

შეიძლება მართლაც ასეა, მაგრამ ისიც ხომ გაგიგიათ, თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო. სხვათა შორის, მახსოვს 2002-03 წლების სეზონში რუსთავიდან წარმოებული ტელერეპორტაჟები...

დავიხრჩვეთ უწყლოდ და უტაბლოოდ

- ნეტავ როდის გაუმჯობესდება პირობები, რომ კალათბურთელებს საშუალება მიეცეთ თავი სრულყოფილ მოთამაშეებად იგრძნონ, - ეს გულისტკივილი "ავიამშენის" მწვრთნელმა **ლევან მოსეშვილმა** გაგვანდო.

აქაც ფაქტები უდა დავიხმაროთ: ცივილიზებული ევროპისგან ტაბლო, გასახდელებში საშხაპეების არქონა, იატაკის საწმენდი ჯოხის გამომთლელის არყოლა, საპირფარეშოების სიშავე და კიდევ სხვა უამრავი წვრილმანი გვაშორებს. არქაული დროის ვითომ ელექტროტაბლოს ქონას, სჯობს თიხის ფილები მოვიმარჯვოთ და ქულები თითო ამონაკაწრით აღვნიშნოთ, ეს უფრო სანდოა. შთამომავლები იამაყებენ მაინც, ლურსმული დამწერლობა კალათბურთში პირველად ჩვენმა წინაპარმა ქართველურმა ტომებმა გამოიყენესო. მაგალითად, ნახევარფინალებში მსაჯები 24 წამს თითებზე ითვლიდნენ, ხოლო ზოგ მატჩში ანგარიში ტაბლოზე საერთოდ არ ფიქსირდებოდა. ხშირად დაგვინერია, ვერის ბაღის დარბაზი კალათბურთისთვის შეუფერებელია, უფრო სწორად უვარგისიაო...

...და როცა მოთამაშისგან ევროპული საზომებით თუნდაც საშუალო დონის გარჯას ვითხოვთ, პირველ რიგში, პირობები უნდა შევუქმნათ. ნებისმიერი ბავშვი ხომ ახალი ბურთით გაცილებით მეტსა და მონდომებით თამაშობს, ვიდრე ძველი ბურთით.

გაისისთვის ერთ გამოსავალს ვხედავ - ვერის ბაღი ისტორიას ტკბილ მოგონებად უნდა ჩაბარდეს და საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი ევროსტანდარტების შესაბამისად მოპირკეთებულ სპორტის სასახლეში გადაბარგდეს. ბავშვისა არ იყოს, განახლებულ სასახლეში ხომ კალათბურთელებიც სხვა ენთუზიაზმით შევლენ და გულშემატკივრებიც.

...და, ევროპა?

- ნეტავ წლეულს თუ გვეღირსება ევროტურნირებზე საქართველოს დროშის ხილვა? - ეს გახლავთ კითხვა, რომელიც მწვრთნელებსაც დაებადათ და ჟურნალისტებსაც.

ჩემი ინფორმაციით, "აზოტის" ხელმძღვანელობა გუნდის ევროპაზე გაყვანას შარშანაც ფიქრობდა, მაგრამ როცა ფინალურ სერიაში "ავიამშენთან" დამარცხდა, ჩათვალა, რომ კლუბი საერთაშორისო ასპარეზობისთვის ჯერ მზად არ იყო.

წლეულს "აზოტი-ენერჯი ინვესტი" საქართველოს ჩემპიონია და...

გუნდის უფროსობამ ევროთასებზე გასვლის სურვილი გამოთქვა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. იმედია, გადაწყვეტილება ქართული კალათბურთისთვის სასიკეთო იქნება.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ვლადიმერ ბოისა

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ

წააგო მწვრთნელმა

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" წარუმატებლად დაიწყო - სიენაში "რომასთან" 14-ქულიანი ანგარიშით დამარცხდა (74:88).

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჟურნალისტმა შეიძლება მწვრთნელზე მეტი იცოდეს, მაგრამ ამა თუ იმ სპეციალისტის შეცდომების დანახვა სწორედ მედიელთა საქმეა. ვისაც სურს არ დამეთანხმოს, მაგრამ სტატისტიკის მოხმობით მაინც ვიტყვი, რომ "მონტეპასკიმ" დედაქალაქელებთან მწვრთნელის გამო წააგო.

დავიწყოთ იქედან, რომ სიენელთა რიგებში 30-ზე მეტი წუთი სამმა კალათბურთელმა ითამაშა. თუკი სეზონის მსვლელობას გავიხსენებთ, გუნდის ლიდერად სწორედ 3-4 მოთამაშე ითვლება და დანარჩენი მეორეხარისხოვან ფუნქციას ასრულებს.

ასეთ ვითარებაში სერიოზულ მეტოქეს ერთი უპირატესობა აქვს - ლიდერების ამოკეტვით გუნდის პარალიზება შეუძლია. ხოლო ისინი ვინც მთელი სეზონი ჩრდილში იყვნენ, ერთ მატჩში ვერ იფეთქებენ. სწორედ ასე მოხდა "მონტეპასკი"-"რომას" ნახევარფინალურ დაპირისპირებაში: წინა ხაზში სიენელთა ლიდერ **სტოუნრუკს** დედაქალაქელებმა 37 წუთში ერთი ორქულიანიც არ ასროლინეს (მხოლოდ 3 საჯარიმო და 2 სამქულიანი გამოიყენა), ხოლო მთავარ უკანახაზელს, **ფორტეს** 36 წუთში 16 ქულა კი მოუგროვდა, მაგრამ მარგი ქმედების კოეფიციენტმა მინუსები უჩვენა: -11. აქვე გეტყვით, რომ სტონრუკის მქკ -14 იყო.

ამასობაში გაილაღა "რომას" სერბმა მექულემ **დეიან ბოდიროგამ**, რომელმაც 32 წუთში 20 ქულა, 6 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, მარგი ქმედება კი სტონრუკზე 39-ით მეტი ჰქონდა (25). ამერიკელ სტოუნრუკზე ბევრს იმიტომ ვსაუბრობთ, რომ იგი გუნდის ლიდერია და ამავე დროს ვლადიმერ ბოისას უშუალო კონკურენტი.

თუკი ვოვას მონაგარს გადავხედავთ, უთუოდ გაგვიჩნდება კითხვა - მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ** ქართველს მხოლოდ 5 წუთი რატომ არგუნა, ხოლო სტოუნრუკს - 37?

ბოისამ დროის შეზღუდულ მონაკვეთში ერთი სამქულიანი ისროლა და მიზანში ზუსტად მოარტყა, თან ერთი ჯარიმაც "აიკიდა"...

მოკლედ, არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ სერია A-ს შარშანდელ გათამაშებასთან: მაშინ "მონტეპასკი" მეოთხედფინალიდან სწორედ "რომამ" გამოაგდო. ვლადიმერ ბოისა კი მწვრთნელ **კარლო რუკალკატიზე** ჩიოდა - ამერიკელ ლეგიონერებზეა გადაყოლილიო...

ძნელი სავარაუდოა, რომ პიანიჯანიმ ბოისასადმი მიდგომა სეზონის ბოლოს შეიცვალოს, მაგრამ იმედი დავიტოვოთ, რომ რეგულარული ჩემპიონატის მომგები "მონტეპასკი" შარშანდელ შეცდომებს არ გაიმეორებს და "რომას" ბარიერს წლეულს მაინც გადალახავს.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ქადრაკი

ინტერვიუ ხვიჩა სუპატაშვილთან

უნიჭო ერი არ არსებობს

ვისაც ფული აქვს, თამაშსაც ისწავლის

ნაკრებში საუკეთესო ლელა ჯავახიშვილი იყო

ეკატერინბურგში დასრულებულ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა მეოთხე ადგილი დაიკავა. ქალთა ნაკრებს წლების მანძილზე ავარჯიშებდა საერთაშორისო ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილი, მაია ჩიბურდანიძე კი უკვე ათი წელია მხოლოდ ბატონ ხვიჩასთან მეცადინეობს. მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ხვიჩას ვესაუბრეთ და ალბათ საინტერესო იქნება მისი აზრის მოსმენა ტურნირის დასრულებულის შემდეგაც.

- თქვენი აზრით, როგორი შედეგი აჩვენა საქართველოს ნაკრებმა?

- სამწუხაროდ, ვერ გაამართლეს ახალწვეულებმა - სოფიკო ხუხაშვილმა და სოფიო გვეტაძემ; უკეთ უნდა ეთამაშა ნინო ხურციძესაც. მაია ჩიბურდანიძის თამაში დამაკმაყოფილებელი იყო, ლელა ჯავახიშვილმა კი ძალიან კარგად ითამაშა. ლელასგან სტაბილური თამაში აღარ გვიკვირს, რაც ფრიად სასიხარულოა. ცუდია, რომ სხვებმა მხარი ვერ აუბეს. აქედან გამომდინარე, უკეთესი შედეგის ჩვენება არ მოხერხდა, თუმც ვფიქრობდი, რომ მესამე ადგილზე გასვლა სავსებით რეალური იყო. ცხადია, შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ კარგი თამაშისთვის დიდი შრომაა საჭირო, ლელა ჯავახიშვილია ამის თვალნათელი მაგალითი - ლელა ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე.

- თქვენ ალბათ თვალყურს ადევნებდით პარტიებს. წმინდა საჭადრაკო თვალსაზრისით რა პრობლემები ჰქონდათ ქართველებს? პარტიათა ხარისხი როგორი იყო?

- პრობლემები იყო თითქმის ყველა სტადიაში - დებიუტში, შუა თამაშში და ენდშპილშიც. აშკარად ვერ იყვნენ ფორმაში და ვფიქრობ, რომ ჩვენებმა უფრო ვერ ითამაშეს, ვიდრე მეტოქეებმა იძალეს. ძალიან ბევრი აქვთ ქართველ ქალებს სამუშაო და ამას უნდა მოევლოს.

- გაძლიერების პოტენციალი თუ გაგვაჩნია? ან ამ გუნდს, ანაც რეზერვს შესწევს უფრო მაღალ დონეზე თამაშის უნარი?

- თუკი ჭადრაკში ფული არ ჩაიდო, ისე არაფერი გამოვა. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას ახალი ხელმძღვანელობა გვაიმედებს და ვნახოთ, რას გააკეთებენ. ჩინეთმა მაშინ განავითარა ჭადრაკი, როცა სახელმწიფომ დიდი ინვესტიციები გაიღო. ასე ხდება ნებისმიერი ქვეყნის მაგალითზე. სულ მალე თურქებიც დიდ წარმატებებს მიაღწევენ, - წლებია, უდიდეს ფულს ხარჯავენ და არ შეიძლება, ამან შედეგი არ გამოიღოს. შედარებისთვის გეტყვით, რომ თურქეთის ჭადრაკის ფედერაციის წლიური ბიუჯეტი 5 მილიონი ევროა, საქართველოსი კი - 100 ათასი ლარი. ამიტომ იკლებს საქართველოში ჭადრაკის დონე და იმატებს სხვაგან - უნიჭო ერი არ არსებობს და თუ ფულს დახარჯავ, შედეგსაც მიიღებ.

- ხშირად ისმის საუბარი საქართველოს ნაკრების მთლიანად ახალგაზრდებით დაკომპლექტებაზე - მივცეთ შანსი და ეგებ უკეთეს შედეგს მიაღწიონო. მაგალითად ჩინეთის ნაკრები მოაქვთ, სადაც ყველაზე უფროსი 22 წლის არის. ეთანხმებით ასეთ მოსაზრებას?

- როცა ჩინეთზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი 365 დღიდან 200 დღე შეკრებაზე არიან და მინიმუმ 1000 დოლარის ეკვივალენტი ნაციონალური ვალუტა აქვთ ხელფასად. ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელები უდიდეს საჭადრაკო ცენტრში ამეცადინეებენ ჩინეთის სხვადასხვა რეგიონიდან ამორჩეულ ნიჭიერ მოჭადრაკეებს. მათ აქვთ პოტენციალი და შეუძლიათ თავს ასეთი ფუფუნების უფლება მისცენ. სამწუხაროდ, ჩვენ ფინანსებით ვერც შევედრებით და ამიტომაც გვაქვს ინფრასტრუქტურა გაუმართავი. ამ ფონზე მთლიანად გაახალგაზრდავებას ვერ მივესალმები, - აგერ, ბატონო, ორი დებიუტანტი გვყავდა და ვერ გაამართლეს...

- ისიც ითქვა, ისევ ძველებს რომ ეთამაშათ, ბევრად უკეთესი იქნებოდაო, - ძაგნიძესა და ლომინეიშვილს გულისხმობენ.

- არ ვარ დარწმუნებული, რომ ისინი უკეთესად ითამაშებდნენ, ამის გარანტია არ არსებობდა.

- თქვენ ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხართ. ვიცით, ჯერ არ არის ნაკრები სრულად დაკომპლექტებული და ამისთვის 1 ივლისს ელოდებით, როცა ფიდე ახალ რეიტინგებს გამოაქვეყნებს - ამ ნიშნით შეადგენთ ნაკრებს, მაგრამ იქნებ რამე შეიცვალა წესში და მზადებასაც იწყებთ?

- არავითარი ცვლილება არ ყოფილა და მართლაც ველით ახალი რეიტინგების გამოქვეყნებას. ამის შემდეგ შევუდგებით მზადებას.

- გუნდს ასეთი დაკომპლექტება სადავო არ გახდება?

- ქალთა რეიტინგისგან განსხვავებით, კაცს როცა მაღალი მაჩვენებელი აქვს, ის მართლაც ძლიერი დიდოსტატია და გარკვეულ სტანდარტს ყოველთვის ინარჩუნებს. ქალთა შორის ასე არ არის. მე სრულებით ვენდობი რეიტინგს და ვფიქრობ, რომ ძლიერი გუნდი შეიკრიბება, რომელსაც ოქტომბერში გასამართ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე წარმატების მოპოვების შესაძლებლობა ექნება.

ზვიად შათირიშვილი

ჩოგბურთი

პირველი დანაკლისი

სტამბოლში, იესილიურთის კლუბის ჰარდის საფარის კორტებზე გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი), რომელშიც ოთხი ქართველი მონაწილეობს. მერვედფინალში ოთხივე მათგანი გავიდა, თუმცა პირველი დანაკარგიც ამ ეტაპზე ვიწვნიეთ. **სოფიო ქვაცაბაია** ბრიტანელ **კატერინა ბრაუნთან** დამარცხდა - 4:6, 1:6. **სოფიო შაფათავამ**, რომელიც მე-7 ნომრად არის განთესილი ბულგარელი **იულია ველიევა** დაამარცხა - 6:4, 6:1. **მანანა შაფაქიძემ** (8) რუს **ანასტასია შჩილინსკაიას** ორ სეტში მოუგო - 6:3, 6:4, **თინათინ ყავლაშვილმა** - სლოვენიელ **მაია კამბიჩს** - 6:3, 6:3. მეოთხედფინალში შაფაქიძე პირველ ნომრად განთესილ გერმანელ **რია დორნემანს** (462) შეხვდება. თინათინ ყავლაშვილის მეტოქე ბერძენი **ანა კუმანტუა** (599), რომელიც სტამბოლში მეოთხე ნომრად განთესეს. სოფიო შაფათავა მე-2 ნომრად განთესილ თურქ **კაგლა ბუიუქაქჩაის** (638) დაუპირისპირდება.

ქართველი ჩოგბურთელები წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში გავიდნენ. სოფიო ქვაცაბაიამ და მანანა შაფაქიძემ ჰოლანდიურ-ბელგიური (**სევოლი, ველდორსტი**) წყვილი დაამარცხეს - 6:4, 6:3. თინათინ ყავლაშვილს და სოფიო შაფათავას მეტოქეები არ გამოუცხადნენ. ქვაცაბაია და შაფაქიძე ნახევარფინალში პირველ ნომრად განთესილ წყვილს შეხვდებიან (დორნემანი, ბუიუქაქჩაი), შაფათავას და ყავლაშვილის მეტოქეები სლოვენიელი კამბიჩი და რუსი **ციბიშევა** იქნებიან.

ფავორიტთან ნააგო

ოქსანა კალაშნიკოვა

ბელგიის ქალაქ შარლერუაში 18-წლამდელ ჩოგბურთელთა პირველი კატეგორიის ტურნირი "ასტრიდ ბოული" მიმდინარეობს, სადაც **ოქსანა კალაშნიკოვა** მე-8 ნომრად განთესეს. 16 წლის კალაშნიკოვამ ორი წრის გავლის შემდეგ მერვედფინალში მე-9 ნომრად განთესილ იაპონელ **კურუმი ნარას** მოუგო - 6:4, 6:1. სამწუხაროდ, ჩვენებური მეოთხედფინალში ამერიკელ **მედისონ ბრენგლთან** დამარცხდა. ბრენგლი ტურნირის მეორე ჩოგანია, მსოფლიოს ახალგაზრდულ რეიტინგში კი მერვეა (ოქსანა ოცდამეათეა). დაძაბულ ბრძოლაში ბრენგლმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით მოიგო - 7:5, 7:5. კალაშნიკოვა როლან გაროსის ახალგაზრდული ტურნირისთვის მოემზადება, რომელიც 3 ივნისიდან დაიწყება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჩიბგი

თბილისის შვიდკაცა

მარფილდიდან ვაკეში

FIRA AER-მა ახლახან შვიდკაცა რაგბის ევროპის სერიის მიმდინარე გათამაშების ცხრილი გამოაქვეყნა, სადაც ქულათა მაქსიმუმით (32) ლიდერობს იტალიის ნაკრები, რომელმაც სერიის ორი ეტაპი მოიგო. საქართველოს შვიდკაცა რაგბის გუნდს თორმეტი ქულა აქვს და პორტუგალიასა და რუმინეთთან ერთად მეხუთე-მეშვიდე ადგილებს იყოფს. თუმცა ყველა ამ გუნდს კიდევ ერთი ეტაპი აქვს სათამაშო.

საქართველოს ნაკრები მეორე ეტაპზე შინ, თბილისში იასპარეზებს. ტურნირი ტრადიციული გახდა და ამჯერადაც ის თბილისის მერიის პატრონაჟით გაიმართება. შეჯიბრებაში ჩვენი ნაკრების გარდა იასპარეზებენ: საფრანგეთის, უკრაინის, ლატვიის, საბერძნეთის, ბელგიის, მოლდოვის, ისრაელის, აზერბაიჯანისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა და მისი მეტოქეები მოლდოვის, ლატვიის, ისრაელისა და საბერძნეთის ნაკრებები იქნებიან. შეჯიბრი 9-10 ივნისს ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

მანამდე კი შვიდკაცა ბორჯღალოსნები 2-3 ივნისს შოტლანდიაში, "მარიფილდზე" მსოფლიოს სერიის ბოლო ეტაპზე იასპარეზებენ. D ჯგუფში ჩვენი გუნდის მეტოქეები იქნებიან ზელანდიის, ინგლისისა და არგენტინის ნაკრებები.

საქართველოს ნაკრები: ბესიკ ხამაშურიძე, ვასილ კაცაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, ალექსანდრე თოდუა, ბექა სარდანაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, ირაკლი გეგენავა, გიორგი კაჭარავა, ალექსანდრე ნიჟარაძე, დავით ჟამუტაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი, გიორგი ასათიანი. მწვრთნელები: მამუკა ტყეშელაშვილი, კახა ალანია.

ბესიკ ჯანგავაძე

ჰერიტე

კაკო კაკოს სახსოვრად

26 მაისს ქუთაისში მეხუთედ გაიმართა სახელოვანი ძიუდოისტის, **აკაკი კიბორძალიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი კარატე დოში, სახელწოდებით „კაკო". აკაკი კიბორძალიძე იმერეთის კარატე დოს ფედერაციას დაარსების დღიდან გვერდით ედგა და მისი საპატიო პრეზიდენტი იყო. ძნელბედობის ჟამს მას კარატისტებისთვის არაერთხელ გაუწვდია დახმარების ხელი.

დამოუკიდებლობის დღეს ქუთაისის სპორტსკოლის საკალათბურთო დარბაზში საინტერესო და დაძაბული შეჯიბრება გაიმართა. ტურნირზე, რომლის ორგანიზებაში კარატე დოს ეროვნულ და რეგიონალურ ფედერაციებთან ერთად, ქალაქის მერიამაც მიიღო მონაწილეობა, საქართველოს თითქმის ყველა რაიონი იყო წარმოდგენილი. გარდა ამისა, შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანელმა და სომეხმა კარატისტებმაც.

ტურნირს ქალაქის მთელი სპორტული ელიტა ესწრებოდა. დარბაზში გახლდათ აკაკის ძმა **ვალერი კიბორძალიძე**, ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი**, რომელიც აკაკის უახლოესი მეგობარი იყო. იყვნენ სხვა ცნობილი სპორტსმენებიც, რომლებმაც ამაგდარი ძიუდოისტი თბილი სიტყვებით მოიგონეს. პრეზიდენტ **კახა ბასილიას** თაოსნობით თითქმის მთელი შემადგენლობით გახლდათ ჩამოსული საქართველოს კარატე დოს ფედერაცია. ტურნირი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ აქ გამარჯვებულთაგან დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც 20 აგვისტოს ტოკიოში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრება.

კახა ბასილია ქართველი სპორტსმენების მომზადების დონით კმაყოფილი დარჩა: *„თბილისს გარეთ შეჯიბრების ასეთ მაღალ დონეზე გამართვა ძალიან რთულია. იმერეთის კარატე დოს ფედერაციამ და მისმა პრეზიდენტმა ვაჟა უნგიაძემ, ქალაქის მერიის დახმარებით შეძლო და ჩაატარა მაღალი დონის საერთაშორისო სტანდარტების ღონისძიება. ჩვენი დიდი სურვილი იყო, რომ ამ ტურნირში რუსეთის გუნდებსაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა. ვიცი, რომ მალე ქუთაისს თანამედროვე სტანდარტების სპორტის სასახლე ექნება და ვფიქრობთ, დარბაზის აშენებასთან ერთად, მომავალ წელს ქუთაისში გაცილებით დიდი მასშტაბების საერთაშორისო ტურნირის გამართვაც იქნება შესაძლებელი."*

ქუთაისელმა კარატისტებმა საკუთარი კედლების ფაქტორი კარგად გამოიყენეს და შეჯიბრებაზე ყველაზე უკეთ გამოვიდნენ. შესაბამისად, მათ 8 ოქროს მედალი და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. **ვაჟა უნგიაძე**: *"ამ შეჯიბრებისთვის ორ თვეზე მეტი ვემზადებოდით, როგორ საორგანიზაციო, ასევე სპორტსმენთა მომზადების მხრივ. აქ მთელი საქართველო და აზერბაიჯანის ძლიერი ნაკრები იყო წარმოდგენილი და მიხარია, რომ ასეთი კონკურენციის პირობებში ჩემმა შეგირდებმა შესანიშნავი შედეგები აჩვენეს."*

ტურნირის ორგანიზატორებმა გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. ბოლოს კი ასაკების მიხედვით გამარჯვებულ სპორტსმენთა ვინაობას გაგაცნობთ: 6-7წ - **დავით გრძელიძე** (ქუთაისი), 8წ - **შოთა დოლონაძე** (ქუთაისი), 9წ - **გიორგი გაბიძაშვილი** (ქუთაისი), 10 წ - **დავით სარსანია** (ზუგდიდი), 11წ - **ლევან ყურაშვილი** (ქუთაისი), 12 წ. - **ჯონი მიქაბაძე** (ქუთაისი), (13 წ.) - **ლაშა მინდიაშვილი** (ქუთაისი), 14 წ - **ბადრი აბშილავა**(ზუგდიდი), 15 წ. - **ლევან ხუცინაშვილი** (გორი), 16-17წ. - **როიალ ალიევი** (ბაქო), +18, 65კგ. - **დავით ჭელიძე** (ქუთაისი), +18, 70კგ. - **ბექა კუხიანიძე** (ქუთაისი)

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

თაჩილი

თამაზ ანთაძე. 01.06.1935, თბილისი - 17.11.2002, იქვე. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკსა" (1960-70) და სსრკ ნაკრებში (1964-70). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 64), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და მესამე (1963) პრიზიორი. ჩამოაყალიბა გუნდები: "დინამო" და "კოლმეურნე" (1970), თელავში დააარსა ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა (1981). იყო ოლიმპიური რეზერვების ხელბურთის სკოლის დირექტორი (1985-88), ქუვეითის კლუბების "ალ-არაბის" (1989-90), "კლაბ ქუვითის" (1991-92) და ამ ქვეყნის ნაკრების (1993-94) მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით "ალ-არაბიამ" ქვეყნის თასი მოიგო (1990), "კლაბ ქუვეითი" მესამე პრიზიორი გახდა (1992), ნაკრები კი აზიის თამაშების ჩემპიონი გახდა (1994). საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ვექილი 2008

ძნელი თამაშები

ამ დღეებში რიგაში ჩატარდა ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა გენერალური მდივნების სემინარი, რომელსაც ოლიმპიურ სოფელში ცალკეული ქვეყნების მისიათა ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. მსგავსი შეხვედრები პერიოდულად იმართება და მასზე სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, ცხადია, მთავარი თემა პეკინის ოლიმპიადა იყო. ამიტომ მას საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, საქართველოდან კი სემინარში სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი მონაწილეობდა.



ემზარ ზენაიშვილი

შეხვედრის მონაწილეებს საფიქრალი და განსასჯელი ბევრი ჰქონდათ. მართალია, წინასწარი მონაცემებით, ყველაფერი დაგეგმილი გრაფიკით მიდის და თითქოს საგანგაშო არაფერია, მაგრამ ჩინეთი, ზოგადად ის რეგიონი თავისებური სპეციფიკით გამოირჩევა. ამიტომ მოელიან, რომ ეს სხვებზე ძნელი თამაშები იქნება.

უახლოესი ოლიმპიადებისგან განსხვავებით, პეკინში არ იქნება სასტუმროების პრობლემა და არც ფასების, ვთქვათ, ათენივით მკბენარა, მაგრამ აქ წინა პლანზე იწევს ენობრივი პრობლემა - ჩინეთში ინგლისურის მცოდნეთა რიცხვი არც ისე დიდია. ყოველ შემთხვევაში, ეს პრობლემა იგრძნობა პეკინში, ხოლო პერიფერიებში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა. როგორც წესი, ამ ოლიმპიადასაც ეყოლებიან ეგრეთ წოდებული მოხალისეები, თუმცა ეს ენის პრობლემას მაინც არ ხსნის. ჩინეთში ქართულის მცოდნეზე ნურც ვიოცნებებთ. ერთადერთი იმედი რუსულის მცოდნეა, მაგრამ ესეც პრობლემაა.

სატრანსპორტო პრობლემა - ქალაქში მოძრაობა, სპორტულ ბაზებამდე მიღწევა და ასეთები ნებისმიერ თამაშებზე ერთ-ერთი სერიოზული თავის ტკივილია და ასე იქნება ახლაც. პეკინი თავადაა მეგაპოლისი და წარმოიდგინეთ, იქაურ მასას ამდენი დელეგაცია და ტურისტი რომ დაემატება. მართალია, დელეგაციებზე ავტობუსებია მიმაგრებული, მაგრამ პრობლემაა მძღოლები და ისევ ინგლისურის მცოდნენი. თანაც, ქალაქში მოძრაობის წესები ძირითადად იეროგლიფებითაა... თურმე ჩინეთის პარლამენტი საგანგებო განკარგულების პროექტს განიხილავს, რომლის ძალითაც უცხოელ მძღოლებსაც მიეცემათ ავტობუსების მართვის მოწმობა. ვარაუდობენ, რომ პარლამენტი საბოლოოდ დაამტკიცებს ამ პროექტს.

ამასთან, არის უამრავი სხვა ნიუანსი, რომელიც იქნებ თამაშების შიდა სამზარეულოა, მაგრამ ყველასთვის საინტერესო... ჩანს, ეს ოლიმპიადა სიახლეებსაც შემოგვთავაზებს. მაგალითად, რიგაში სერიოზულად დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ გახსნის ცერემონიალზე დელეგაციები სრული შემადგენლობებით გამოვიდნენ. მიზეზთა გამო, ხშირად ყველა სპორტსმენი არ მონაწილეობდა ამაში, მაგრამ ახლა მკაცრად ითქვა - გახსნის ცერემონიალი სპორტსმენებისთვისაა განკუთვნილი და ისინი უნდა მონაწილეობდნენ. ბევრმა წარმომადგენელმა იმის წინააღმდეგაც გაილაშქრა, რომ სპორტსმენებს დიდხანს უწევთ აღლუმზე გამოსასვლელად ლოდინი და ასე არ უნდა ხდებოდეს. ითქვა იმაზეც, რომ ამ ლოდინის გამო ბოლოს გამომსვლელს ანუ მასპინძელს აღლუმზე ჩავლა რაღაც აჩქარებული ტემპით უწევს, როცა ყველას დამთავრება უფრო ეჩქარება; რომ დელეგაციის თავში სპორტსმენები უნდა იდგნენ და არა ჩინოვნიკები, რადგან ეს ათლეტთა თამაშებია და ისინი კუდში არ უნდა მიჩანჩალებდნენ... ერთი სიტყვით, გაჩნდა მოსაზრება გახსნის ცერემონიალის დახვეწის, უფრო გალამაზების შესახებ.

ბუნებრივია, რიგაში კიდევ უამრავ საინტერესო რამეზე ისაუბრეს, თუმცა მათზე დაწვრილებით ვერ შევჩერდებით და ერთს აღვნიშნავთ - დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრება. მედია-ოფიცრებს რომ თამაშებისთვის მზადების პერიოდში ნებისმიერ ქვეყანაში შეუძლიათ ჩასვლა და სპორტსმენების ადგილზე შემოწმება, ადრეც არაერთხელ გაცნობეთ, თუმცა ახლა ეს მიდგომა უფრო გამკაცრდა. ამიერიდან აღარ გაჭრის, ვთქვათ, ასეთი არგუმენტი - შეკრება დავამთავრეთ და სპორტსმენი სადაა წასული, არ ვიცით. სპორტის კონკრეტული სახეობის ეროვნული ფედერაცია ვალდებულია, ლიცენზირებულ თუ მისი მოპოვების ნებისმიერ კანდიდატზე ფლობდეს სრულ ინფორმაციას და ანტიდოპინგურ სააგენტოს მიაწოდოს ზუსტი კოორდინატი დაინტერესებული ათლეტის ადგილსამყოფელზე, რათა დოპინგოფიცრებმა უპრობლემოდ შეძლონ მისი შემოწმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ანალიზისთვის თავის არიდების მოტივით, მათ იმ სპორტსმენის დისკვალიფიკაციით დასჯაც შეუძლიათ. ბუნებრივია, დაისჯება მისი ფედერაციაც.

აგვისტოში გენერალური მდივნებისა თუ მისიების ხელმძღვანელთა ანალოგიური შევედრა, ოღონდ უკვე მსოფლიოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ეგიდით, თავად პეკინში ჩატარდება. მონაწილენი საორგანიზაციო საკითხებთან ერთად სპორტულ ბაზებსაც დაათვალიერებენ. მათი უმეტესობა უკვე ძირითადად მწყობრში იქნება გარდა ოლიმპიური სტადიონისა. აი, გაისად ზაფხულში ანალოგიური შეხვედრა ისევ იგივე გაერთიანების ეგიდით კვლავ პეკინში ჩატარდება. მაშინ ყველა სპორტული ობიექტი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს სტადიონის ჩათვლით.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა

მსოფლიო ჩემპიონატი

სომხები ბაქოში ჭიდაობაზე დაითანხმეს

ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის ბაქოში ჩატარება საბოლოოდ გადაწყდა. შეგახსენებთ, რომ პირველობა, სადაც პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც გათამაშდება, 17-22 სექტემბერს აზერბაიჯანში იყო დანიშნული, მაგრამ აზერბაიჯანთან საომარ ვითარებაში მყოფმა სომხეთმა უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის მომიზეზებით მისი სხვაგან გადატანა მოითხოვა. სომხეთის ფედერაციას იმ ქვეყნებმაც დაუჭირეს მხარი, რომლებსაც შემადგენლობაში სომეხი ეროვნების მოჭიდავეები ჰყავთ, ასეთი კი ბევრია - რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, შვედეთი... საკმარისია აღინიშნოს, რომ თანამედროვე ჭიდაობაში ერთ-ერთი უტიტულოვანესი ფალავანი, ბულგარელი ორგზის ოლიმპიური და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი** სომეხია. ასევე სომხეთიდანაა წასული შვედი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი **არა აბრაჰამიანი**...

ჩემპიონატის ბაქოში ჩატარება დიდხანს საეჭვო გახლდათ. ერთი ხანობა ტურნირის ლას ვეგასში გადატანაზეც საუბრობდნენ, თუმცა აზერბაიჯანელებმა არ დათმეს. არცაა გასაკვირი - მსოფლიო ჩემპიონატი რაოდენ სახელოვანი ტურნირია, წლევანდელის მნიშვნელობა კი ლიცენზიების გამო ათმაგდება. ცხადია, ასეთი მნიშვნელოვანი ტურნირის დაკარგვა არავის ესიამოვნება. მით უფრო, აზერბაიჯანელებს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში საკმაოდ წონადი წარმომადგენელი ჰყავთ - **აბას აბასოვი**, რომელიც არის აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი, იქაური ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს წევრი.

დაპირისპირება ჩიხში შევიდა, რამაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც შეაშფოთა და მან მხარეთა შორის მომრიგებლის როლი ითავა. მათი მეცადინეობით ამას წინათ ბაქოში სომხეთის დელეგაცია ჩაიყვანეს. ცხადია, უსაფრთხოების უმკაცრესი გარანტიებით. მოლაპარაკებებში თვით ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტიც** მონაწილეობდა, რომელიც, პარალელურად, სოკ-საც წარმოადგენდა. საბედნიეროდ, მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა - აზერბაიჯანელებმა სომხებს უსაფრთხოებს სრული გარანტიები აღუთქვეს და ესენიც დათანხმდნენ ბაქოში ჭიდაობას.

ბუნებრივია, შიში მაინც არსებობს, მაგრამ ტურნირი ნამდვილად ბაქოში ჩატარდება და მას სოკ-ის პრეზიდენტ **უაკ როგის** პირადი წარმომადგენლის სტატუსით ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა პრეზიდენტი, პარალელურად, ირლანდიის ეოკ-ის თავკაცი **პატრიკ ჰიკიც** დაესწრება. და აქ საქმეში ქართული მხარეც ჩაება, ოღონდ არა პრეტენზიებით - ჩვენების სურვილია, ბაქოში მიმავალი ჰიკი თბილისშიც გამოატარონ და, თუ მანამ საორგანიზაციო საკითხები მოაგვარეს, აქაურ ოლიმპიურ ღონისძიებებსაც დასწრონ. უარს არც ჰიკია, რომელიც რამდენჯერმეა საქართველოში ნამყოფი. ბოლოს - ორიოდ წლის წინათ.

მაგრამ ჰიკის საქართველოში ვიზიტი მხოლოდ ჩვენთვისაა გამორჩეული ამბავი, საერთაშორისო სპორტული საზოგადოებისთვის კი გაცილებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეთა შორის შუამავლის როლში გამოსვლა.

ირაკლი თავაძე

მხატვრული ტანვარჯიში

გოგონებს შორის გამარჯვებული ელენე ტიტოვა

გალმა-გამოლმიდან გამოწვდილი ხელები...

წუხს, ახლა ძალიან ნუხს ჩვენი მხატვრული ტანვარჯიშის სამყაროს თითოეული წევრი გათიშულობის გამო. დრო გადის, ჩატეხილი ხიდის აღდგენა კი არ ხერხდება, გაერთიანება ჭიანურდება. ყველა ხედავს, რომ დაპირისპირებას კარგი არაფერი მოაქვს, თუმცა დათმობას არავინ აპირებს. ტანვარჯიშის სახეობათა ჩვენი ეროვნული ფედერაცია, საერთაშორისო ფედერაციის სუბიექტია. მიაქციეთ ყურადღება "ტანვარჯიშის სახეობათა", რაც იმას ნიშნავს, რომ მხატვრული ტანვარჯიშიც ამ ფედერაციის შემადგენელია, მაგრამ რაკი ამ ორი წლის წინათ, საქართველოში მხატვრული ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია დამოუკიდებლად დაფუძნდა, **ნელი სალაძის** თაოსნობით, დაპირისპირება - გათიშულობასაც იქიდან მოყოლებული დაედო სათავე.

მოკლედ, მომხდარს, პრობლემის მეტი არაფერი მოუტანია. როგორც შევიტყვეთ, ურთიერთობების დარეგულირების ნიშნები ჯერაც არ შეიმჩნევა. ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ეგიდით შინ გამართულ შეჯიბრებებში მეორე ფედერაციის წევრებს კვლავ არ სურთ მონაწილეობა. მთავარი ფედერაციის იურისდიქციას ანგარიშს არ უწევენ მაშინაც, როცა სპორტსმენები საზღვარგარეთ, საერთაშორისო ტურნირებში იღებენ მიწვევას.

ინტერესების დაახლოების გზაზე მნიშვნელოვან პროგრესულ ნაბიჯად შეიძლება ქცეულიყო საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **რუსუდან სიხარულიძე**) მიერ ორგანიზებული მხატვრული ტანმოვარჯიშეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელიც გუშინ დამთავრდა თბილისში, სანაპიროზე მდებარე სპორტულ დარბაზში. საასპარეზოდ შეიკრიბა 60-მდე სპორტსმენი. ეს იყო სარეკორდო რაოდენობა. რიცხოვნება იმითაც გაიზარდა, რომ ორგანიზატორებმა უმცროსი ასაკის მოვარჯიშეებსაც მისცეს თავის გამოჩენის შესაძლებლობა. თუმცა გეოგრაფია ჯერჯერობით არ გაფართოებულა - ყველა მონაწილე მხოლოდ ისევ თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ცნობილი სატანვარჯიშო კერების აღსაზრდელი იყო. თბილისს წარმოადგენდა გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტული ცენტრი (დირექტორი **როზა ბერიკაშვილი**). როგორც გვითხრეს, ნელი სალაძეს განზრახული აქვს, ჩაატაროს ცალკე ჩემპიონატი იმ კონტინგენტთან, რომელსაც მისი ფედერაცია თავისად მიიჩნევს. ოფიციალურ ჩემპიონატად კი გუშინ დამთავრებული კალენდარული ტურნირი ჩაითვლება. ივნისის ბოლო კვირაში, ბაქოში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ჩემპიონატის მთავარი მსაჯი **ფიქრია ფანქველაშვილი** ამბობს, რომ სპორტსმენთა ინტერესების დასაცავად **თათია დონაძესა** და **ქეთი ხატიაშვილს**, რომლებიც მეორე ფედერაციამ არ გამოიყვანა საასპარეზოდ, ბაქოში მიავლენენ თუ ფედერაციებს შორის ორმხრივი შეთანხმება შედგება.

საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატში უფროს ასაკში პირველობა ნილად ხვდა **მზევინარ სამუკაშვილს**. ეს სპორტსმენი შარშან დაბრუნდა რუსეთიდან და უკვე ოთხ ტურნირში იასპარზეა საქართველოს სახელით. მეორე ადგილზე გავიდა ასევე თბილისელი **ნინო აბაიშვილი**. სამწუხაროდ, მესამე საპრიზო ადგილი არ გათამაშებულა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს ნაკრების იდეალური შემადგენლობა იქნება: მზევინარ სამუკაშვილი, ქეთევან ხატიაშვილი და თათია დონაძე. სამუკაშვილი, მანამდე, ორ დღეში ისრაელში მიემგზავრება გრანპრის ტურნირზე. იუნიორთა შორის საქართველოს ჩემპიონატზე ადგილები ასე განაწილდა: 1. **ელენე ტიტოვა** (ბათუმი), 2. **ციცია მკერვალი**, 3. **ირინე ხოფერია** (ორივე - თბილისი). 1997-98 წლებში დაბადებულნი: 1. **გაბი ხვედელიძე**, 2. **თამარ კობალაძე**, 3. **სოფიკო ფარულავა** (სამივე - თბილისი), 1994 წ. დაბადებულნი: 1. **ლალი კენკოშვილი**, 2. **ნინო ქურაშვილი**, 3. **ანა იოსებიძე** (სამივე - თბილისი); 2000-2001 წ. დაბადებულნი: 1. **ანა გელდიაშვილი**, 2. **ვიქტორია შელია**, 3. **მარტა დადიანცი** (სამივე - თბილისი).

თორნიკე გაჩეჩილაძე

მძღოლობა

მარიამ ქევხიშვილის ფლორიდული ისტორია

ქართველმა მძღოლსანმა **მარიამ ქევხიშვილმა** ბირთვის კვრაში ფლორიდის შტატის ჩემპიონობა მოიპოვა. შტატის ჩემპიონატის შეჯიბრების მესამე დღეს ფლორიდის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ქევხიშვილმა, როგორც "ლელო" უკვე წერდა, კარიერაში საუკეთესო შედეგი აჩვენა - 17,05 მეტრი. ექვსი ეტაპის შემდეგ ფლორიდის "გატორსი", რომელსაც მარიამი წარმოადგენს, საერთო 38 ქულით მეორე ადგილზეა და მხოლოდ ჯორჯიას ჩამორჩება, ჯორჯიელებმა 48 ქულა მოაგროვეს.

ქევხიშვილის საუკეთესო შედეგი ფლორიდის უნივერსიტეტის ისტორიაში მეოთხეა. NCAA-ს აღმოსავლეთ რეგიონებში კი მარიამს ამჟამად საუკეთესო ბირთვისმკვრელის სახელი აქვს. ქევხიშვილმა სეზონში მეორედ მოაგებინა "გატორსს". ახლა მან ფლორიდელთა ყულაბას 10 ქულა შემატა. *"უკვე მეორე ცდა ზეც ცხადი იყო, რომ მარიამი მოიგებდა, თუმცა მან ამის შემდეგ კიდევ უფრო მაღალ დონეზე იასპარეზა"*, - განაცხადა "გატორსის" მწვრთნელმა **სტივ ლემკემ**.

"ძალიან მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვე. ჩემი ემოციების ხეირიანად გადმოცემაც კი არ ძალმიძს. დიდებულია, ფლორიდის უნივერსიტეტის სახელით ასპარეზობას პირველივე წელს რომ მოიგებ. ჩემს წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მწვრთნელ ლემკეს. მხოლოდ იმაზე მწყდება გული, რომ გამარჯვებას ჩემს ოჯახთან ერთად ვერ ვზეიმობ, ოჯახი საქართველოშია და არც მეუღლე მყავს გვერდით, ის გეინსვილში იმყოფება, თუმცა გამარჯვება ჩემს მეორე ოჯახთან, გუნდთან ერთად ვიზეიმებ". - განაცხადა მარიამ ქევხიშვილმა შტატის ჩემპიონატის მოგების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანუმ და ტიმმა მეოთხე მეოთხედში დაისვენეს

NBA. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია

დასკვნითი

სან ანტონიო-იუტა	**109:84**

34:15, 21:24, 28:17, 26:28

სან ანტონიო: დანკანი (21 ქ. 7 მ. 3 პ), ტ. პარკერი (21 ქ. 5 მ. 5 პ), ჯინობილი (12 ქ. 5 მ), ფინლი (9 ქ), ბ. ბერი (9 ქ), ელსონი (9 ქ. 6 მ), ობერტმ (7 ქ. 10 მ).

იუტა: კირილენკო (13 ქ. 5 მ. 2 პ), დ. უილიამსი (11 ქ. 3 მ), ჰარპრინგი (11 ქ. 4 მ), ბუზერი (9 ქ. 12 მ. 4 პ).

სერია 4:1

დიდი და მშიერი მხეცის შთაბეჭდილებას ტოვებს "სან ანტონიო სპურსი", რომლის წინააღმდეგაც ვერც ვარსკვლავებით დახუძლულმა "დენვერმა", ვერც **სტივ ნეშისა** და **ამარე სტაუდმაიერის** "ფინიქსმა" და აგერ, ვერც მომავლის გუნდად მიჩნეულმა "იუტამ" გააწყო რამე. **გრეგ პოპოვიჩის** გუნდი ყველასა და ყველაფერს თელავს და ჩემპიონობისკენ იკვალავს გზას. ასე იყო 1999, 2003 და 2005 წლების ფლეი ოფში, ანუ მაშინ, როდესაც ტეხასელები ჩემპიონები ხდებოდნენ.

ჯერი სლოუნის "ჯაზი" კარგი, გულიანი და მებრძოლი ბიჭებითაა შევსებული, მაგრამ როგორც თავად წაგებულთა თავკაცი ამბობს, მის გუნდსა და "სპურსს" შორის ერთი უმნიშვნელო განსხვავებაა - "სან ანტონიომ" იცის, რა, სად და როგორ უნდა გააკეთოს, ხოლო "ჯაზის" ბიჭბუჭები კი უსისტემოდ ხარჯავენ ენერგიას. თუ "სპურსი" ბებერი მუხასავითაა, "იუტა" უფრო მაკაგონის უზარმაზარ ნაფოტს წააგავს, რომელიც დამუშავებამდე ყოველთვის დაუსრულებელ პროდუქტად დარჩება.

გახსოვთ, როგორ იწყებოდა რეგულარული?

ჩემპიონობის მთავარ ფავორიტებში თითქმის უნაკლო "დალასი", მოქმედი ჩემპიონი "მაიამი", ყოველთვის ზემო ეშელონებში მყოფი "დეტროიტი" და მშიერი "ფინიქსი" შედიოდნენ, "სან ანტონიოს" დახასიათებისას კი სპეციალისტები სულ უფრო ხშირად სიტყვებს - "ბებერი", "უმოტივაციო", "უგულოს" იშველიებდნენ.

საშუალო ასაკით "სპურსი" მართლაც ყველაზე გადაბერებული გუნდია, მაგრამ რატომღაც, თითქმის არავინ აქცევდა ყურადღებას იმას, რომ ამ მონსტრის ძირითადი ბირთვი - **ტიმ დანკანი** (31 წლის), **მანუ ჯინობილი** (29) და განსაკუთრებით **ტონი პარკერი** (25), საკალათბურთო გაფურჩქვნისა და თვითდამკვიდრებისთვის საუკეთესო წლებს ითვლიდნენ.

სეზონის შუაწელს, როდესაც "სპურსი" "ატლანტასთან", "მილუოკისთან" და "ფილადელფიასთან" აგებდა, პოპოვიჩი დაუმალავად ამახვილებდა ყურადღებას სათადარიგოთა უმოტივაციო გამოსვლასა და ვარსკვლავების არასტაბილურობაზე.

"ყველა ვარსკვლავის" მატჩის გამართვამდე 2 დღით ადრე, გრეგმა დასავლეთის უძლიერეს გუნდად "მაევრიქსი" დაასახელა, თავისი ბიჭებისთვის კი ოდენ მეოთხე ადგილი (ასევე "ფინიქსისა" და "ჰიუსტონის" შემდეგ) გაიმეტა.

მერე კი მოვიდა ფლეი ოფი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ალენ აივერსონის, კარმელო ენტონისა და რეგულარულის უძლიერეს დამცველად აღიარებული **მარკუს კემბის** "დენვერი", "სპურსს" მისსავე მოედანზე უგებს, სერიაში წინ გადის და ...ეს. დაპირისპირება "სან ანტონიოს" გამარჯვებით - 4:1 მთავრდება.

"ფინიქსთან" ცოტა კი გაუჭირდა ფავორიტს, მაგრამ გაილაღა დანკანმა, სტივ ნეშს სისხლი გაუშრო **ბრიუს ბოუენმა** და "სპურსი" შემდეგ წრეში, ანუ კონფერენციის ფინალში 4:2-ით გავიდა.

"ჯაზთან" კი ყველაფერი სერიის დაწყებამდეც ნათელი იყო. კარგი ბიჭია **დერონ უილიამსი,** მომავლის მოთამაშეა **კარლოს ბუზერი,** უნივერსალებად ითვლებიან **მეჰმეთ ოქური** და **ანდრეი კირილენკო,** მაგრამ... ეს გუნდი "სპურსის" დასამარცხებლად ჯერ საკმაოდ ახალგაზრდაა. ერთი-ორი წლის მერე, კი, შეიძლება უკვე ულაპარაკო ფავორიტად "ჯაზი" ჩაითვალოს, მაგრამ ამისთვის ძალიან უნდა დაბერდეს ტიმი, დაკარგოს აგრესიულობა მანუმ, ტონიმ კი... ამ ბიჭის პროგრესს ჯერ მაინც ვერაფერი შეაფერხებს. პარკერი, რომელმაც წინა შეხვედრაში თამაშიდან 19-ში მხოლოდ 6 სროლა გამოიყენა, სერიის მეხუთე ჯახში შეუდარებელი იყო - 27 წუთი, 21 ქულა, 5 პასი, არცერთი შეცდომა და ასევე ნული პერსონალური შენიშვნა!

ბოლო მეოთხედში "სპურსის" სასტარტოს წევრებიდან მხოლოდ ბოუენმა და **ფაბრიციო ობერტომ** ითამაშეს, დანკანი, ჯინობილი და პარკერი კი ისვენებდნენ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, "სპურსი" სუპერსერიაში მესამედ გავიდა და ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთარი მოედნის უპირატესობა ექნება.

ზურაბ თალაკვაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბრაიანტმა ლოს ანჯელესი აუფორიაქა

ცხოვრება კალათბურთით ან სპორტის ნებისმიერი სახეობით რომ არ იწყება და არც მთავრდება, ჩვენებურ, ქართულ-ქალაქურ გაგებაშიც ასეა და კალიფორნიელ მილიონერთა მსოფლმხედველობაშიც მყარადაა ჩამჯდარი. დიდი გულისა და სწორი მორალის მატარებელს არც მოედანზე შეეშლება რამე და არც მის მიღმა. თუმცა თუ აღსარება არა იძულებითი, არამედ ალალია, ესეც ამ აღსარების მთქმელის ცხოვრებისეულ ბონუსებში იწერება.

ქალი შემოგებახა? ცუდი კაცი ხარ!

ცოლს ღალატობ? კიდევ ერთი მინუსი და ნაბიჯი შორს სამოთხისგან.

მეგობარი "ჩაუშვი"? მორჩა, შენი საქმე მომთავრებულია და "ტორონტო რეპტორზს" 81 ქულა ყოველდღეც რომ ჩაუგდო, ცხოვრების ბოლომდე მაინც მინუსში დარჩები.

გუშინ, სრულიად ამერიკის შვილმა, უნიჭიერესმა და ერთადერთმა კობი ბრაიანტმა "ლეიკერსიდან" წასვლა მოითხოვა და ატყდა ერთი ამბავი. რაც გასახსენებელი იყო, ყველაფერი გაუხსენეს, ხოლო მაიკლ ჯორდანის "შემკვიდრეს", სადღაც ორი საათის შემდეგ უკვე მეორე, მის მიერვე მონყობილ რადიოინტერვიუში მოუხდა თავის მართლება და ახსნა-განმარტებების მიცემა.

L-A მეგაპოლისი

ნაშუადღევს, "ლეიკერსის" და კალიფორნიის ყველაზე ძვირადღირებულმა კაპიტანმა - **კობი ბრაიანტმა** ESPN-ის რადიოსთან ინტერვიუში, კალიფორნიელთა უსტაბაშებს ბრალი საჩემპიონო მოტივაციის უქონლობაში დასდო და პირდაპირ ეთერშივე სასწრაფოდ გაცვლა მოითხოვა.

"გუნდის ბოსებმა მომატყუეს. ერთი წლის წინათ, რეგულარულის დაწყებამდე რომ შევხვდით ერთმანეთს, "ლეიკერსის" აქციათა ზღვა წილის მფლობელმა - ჯერი ბასმა პირობა მომცა, რომ გუნდში ისეთ მოთამაშეებს მოიყვანდა, ვისთან ერთადაც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდი. ახლაღა გავიგე, რომ თურმე, იმ საუბრიდან ერთი საათის გასვლის მერე, ბასი და მიტჩ კუპჩაკი ფილ ჯექსონს დაუკავშირდნენ და უთხრეს - ჩვენი მიზანი გუნდის გადახალისება, სახელფასო ფონდში სოლიდური თანხის დაზოგვა და ნებისმიერი გზით, კობის შენარჩუნებაა. საბავშვო ბაღში დამრიგებლის ფუნქციების შესრულება აღარ მინდა. წლები მემატება და უმაღლეს დონეზე სათამაშო მოტივაციის შესანარჩუნებლად, გვერდით ფლეი ოფის ქარ-ცეცხლში გამოვლილი ვეტერანები მჭირდება და არა კოლეჯის კონტინგენტი", - დაახეთქა კობიმ, რის მერეც კითხვაზე, თუ რომელ გუნდში გააგრძელებდა კარიერას, დაუფიქრებლად უპასუხა - "ფინიქსში" ან "სან ანტონიოშიო".

"გრეგ პოპოვიჩი ყოველთვის უძლიერეს სპეციალისტად მიმაჩნდა და მაშინაც კი ამ აზრზე ვიყავი, როდესაც ჩემი "ლეიკერსი" "სან ანტონიოს" სამი წლის განმავლობაში არ ახარებდა. "ფინიქსში" კი სტივ ნეშია", - დაამატა კობიმ.

გადის სამი საათი და კობის თხოვნით, ერთ-ერთი რადიოსადგური კიდევ ერთ პირდაპირ ჩართვას აკეთებს - ბრაიანტი პირველ, სენსაციურ განცხადებას ოდნავ არბილებს და აბსურდულ რამეს ამბობს - ESPN-ისთვის მიცემული ინტერვიუდან ჩემი სიტყვები კონტექსტიდან ამოჭრეს და უმადური არ გეგონოთ, კარიერის დასრულება "ლეიკერსში" მინდაო.

საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, აზრის შეცვლა და უკან დახევა მიღებული ამბავია, მაგრამ ხომ არ გეჩვენებათ, რომ რადიოს თანამშრომლებისთვის ცოტა რთული იქნებოდა პირდაპირ ეთერში კობის საუბრის დამახინჯება.

თანაც, დააკვირდით - კობი პრიორიტეტად საკუთარ "მეს" ასახელებს და გუნდი ერთ ადგილას ჰკიდია. კობისთვის "ლეიკერსი" პირადი ამბიციების დაკმაყოფილების საამქროა, ხოლო დიდი ტრადიციები, **ქარიმისა** და **მეჯიქის** აურა და 15 საჩემპიონო ბეჭედი კი, ავტომატურად უკანა პლანზე გადადის.

მერე კი მოარგო ბრაიანტმა კაცობას აბჯარი და ისეთი რამეები გაიხსენა, რაც მისთვის არც არავის უკითხავს და ამ თემასთან პირდაპირ კავშირში აშკარად არ ყოფილა.

"დენვერში რომ ის გოგონა შემომებახა, ბევრს არაფერს ნიშნავს და თუ ჩემი მომავალი გუნდი "ნაგეტსი" იქნება, პირობას გაძლევთ, ასეთი ექსცესი აღარ განმეორდება", - იფიცება კობი და ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი შვებით ამოისუნთქავდნენ კოლორადოელი თინეიჯერები. ამიერიდან მოყოლებული, მათ ხომ ქუჩაში (თუნდაც "ლეიკერსის" ან "ნაგეტსის" წაგების მერე) თავისუფლად შეეძლებათ გადაადგილება და აღარ იფიქრებენ იმაზე, რომ საიდანღაც "მშიერი" კობი არ გამოხტება და არაფერს ამოიღებს.

"შაკი ჩემს გამო არ გაუგდიათ. ჯერი ბასი 2003-04 წლების რეგულარულის დაწყებამდე ერთ-ერთ ოტელში შემხვდა და განაცხადა - ონილი ბერდება, თვალსა და ხელს შუა იშლება და მასთან გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებთო. თუ გახსოვთ, მაშინ შაკილმა 3 წლის განმავლობაში 80 მილიონი დოლარი მოითხოვა. შაკთან ბევრი რამ მქონდა გასაყოფი, მაგრამ "ლეიკერსიდან" იგი ჩემს გამო არ გაუგდიათ", - ამატებს კობი.

"ცოლისთვის არასოდეს მიღალატია. მაშინ, დაკითხვაზე რომ ავტირდი, ალალი ცრემლი იყო, ხოლო დენვერში რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა, ის ღალატთან არანაირ კავშირში არაა", - სამწუთიანი მონოლოგი ამ ფრაზით მთავრდება.

მოკლედ, კობის საუბრიდან გამომდინარე შემდეგი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი:

1. ქალის გაუპატიურება, მხოლოდ და მხოლოდ, "გაუგებრობაა";

2. ცოლის ღალატი მხოლოდ ისაა, თუ სხვასთან არაძალდატანებული სექსი გექნება;

3. რომ **ფილ ჯექსონთან** ამდენი ხნის მუშაობისა და მასთან ერთად ჩემპიონობის სამჯერ მოპოვების მიუხედავად, კობის აზრით, საუკეთესო მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩია.**

სან ანტონიო თუ ფინიქსი? არცერთი

თავიდანვე გამორიცხეთ ბრაიანტის "სპურსში" ან "სანზში" გადასვლა. ტეხასში კობის იმავე პოპოვიჩის გამო არ აიყვანენ - გრეგს არ სჭირდება ინდივიდუალისტი, რომელიც მოგების შემთხვევაში მასმედიელებს საშხაპეში ერთ საათს ესაუბრება, ხოლო თუ გუნდი აგებს, თავს იმართლებს - აგერ, თამაში ვინც ჩააგდო, იმას დაელაპარაკეთო.

"ფინიქსში" კობის გადასვლა ორივე მხარისთვის კარგი იქნებოდა და არიზონელები ამ ტრანსფერისთვის, ალბათ, **შონ მერიონს, ბორის დიაოსა** და **კურტ ტომასსაც** კი გაიმეტებდნენ, მაგრამ ბრაიანტი წლიურად 18 მილიონ დოლარს იღებს, რაც იმის გათვალისწინებით, რომ **ამარე სტაუდმაიერთან** ახალი, გრძელვადიანი თანამშრომლობაა დასამტკიცებელი, არარეალური გამოდის.

ბრაიანტის შემთხვევა პირველი არაა, როდესაც უკმაყოფილო ვარსკვლავები სხვაგან გადასვლას ითხოვდნენ. და თუ არ დაგღალეთ, NBA-ს ისტორიიდან რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ.

1. 1975 - "მილუოკი ბაქსი" "ლეიკერსში" **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** უშვებს, სანაცვლოდ კი **ელმორ სმითს, ბრაიან უინტერსს, ჯუნიორ ბრიჯმენსა** და **დეივ მაიერსს** იღებს. ჯაბარმა ამის მერე MVP-ის პრიზი სამჯერ მოიპოვა, "ბაქსი" კი დაეშვა და დაეშვა.

2. 1982 - "ჰიუსტონ როკეტსს" ტოვებს და "სიქსერზში" გადადის **მოუზეს მელოუნი,** საპირისპირო მიმართულებით კი **კოლდველ ჯოუნსი** მიემგზავრება. მელოუნი შემდეგ სეზონშივე საუკეთესო მოთამაშე ხდება, მისი ახალი გუნდი კი - ჩემპიონი.

3. 2004 - **შაკი** "მიამიში" მიდის, ხოლო "ლეიკერსმა" კი გაცვლის შედეგად **კეირონ ბატლერი, ბრაიან გრანტის** გიგანტური კონტრაქტი და **ლამარ ოდომი** მიიღო. იმ სამეულიდან გუნდში დღეს მხოლოდ ოდომია, ხოლო კალიფორნეიელთა ბოსებმა კი ბატლერი "ვაშინგტონს" **კვამე ბრაუნში** გაუცვალეს. კეირონი დღეს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფრთაა, ხოლო ბრაუნს კი რომელიმე ევროპულ გუნდში საშუალოდ ალბათ, 5-6 წუთი თუ ექნებოდა.

ზურაბ თალაკვაძე



კობი და შაკი სხვადასხვა ბანაკში არიან



მარია შარაპოვა

საფრანგეთის ღია პირველობა

ძროხა ყინულზე

ერთ-ერთი პირველი, ვინც გუშინ საფრანგეთის ღია პირველობის მესამე წრის საგზურს დაეუფლა, რუსი **მარია შარაპოვა** იყო, რომელმაც იოლად დაამარცხა ამერიკელი **ჯილ კრეიბასი**. თუმცა, ამის მიუხედავად, უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა განაცხადა, თიხაზე თავს ისე ვგრძნობ, როგორც ძროხა ყინულზეო. ამით იმის თქმა უნდოდა, რომ თიხის კორტებზე დიდი ტურნირების მოგება მისთვის ზედმეტი ოცნებაა.

"როლან გაროსის შემდეგ, თიხაზე ათი თვე აღარ ვთამაშობ. რატომ? იმიტომ, რომ ამ საფარზე ნაკლებად გამომდის თამაში. პრაქტიკის ნაკლებობა კი ისევ თამაშის ხარისხზე აისახება. მოკლედ, ეს ჩემი საქმე არაა. ამიტომ, აქ ჩემი მიზანი, რაც შეიძლება შორს წასვლაა. სულ ეს არის", - ნამატჩევს განაცხადა შარაპოვამ, ვინც საფრანგეთის ღიას მეოთხედფინალს არასოდეს გასცდენია.

რაც შეეხება კრეიბასს, მან ორი წლის წინ იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ მესამე წრეში უიმბლდონი დაატოვებინა **სერენა უილიამსს**. მაგრამ ამჯერად ამერიკელმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს. თამაში მხოლოდ პირველი ოთხი გეიმის განმავლობაში იყო თანაბარი. 2:2-ზე კი შარაპოვამ ზედიზედ ცხრა გეიმი მოიგო და ამით გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი.

შარაპოვა, ვისაც მხრის ტრავმა აწუხებს, მომდევნო ეტაპზე თანამემამულე **ალა კუდრიავცევას** დაუპირისპირდება.

შარაპოვასგან განსხვავებით, მეორე სეტში ცოტა გაუჭირდა სერენას, თუმცა თამაში მაინც ორ სეტში მოუგო ვენესუელელ **მილაგროს სეკერას**. ამერიკელის მომდევნო მეტოქეა უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონის, ჰოლანდიელი **რიხარდ კრაიჩეკის** და **მიხაელა კრაიჩეკი**, ვინც ერთობ გახარებულია ამ ფაქტით. საქმე ისაა, რომ თურმე, სერენა კრაიჩეკის კერპი ყოფილა.

სერენა ამბობს, რომ მისთვის ეს განწყობა ნაცნობია: *"ამგვარი რამ ჩემთვისაც ნაცნობია. ჩემი კერპი მონიკა სელეში იყო და როცა მას პირველად შევხვდი, მისადმი გრძნობის დაფარვაც კი მიჭირდა. მასთან გამარჯვების მოპოვება კი ჩემთვის ალბათ იმ მომენტში უმთავრესი მიზანი იყო. ახლა მე საპირისპირო მდგომარეობაში ვიქნები. საინტერესოა, როგორი განწყობა შემექმნება"*.

აღსანიშნავია, რომ სერენას მეორე წრეში გასასვლელად სამი სეტის თამაში დასჭირდა. მერე კი, სანამ მორიგ მეტოქეს შეხვდებოდა, წვიმის წყალობით, ორი დღე იუქმა. ეს კი მის არასტაბილურ თამაშზე აისახა. თუმცა ყოველივეს ამ ეტაპზე ამერიკელისთვის პრობლემა არ შეუქმნია.

მან პირველი სეტი მშრალად მოიგო, მაგრამ მეორეში რატომღაც თამაში აერია და სეკერას 3-0 დაწინაურების საშუალება მისცა. თუმცა ამაზე შორს აღარ გაუშვა. სეტი ტაიბრეიკზე გადაიყვანა, იქ კი უპრობლემოდ მიაღწია მიზანს.

მეორე ბარიერი იოლად განვლო ტურნირის ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმაც**, რომელმაც სამი სეტი იმყოფინა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოხვედრილი იტალიელი **ფლავიო ჩიპოლას** დასამარცხებლად.

ესპანელის უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ მან პირველ სეტში, როცა 5:1 იგებდა, თავს მოდუნების საშუალება მისცა. ჰოდა, მეტოქემაც კარგად ისარგებლა და ერთი ბრეიკი დაიბრუნა. ამის პასუხად, მომდევნო გეიმშივე ნადალმა კიდევ ერთი ბრეიკი აიღო და სეტიც თავის სასარგებლოდ დასრულა. მეორე სეტი უფრო ცალმხრივი იყო. ამჯერად ესპანელმა თავის მეტოქეს ოდენ ერთი გეიმის მოგების საშუალება მისცა. მესამის დასაწყისში ნადალმა ჩიპოლის სერვისი აიღო და კვლავ მოეშვა, თუმცა მაინც არ დამომ პოზიცია და საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანა.

"ჩემი თამაშით უკმაყოფილო ვარ, სამაგიეროდ, კარგი მოთელვა გავიარე. საერთოდ, უკეთესი იქნება, თუ უფრო დიდი წინააღმდეგობა შემხვდება. ასე უკეთეს ფორმაში შევალ, ეს კი ფავორიტებთან შეხვედრებში გამომადგება", - განაცხადა ნადალმა, ვისაც მესამე წრეში გაცილებით ძლიერი მეტოქე ეყოლება თანამემამულე **ალბერტ მონტანესის** სახით, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში აჯობა ლატვიელ **ერნესტს გულბისს**.

დაძაბულ ბრძოლაში მოიგო ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმა**, რომელსაც ხუთი სეტი დასჭირდა საფრანგეთის ღიას ყოფილი ჩემპიონის, არგენტინელი **გასტონ გაუდიოს** დასამარცხებლად. სხვათა შორის, ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს 2004 წლის როლან გაროსზეც შეხვდა და მაშინ თამაში არგენტინელმა მოიგო, რომელიც მოგვიანებით ჩემპიონიც გახდა.

მაგრამ ახლა ლეიტონის ჯერი დადგა, რომელმაც თავისი ძლიერი ნებისყოფისა და მონდომების ხარჯზე შეძლო გაუდიოს დამარცხება. *"გასტონი მაგარი მოთამაშეა, ისე ურტყამს, ვერ მიხვდები, საით გ ზავნის ბურთს. პირველი ორი სეტი ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მეოთხეში მივხვდი, რომ თამაშის მოგება შემეძლო"*, - განაცხადა ჰიუიტმა.

დაბოლოს, გაუჭირდა ფრანგ **ამელი მორესმოსაც**, ვისაც სამი სეტი დასჭირდა თანამემამულე **ნატალი დეშის** წინააღმდეგობის დასაძლევად. მორესმომ, ვინც საფრანგეთის ღიას მეოთხედფინალის იქით არასოდეს გასულა, კარგად დაიწყო და პირველი ხელი 39 წუთში მოიგო, მაგრამ მეორე სეტი უხეიროდ დაიწყო.

დეშმ დასაწყისშივე შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება და მეშვიდე გეიმში მეორე ბრეიკით 5:2 დაწინაურდა. მომდევნო გეიმში მომწოდებელი ის იყო და თითქოს, უპრობლემოდ უნდა მოეგო ეს სეტი, მაგრამ მორესმომ ეს გეიმიც გადაარჩინა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. იქ კი დეში 4:2 დაწინაურდა, მაგრამ განვიმდა, რის გამოც თამაში ორი საათით შეწყდა. თამაშის განახლება დეშმ სეტის მოგებით აღნიშნა და გადამწყვეტი სეტიც ბრეიკით დაიწყო. თუმცა სულ ეს იყო, რითაც მან თავის გამოჩენა შეძლო. მომდევნო ექვსი გეიმი და მათთან ერთად შეხვედრაც, მორესმოს გამარჯვებით დასრულდა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ქალები

II წრე

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:2, 6:1, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6)**-ლორან რეკუდერი (საფრ) 6:3, 3:6, 6:3, 6:1; **ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 7)**-სტანისლას ვავრინკა (შვეი) 6:4, 6:3, 6:7(3), 6:3; **დავიდ ფერერი (ესპ, 12)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:4, 6:3, 7:6(4); **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 14)**-გასტონ გაუდიო (არგ) 4:6, 3:6, 6:2, 6:4, 6:2; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 16)**-კრისტიან ალესი (დან) 7:5, 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 20)**-მატიე მონკური (საფრ) 6:1, 6:1, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 21) 6:4, 6:4, 6:4; **კარლოს მოია (ესპ, 23)**-ფლორან სერა (საფრ) 6:4, 6:2, 6:4; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**- ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 28) 7:6(8), 6:1, 6:1; **ოლივიე პატიენსი (საფრ)**-მარიანო საბალეტა (არგ) 7:5, 6:3, 3:6, 2:6, 6:4; **ხუან პაბლო ბრეჟეიკი (არგ)**-გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ) 7:6(4), 6:2, 6:0; **იან ჰაიეი (ჩეხ)**-ბოჰდან ულირახი (ჩეხ)1:6, 6:2, 7:6(6), 3:6, 6:2; **იონას ბიორკმანი (შვედ)**-ივო კარლოვიჩი (ხორვ) 3:6, 3:6, 6:4, 7:6(2), 6:3; **ალბერტ მონტანესი (ესპ)**-ერნესტს გულბისი (ლატ) 6:1, 6:2, 1:6, 7:6(3);

ქალები

I წრე

მარია შარაპოვა (რუს, 2)-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-მეგან შონესი (აშშ) 7:6(4), 6:3; **ამელი მორესმო (საფრ, 5)**-ნატალი დეში (საფრ) 6:3, 6:7(3), 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 7)**-სანია მირზა (ინდ) 6:1, 6:4; **სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-მილაგროს სეკერა (ვენე) 6:0, 7:6(3); **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9)**-აგნეშ შავაი (უნგ) 6:4, 6:7(1), 6:4; **პატი შნიდერი (შვეი, 14)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:3, 6:2; **შაჰარ პეერი (ისრ, 15)**-ედინა გალოვიცი (რუმ) 6:4, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლო, 17)**- ვერა დუშევინა (რუს) 6:4, 6:2; **აი სუგიამა (იაპ, 21)**-შეილენ ტიუ (აშშ) 6:3, 1:6, 6:1; **კარინ ნნაპი (იტა)**-ალონა ბონდარენკო (უკრ, 22) 6:4, 2:6, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 24)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 7:5, 6:4; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 25)**-ნიკოლ ვრატი (ავსტრალ) 6:0, 6:1; **ალა კუდრიავცევა (რუს)**-ხისელა დულკო (არგ, 29) 7:5, 1:6, 8:6; **იოანა რალუჩა ოლარუ (რუმ)**-ტატიანა პუჩეკი (ბელა) 6:3, 6:0; **დომინიკა ჩიბულკოვა (სლვკ)**-მარტინა მიულერი (გერ, 32) 6:3, 6:2

1 ივნისი. პარასკევი

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
14:15 საფეხბურთო კლუბი.
14:50 ტოქ-შოუ - 2:1.
15:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:50 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
17:40 სასტვენი.
18:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 კვირის მატჩი.
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:15 ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. სეზონის შეჯამება.
01:30 საფეხბურთო კლუბი.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 სპორტის სახეები.
07:30 სპორტის ისტორია.
07:35 მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
08:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სანტოსი (ბრაზილია).
10:55 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
11:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
13:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
13:40 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. დიუსელდორფი. გერმანია.
17:45 ნყალბურთი.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 აფროსსნობა. ამერიკის თასი.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. II მატჩი. ანაჰაიმი-ოტავა.
21:30 სპორტინფორმი.
21:40 აფროსსნობა. ამერიკის თასი.
22:00 კრივი. რინგ-საიდი.
21:40 ფეხბურთი. ამხანაგურ მატჩი. ინგლისი-ბრაზილია (LIVE).
00:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. გრემიო (ბრაზილია)-სანტოსი (ბრაზილია).
02:40 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
03:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. I მატჩი. დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
05:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კატანია-კიევო.
06:45 სპორტის ისტორია.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
10:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
11:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. V დღე.
12:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე (LIVE).
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
23:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-ჰოლანდია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
00:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. VI დღე.
01:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
02:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.
02:30 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ჩინეთი-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. საფრანგეთი-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი.
13:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. გერმანია-იაპონია. ტულონი. საფრანგეთი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
17:00 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIX ეტაპი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. საფრანგეთი-კოტ დ'ივუარი. ტულონი. საფრანგეთი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 მულტისპორტი.
21:00 ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. ჩინეთი-პორტუგალია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
22:45 ახალი ამბები.
23:00 კიკ-ბოქსინგი.
00:45 ახალი ამბები.
01:15 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
01:45 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატს. ფლეი ოფი.
02:15 ახალი ამბები.
02:30 პრო-რესტლინგი. იაპონიის ლიგა.
04:00 ახალი ამბები.

ქალათბურთი

მემფისს აივარონი გაწვრთნის

საბაგენტო AP-მ, ამერიკულ პრესაზე დაყრდნობით გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში, "მემფის გრიზლისის" ახალი მწვრთნელი **მარკ აივარონი** იქნება. წლევანდელ რეგულარულში, ეს სპეციალისტი "ფინიქსს სანზის" მთავარი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** ასისტენტის ფუნქციებს ასრულებდა.

აივარონი დაცვითი თამაშის კარგ ორგანიზატორად ითვლება. "ფინიქსში" მან ხუთი წელი იმუშავა, მანამდე კი, 1999-2002 წლებში, "მაიამიში" **პატ რაილის** ეხმარებოდა.

მოთამაშის რანგში, აივარონის NBA-ში შვიდი სეზონი აქვს გატარებული. ის სამი გუნდის ღირსებას იცავდა, ხოლო 1982-83 წლების სეზონში, "ფილადელფიასთან" ერთად NBA-ის ჩემპიონი გახდა.

პიტმა პაპალუკასს კონტრაქტი შესთავაზა

NBA-ის ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა - "მაიამი ჰიტმა" დაადასტურა ცსკა-ს ბერძენი გამთამაშებლის, **ტეო პაპალუკასისდამი** ინტერესი.

პატ რაილის გუნდმა უკვე ოფიციალურად შესთავაზა კონტრაქტი წლევანდელი ევროლიგის საუკეთესო მოთამაშეს. თუმცა ამ გუნდის წარმომადგენელი ამბობს, რომ ჩვენ გარდა, ბერძენზე NBA-ის კიდევ 10-15 კლუბი აცხადებს პრეტენზიასო.

პრესის ინფორმაციით, საუბარია 10-მილიონიან კონტრაქტზე. *"ეს თანხა ოდნავ გადამეტებულია, მაგრამ რეალურთან მაინც ახლოს არის. მთავარი ისაა, შეძლებს თუ არა მოსკოვური კლუბი პაპალუკასისთვის ჩვენზე უკეთესი ფინანსური პირობების შეთავაზებას. მე უბრალოდ არ ვიცი, რა გეგმები აქვს ცსკა-ს მომავალი სეზონისთვის და როგორია ამ კლუბის ბიუჯეტი"*, - აცხადებს "მაიამის" შტაბის წევრი.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინათ, თავად "მაიამის" ბანაკიდან უარყოფდნენ ბერძენთან მოლაპარაკებების ფაქტს.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2009 UNDER 21

სომხეთი-ლიხტენშტაინი	1:0

ევრო 2007 UNDER 19

სერბეთი-დანია	2:1
რუმინეთი-შვეიცარია	4:2

ბელგია ფლეი ოფი

ლიერსი-ანრგერპენი	5:2
ვეზელენი-ანგეერპენი	1:0

შეჯიბრი

II დივიზიონი

ფალკენბერგი-სირიუსი	1:1
პაკენი-ინგარეპინგსი	2:0

პოლონეთის ლიგის თასი

გროსლინი-ზაგლებე	3:0

ქალათბურთი

ესპანეთი ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

რეალი-ხუვენტუდი	72:70

ჯირო დ'იტალია

მე-18 ეტაპი. უდინედან რიეზე პიო X-მდე (203 კმ)

1. **ალესანდრო პეტაკი** (იტალია, მილრამი) 4:32.51 (45.739 კმ/სთ); 2. **მაქსიმილიანო რიკეზე** (არგენტინა, კერამიკა პანარია) იგივე დროში; 3. **მატი ბრეშელი** (დანია, CSC); 4. **თომას ფოთენი** (გერმანია, გეროლშტაინერი); 5. **ოსკარ გატო** (იტალია, გეროლშტაინერი); 6. **ნიკოლაი ტრუსოვი** (რუსეთი, ტინკოფი); 7. **ალექსანდრ პიშო** (საფრანგეთი, ბუეკ ტელეკომი); 8. **სტეფანო ძანინი** (იტალია, პრედიქტორ-ლოტო); 9. **ჯულიან დინი** (ახ.ზელანდია, კრედიტ აგრიკოლი); 10. **ერვ დიუკლო-ლასალი** (საფრანგეთი, კოფიდისი) ყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 18 ეტაპის შემდეგ

1. **დანიელ დი ლუკა** (იტალია, ლიკიგაზი) 82:08.26; 2. **ენდი შლეკი** (ლუქსემბურგი, CSC) 2.24; 3. **ჯილბერტო სიმონი** (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 2.28; 4. **დამიანო კუნეგო** (იტალია, ლამპრე-ფონდიტალია) 3.29; 5. **დამიანო კუნეგო** (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 3.46; 6. **რიკარდო რიკო** (იტალია, სონიე დიუვალი) 5.19; 7. **დავიდ არონი დურანი** (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 10.00; 8. **ევგენი პეტროვი** (რუსეთი, ტინკოფი) 10.25; 9. **ფრანკო პელიზოტი** (იტალია, ლიკიგაზი) 10.39; 10. **მარციო ბრუსეგინი** (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 10.55...



პალსონმა საგოლედ მოიქნია

NHL. სტენლის თასი. ფინალი

ოცდაათიდან ერთი შანსი

პირველ მატჩში თითო-თითო საგოლე პასი ჩაინერეს აქტივში ალფრედსონმა და სპეცამ, ჰიტლი კი, აგერ უკვე მეორე მატჩია უქულოდ ტოვებს მოედანს. წლევანდელ ფლეი ოფში ეს იყო მხოლოდ მეორე შეხვედრა, როცა "სენატორების" დამრტყმელი სამეული ქულის გარეშე დარჩა.

რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში, იმავე ნიდერმაიერის, მოენისა და პალსონის დამსახურებაა, რომლებიც გასაქანს არ აძლევენ ფლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირებს. მაგრამ, ეს ჰოკეისტები მხოლოდ დაცვითი ფუნქციების შესრულებით არ შემოიფარგლებიან. ისევე, როგორც სერიის პირველ მატჩში, ამჯერადაც გამარჯვების შაიბა ამ ტრიოს მოთამაშეებმა გაიტანეს. პირველ შემთხვევაში ეს იყო ტრევის მოენი, ახლა კი, საფინალო სირენამდე 5 წუთით ადრე, "ანაჰაიმს" გამარჯვება სამუელ პალსონმა მოუტანა. მან ჰიტლის შეცდომის შემდეგ შუა ზონაში მოიპოვა შაიბა, დრიბლინგით მიუახლოვდა მეტოქის კარს და მცველისგან დაფარულ **რეი ემერის** შორეულ კუთხეში ზუსტად დაურტყა. სხვათა შორის, პალსონი ამ სეზონში დაცვითი სტილის საუკეთესო ფორვარდის პრიზის ნომინანტი გახლავთ.

ამ შეხვედრას კიდევ ერთი გმირი ჰყავდა. ეს არის "ანაჰაიმის" ბრწყინვალე მეკარე - **ჟან-სებასტიან ჟიგერი**. მართალია, მას მხოლოდ 16 დარტყმის მოგერიება მოუწია, მაგრამ რიგ ეპიზოდებში გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა. მაგალითად, პირველ პერიოდში, როცა "ოტავას" თითქმის ორი წუთი, ორი კაცით მეტი ჰყავდა ყინულზე. სტუმრები ამ დროის განმავლობაში პრაქტიკულად, არ გასულან "ანაჰაიმის" ზონიდან, ახლო მანძილიდან ზედიზედ ურტყამდნენ ჟიგერის კარის მიმართულებით, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. სხვათა შორის, ერთხელ "იხვებს" ძალიან გაუმართლათ - ჯეისონ სპეცამ ერთი მეტრიდან ცარიელ კარში გაისროლა და შაიბა ძელს გაარტყა.

მოკლედ, ჟიგერმა ამ ფლეი ოფში პირველი, კარიერაში კი მეექვსე შათაუტი შეასრულა და კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა სტენლის თასის MVP-ის ტიტულს.

"ანაჰაიმს" პალსონის გოლამდეც შეეძლო დაწინაურება. მესამე პერიოდის მეოთხე წუთზე, **ენდი მაკდონალდის** პასით **ტეემუ სელიანე** უტევდა, მაგრამ ვეტერანმა ახლო მანძილიდან ხარიხას მოახვედრა შაიბა.

ამ მატჩში, ფინელ ფორვარდს განსაკუთრებული მხარდაჭერა ჰქონდა. ფინეთიდან ამერიკაში სპეციალურად ჩავიდნენ სელიანეს ბავშვობის მეგობრები. ისინი "ანაჰაიმის" ფორმებში გამოეწყვნენ და "იხვების" არენაზე მინი-სექტორი შექმნეს.

"15 წლის წინათ, როცა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში კარიერას ვიწყებდი, მეგობრებს ვუთხარი, რომ თუ ოდესმე სტენლის თასის ფინალში გავიდოდი, მათ ჩემს მატჩებზე დასასწრებად მოვიწვევდი. როგორც ხედავთ, ჩემს მეგობრებს შესანიშნავი მახსოვრობა ჰქონიათ", - განაცხადა სელიანემ.

ანაჰაიმი–ოტავა 1:0

1:0, 0:0, 0:0

გოლი: 1:0 პალსონი-3

სერია 2:0

პირველი მატჩის მიმოხილვისას ვწერდით იმის შესახებ, რომ "ანაჰაიმის" მთავარი ამოცანა **დენი ჰიტლის, ჯეისონ სპეცასა** და **დანიელ ალფრედსონის** ტრიოს შეჩერება იქნებოდა და ისიც ვივარაუდეთ, რომ "ოტავას" წამყვანი ფორვარდების წინააღმდეგ **რობ ნიდერმაიერის, ტრევის მოენისა** და **სამუელ პალსონის** სამეული იმოქმედებდა.

ამ სერიამდე, ფლეი ოფის პირველ 15 შეხვედრაში ჰიტლის, სპეცასა და ალფრედსონის ანგარიშზე 28 გოლი და 58 ქულა იყო, მაგრამ "ანაჰაიმის" წინააღმდეგ ისინი, ჯერჯერობით, უძლურნი არიან -

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲥᲠᲝᲡᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

დღეს, "პიტსბურგ პინგვინზის" ხელმძღვანელობა ოფიციალურად გამოაცხადებს იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში, გუნდს ახალი კაპიტანი ეყოლება. ეს იქნება წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი - **სიდნი კროსბი**.

ასე რომ, 19 წლის ჰოკეისტი კიდევ ერთი რეკორდის მფლობელი გახდა - ის ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი იქნება.

ᲛᲔᲡᲘᲔᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲩᲔᲚᲘᲝᲡᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲚᲝ

ცნობილი გახდა **მარკ მესიეს** სახელობის პრიზის მორიგი მფლობელი. ამჯერად, ამ სეზონში დაფუძნებული ჯილდოს ლაურეატი, "დეტროიტ რედ უინგზის" ვეტერანი მცველი - **კრის ჩელიოსი** გახდა. ეს პრიზი მოთამაშეებს სათამაშო ოსტატობისთვის, ლიდერის ფუნქციების გამოვლენისთვისა და ჰუმანიტარულ სფეროში წარმატებული მუშაობისთვის გადაეცემათ.

ჩელიოსი მარკ მესიეს პრიზის მეექვსე მფლობელი გახდა. მანამდე ლაურეატები იყვნენ: **ბრენდან შენჰანი** ("რეინჯერსი"), **სკოტ ნიდერმაიერი** ("ანაჰაიმი"), **სიდნი კროსბი** ("პიტსბურგი"), **ვენსან ლეკავალიე** ("ტამპა ბეი") და **რობერტო ლუონგო** ("ვანკუვერი").

ᲡᲢᲔᲜᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲡ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ

"ანაჰაიმსა" და "ოტავას" შორის, სტენლის თასის ფინალური სერიის პირველ მატჩს ამერიკელებში, მაინცა და მაინც, დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ქვეყნის საკაბელო ტელეარხების 72 მილიონ აბონენტთაგან, ამ შეხვედრის საყურებლად ფული მხოლოდ ნახევარმა მილიონმა გადაიხადა.

ფინალის პირველი მატჩის რეიტინგმა 0.7 პროცენტი შეადგინა. გასული წლის ფინალურ სერიასთან შედარებით, სადაც სტენლის თასისთვის ერთმანეთს "კაროლინა" და "ედმონტონი" ებრძოდნენ, ეს მაჩვენებელი 18 პროცენტით დაეცა.

ᲕᲔᲚᲝᲡᲐᲠᲒᲘ

ᲪᲐᲑᲔᲚᲘ ᲛᲘᲚᲠᲐᲛᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ

იტალო-გერმანული პროფესიული გუნდის - "მილრამის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი, გერმანელი - **ერიკ ცაბელი**, წლევანდელი სეზონის ბოლომდე ამ გუნდის რიგებში დარჩება. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, გერმანელმა ველოსიპედისტმა სენსაციური აღიარება გააკეთა და განაცხადა, რომ 90-იან წლებში, "ტურ დე ფრანსის" დროს დოპინგს იყენებდა.

მიუხედავად ამ განცხადებისა, "მილრამის" შეფობა ცაბელთან კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებს.

ᲘᲜᲓᲣᲠᲐᲘᲜᲘ ᲠᲘᲘᲡᲔᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡᲐᲐ

თავის მხრივ, ლეგენდარული ესპანელი ველოსიპედისტი - **მიგელ ინდურაინი** დანიელი **ბიარნე რიისის** განცხადებას გამოეხმაურა. ამ უკანასკნელმა ცაბელის მსგავსად აღიარა, რომ 1996 წელს, როცა მან "ტურ დე ფრანსი" მოიგო, დოპინგი გამოიყენა.

"ტურ დე ფრანსის" ხუთგზის ჩემპიონი - ინდურაინი აცხადებს, რომ კატეგორიულად არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, რიისეს 1996 წელს მოპოვებული ტიტული უნდა ჩამოერთვას.

"ტურ დე ფრანსზე" ზედიზედ ხუთჯერ გამარჯვების შემდეგ, 1996 წელს პირველად დავმარცხდი და ეს მხოლოდ ჩემი ბრალი იყო. დოპინგია თუ არა ამაში დამნაშავე, არ მაინტერესებს, რადგან მე ბევრ სხვა სპორტსმენზე სუსტად გამოვიყურებოდი. ასე რომ, რიისეზე განაწყენებული სულაც არ ვარ", - ამბობს ინდურაინი.

ᲐᲕᲢᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ფორმულა 1

მაკლარენი არ დაისჯება

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) ოფიციალური კომუნიკე გამოაქვეყნა, სადაც წერია, რომ მონაკოს გრან-პრის დროს "მაკლარენს" სპორტული კოდექსი არ დაურღვევია. შესაბამისად, ბრიტანული საჯინიბოს მიმართ არანაირი სანქციები არ იქნება გამოტანილი. *"აბსოლუტურად ცხადია, რომ მონაკოს ეტაპის დროს, "მაკლარენის" მოქმედებას ლეგიტიმური ხასიათი ჰქონდა"*, - წერია ოფიციალურ დოკუმენტში.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ მონაკოს გრან-პრისას, "მაკლარენის" შეფმა - **რონ დენისმა** თავის პილოტებს ერთმანეთში ბრძოლა აუკრძალა და ფინიშზე მშვიდად მისვლა უბრძანა. შედეგად, **ფერნანდო ალონსო** პირველ ადგილზე გავიდა, **ლუის ჰემილტონი** - მეორეზე და ბრიტანულმა გუნდმა სეზონში მეორე დუბლი შეასრულა.

ამის გამო, პრესამ რონ დენისი ერთის მხრივ ალონსოს მხარდაჭერაში, მეორეს მხრივ კი, FIA-ს სპორტული კოდექსის დარღვევაში დაადანაშაულა. კოდექსის მიხედვით, ფორმულა 1-ში მონაწილე გუნდებს აკრძალული აქვთ ე.წ. გუნდური ტაქტიკით მოქმედება.

ფედერაცია თავის კომუნიკეში წერს, რომ "მაკლარენის" უდანაშაულობა ბოქსებსა და პილოტებს შორის რადიომოლაპარაკებების შესწავლის შემდეგ დადგინდა.

აღსანიშნავია, რომ სანამ FIA ამ ვერდიქტს გამოიტანდა, საქმეში ფორმულა 1-ის გენერალური პრომოუტერი - **ბერნი ეკლსტოუნიც** ჩაერია. მან The Daily Mail-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ "მაკლარენის" მიმართ უმკაცრესი ზომები უნდა იქნეს გატარებული. ეკლსტოუნი ამბობდა, რომ გუნდს უნდა ჩამოერთვას მონაკოში მოპოვებული ქულები ან სულაც მოკვეთილ უნდა იქნეს ჩემპიონატიდან.

როგორც ხედავთ, საქმე აქამდე არ მივიდა.

ჰემილტონი და ალონსო დაინდეს

ეროვნული სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
ზალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეფაკიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10 Ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru

ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა